ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა



## ილია II: უფალი ადამიანს ისეთ ჯვარს აძლევს, რომლის ტარების ძალაც ექნება“

გვ.6

jhif,fsb7 !( vfhnb7 @)!@ 166 (5756) afcb5 #) stshb

# ბიძინა ივანიშვილი: საქართველოში არანაირი ომი არ იქნება“



გვ.3

## სააკაშვილმა ივანიშვილს თავისი ამერიკული ლობისტური ფირმა არ დაუთმო



გვ.2

რამდენი მილიონი იხარჯება ბიუჯეტიდან ჩვენი მთავრობის აშშ-ში ლობირებაზე

## საქართველოს ტერიტორიაზე, შესაძლოა, ახალი სახელმწიფო ჩამოყალიბდეს“ რა იგეგმება ჯავახეთში

გვ.3



## ნუკრი ქანთარია: ოპოზიციას ახლა შეცდომის დაშვების უფლება არა აქვს!“

ჯვრის მონასტერთან დაკავშირებით ხელისუფლება იტყუება

გვ.5



გვ.6

## ყოველ გაყიდულ ლიტრ ბენზინზე 30 თეთრი პრეზიდენტის ოჯახში მიდის



გვ.4

## ირინა სარიშვილი: სააკაშვილთან გარიგება დაუშვებელია!“



გვ.2

## გიორგი მარგველაშვილი: ჩინოსნებმა შეიძლება სააკაშვილის უკანონო ბრძანებები არ შეასრულონ“

გადამდელი არჩევნები გამორიცხულია



გვ.7

## ირაკლი ალასანია: სააკაშვილი ვეღარ შეგვაჩერებს!


ვფ[ფქბ სფჯ,ფ4+
გფუფჯბჰბ
* კფჰბ
&ვფჰნბლფყ





ISSN 1987-9385

**5** საარსებო მინიმუმი 1 ლარით შემცირდა

**5** საწვავი ისევ ძვირდება

**11** მინსკის ტერაქტში ბრალდებულები სიკვდილით დასაჯეს

**5** ე.წ. სამხრეთ ოსეთში მსუბუქძრავიან თვითმფრინავს ააგებენ

# გიორგი მარგველაშვილი: „ჩინოსნებმა შეიძლება სააკაშვილის უკანონო ბრძანებები არ შეასრულონ“

## ვადამდელი არჩევნები გამორიცხულია

ნათია ხურცილავა



### ინტერვიუ პოლიტოლოგ გიორგი მარგველაშვილთან

***– ბატონო გიორგი, ირაკლი ალასანიამ დიპლომატებთან შეხვედრაზე სამეგრელოში შეიარაღების შესახებ განცხადება გააკეთა. უმრავლესობამ კონკრეტული ფაქტები მოითხოვა. რამდენად შეიძლება რეალურად მსგავსი საფრთხის წინაშე აღმოვჩნდეთ?***

– ბატონი ალასანია რადგან ასეთ განცხადებას აკეთებს, ალბათ, სერიოზული საფუძველი აქვს. ალასანია არ არის ის პოლიტიკოსი, რომელიც პოპულისტურად, გადაუმოწმებლად ასეთ განცხადებას გააკეთებდა. არსებული ვითარებიდან გამომდინარე, პრეზიდენტი ბოლო დროს პოლიტიკურ მოღვაწეობას რა ფორმითაც აწარმოებს, მეტყველებს იმაზე, რომ ის ნაკლებად ხედავს აზრთა, იდეათა ჭიდილს, რომლის პირობებშიც შეიძლება მოწინააღმდეგე ჯგუფი მცდარი იყოს, მაგრამ არა მტერი. სამწუხაროდ, ბატონი პრეზიდენტის რიტორიკა მიმართულია მტრების ძიებისკენ. როდესაც უმაღლესი თანამდებობის პირი გამოდის ამ მიდგომით, ეს უკვე საშიში ხდება. არანაირად არ ვამბობ, რომ სააკაშვილმა არ უნდა იბრძოლოს, თავისი იდეები არ გამოთქვას. ის პოლიტიკოსია და თავისი შეხედულებების შესახებ უნდა ისაუბროს, მაგრამ როდესაც უმაღლესი თანამდებობის პირის რიტორიკა გადადის ისეთ საუბარში, როგორც სააკაშვილი საუბრობს, ვიმეორებ, საშიშია ქვეყნის შიგნით დემოკრატიული და კონკურენტული გარემოს მოსამზადებლად, სწორედ არჩევნების წინ.

***– საპარლამენტო არჩევნები ერთგვარად გარდამტეხ არჩევნებად შეფასდა. როგორც ჩანს, ეს კარგად აქვს ხელისუფლებას გაცნობიერებული. როგორ ფიქრობთ, არჩევნების წინ მოსალოდნელი არის დაძაბულობა, მასობრივი დაჭერები?***

– დაჭერები მიმდინარეობს, მაგრამ მასობრივი სახე არ აქვს. თუმცა, ვნახეთ, ხელისუფლებამ როგორ აამოქმედა ადმინისტრაციული რესურსი. სწორედ ადამიანების დაბარებით, დაკითხვით, მათი ამ ფორმით შეურაცხყოფით, ბრალდებებით, ფინანსური შევიწროვებით. ეს ყველაფერი წლის დასაწყისში ხდება, მაშინ როდესაც წლის ბოლოს უნდა იყოს არჩევნები. ეს ტენდენცია თავისთავად არაჯანმრთელია, როდესაც არჩევნების წინა პერიოდი, მოსამზადებელი კონტექსტი ასეთია. პოლიტიკური დაპირისპირება ისე კი არ არის აღქმული, რომ ორი მოწინააღმდეგე ჯგუფი, რომლებსაც ქვეყნისთვის სიკეთე უნდა ერთმანეთს უპირისპირდება ამ საქმის განხორციელებაში, არამედ ესქატოლოგიური, არმაგედონული დაპირისპირების ხატი იხატება. ამ პროცესის დასაწყისი, რომელსაც ვხედავთ, სამწუხაროდ, სიტუაციის კიდევ უფრო დაძაბვის წინაპირობაა. თუმცა, სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა, ყოფნა-აროფნა – ეს ხომ მოგონილი რეალობაა. ყველასთვის ნათელი გახდება, რომ ეს არ არის სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა და ეს არის მცდელობა, რომ საქართველო დემოკრატიული სახელმწიფო გახდეს და ევროპულ სახელმწიფოთა რიგში ჩაეწეროს, სადაც ხელისუფლება მშვიდობიანად იცვლება. ოპოზიცია თავის მიზანს მკვეთრად აფიქსირებს, რომ დემოკრატიულ არჩევნებამდე მივიდეს, სადაც ოპოზიციას მოგების იმედი აქვს. ხელისუფლებას, ალბათ, ძალიან გაუჭირდება ამ პროცესის მკვეთრად რადიკალიზაცია. პროცესის რადიკალიზაცია მკვეთრ ნაბიჯებს ითხოვს. იმედი მაქვს, რომ ადმინისტარციული მანქანის გამოყენების ინტენსივობა, რომელსაც ხელისუფლება დღეს ავლენს იკლებს, რადგან მართლა არ არის სამკვდრო–სასიცოცხლო ბრძოლა. არ არის ვითარება, როდესაც სიკვდილ-სიცოცხლის საკითხი წყდება. ამას ქვედა რგოლები მიხვდებიან, რომლებიც რეალურად ახორციელებენ ამ ტერორს.

***– თუმცა, დაკვეთა ხომ ზევიდან მოდის?***

– რა თქმა უნდა, მაგრამ დაკვეთას ყოველთვის კონკრეტული აღმასრულებელი ჰყავს. შემსრულებელი რა გულისხმიერებით განახორციელებს დაკვეთას, ამას თვისობრივი მნიშვნელობა აქვს. ერთია, როდესაც ქვედა რგოლები თვლიან, რომ რაც შეიძლება ზედმეტი გულმოდგინებით შეასრულონ უკანონო დაკვეთა. არის შემთხვევები, როდესაც შეიძლება სისტემას არ დაუპირისპირდე, მაგრამ თავიც არ გამოიდო. იმედი მაქვს, ეს ადამიანები გააცნობიერებენ, რომ პოლიტიკური დაპირისპირებაა, რომელმაც საქართველოსთვის უკეთესი მდგომარეობა უნდა მოიტანოს და არა უარესი.

***– პრეზიდენტმა პარლამენტში გამოსვლისას განცხადება გააკეთა, რომ ის ყველაფერს გააკეთებს, რომ „ნაციონალურმა მოძრაობამ“ გაიმარჯვოს. ალბათ, ის არ გულისხმობდა რამდენიმე ადამიანის პარლამენტში მოხვედრას...***

– რა თქმა უნდა, პრეზიდენტისთვის ეს არის სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა. რეალურად მხოლოდ პრეზიდენტისთვის და მეტი არავისთვის. რამდენი ადამიანი გადაწყვეტს იგივე ხედვა გაიზიაროს, იგივე რადიკალიზაცია მოახდინოს, რასაც პრეზიდენტის რიტორიკაში ვხედავთ, ეს არის მნიშვნელოვანი.

***– აღმასრულებლები, ქვედა რგოლს ვგულისხმობ, შეიძლება პრეზიდენტს განუდგნენ?***

– არა. მაგრამ შეიძლება უკანონობაზე არ წავიდნენ.

***– რამდენად მოსალოდნელია ვადამდელი არჩევნები?***

– ეჭვი მეპარება, რომ ვადამდელი არჩევნები დაინიშნოს. არ მგონია, ახლა ვადამდელი არჩევნების დრო იყოს. ვადამდელი არჩევნები კიდევ უფრო კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენებს ხელისუფლების მზაობას, რომ ნორმალურ, კონსტიტუციურ, მშვიდ, დაგეგმილ რეჟიმში ჩატარდეს არჩევნები. არარეალურად მიმაჩნია, რომ ვადამდელი არჩევნები დაინიშნოს.

***– თუმცა, მაისი დასახელდა...***

– თუ მაისში დაინიშნება არჩევნები, მაშინ უკვე ოფიციალურად უნდა გამოცხადდეს.

***– ივანიშვილის კოალიცია ამ არჩევნებისთვის სათანადოდ ემზადება? მათ აქვთ გაცნობიერებული ამ არჩევნების მნიშვნელობა?***

– ის კალენდარი, რომელიც ივანიშვილს დეკლარირებული ჰქონდა, ის იმ გრაფიკში ზის. ეს კალენდარი არ ტოვებს შთაბეჭდილებას, რომ რაღაცები ჩავარდნილია. თავისთავად შეიძლება ვიღაცას არ მოსწონდეს ტემპი, ის, თუ როგორ არის დაგეგმილი ეს კალენდარი. ივანიშვილი ამ გეგმას მიჰყვება, ის ავითარებს თავის განცხადებებს, რომელიც მან გააკეთა. იმ კალენდარში ზის, რომელიც მან თავად გამოუცხადა საზოგადოებას. სააკაშვილმა დეკემბერსა და იანვარში ძალიან აქტიური პოლიტიკური მოღვაწეობა დაიწყო. ამან ბუნებრივად გამოიწვია საზოგადოების მოლოდინი, რომ ივანიშვილი ამას უპასუხებს. მეორეს მხრივ, ივანიშვილი თავისი კალენდრის, თავისივე გამოცხადებული გეგმის ერთგული დარჩა. ეს თავისთავად უკმარისობის გრძნობას იწვევს. ადამიანები, რომლებიც ცდილობენ გადაწყვეტილება მიიღონ, ამ ეტაპზე ხედავენ, რომ აქტივობა პირადად სააკაშვილის მხარეს არის გადახრილი, მაგრამ პირველად ქართულ პოლიტიკაში ჩვენ ვხედავთ დეკლარირებულ სამოქმედო გეგმას, რომელსაც გეგმის ავტორი მიჰყვება. ეს პოზიცია საინტერესო და მისასალმებელია, მართალია ცოტა უცნაურია, მაგრამ ამავე დროს მომხიბლავია, როდესაც ადამიანს უნარი აქვს გაუძლოს ასეთ პრესინგს.

***– ივანიშვილი თავისი კალენდრის ერთგული არის, მაგრამ პარალელურად პრეზიდენტი ყოველდღიურ რეჟიმში პიარს აწარმოებს. ყველა ეთერში სააკაშვილი ჩანს, მას სიუჟეტები ეძღვნება, ამ დროს არ ჩანს ივანიშვილი. ეს რამდენად არის მომგებიანი პოზიცია?***

– ასეა, სწორედ ამას მოგახსენებთ, ივანიშვილის კალენდარში არ იქნებოდა გათვლილი, რომ სააკაშვილი ასეთ აქტივობაზე გადავიდოდა, მაგრამ ეს რას ცვლის. არჩევნები მაინც არჩევნების დღეს იქნება და არა დეკემბერსა და იანვარში. თუ რესურსის ხარჯვაზეა საუბარი, ნებისმიერი პოლიტტექნოლოგი გეტყვით, რომ რესურსის ადრე დახარჯვა სერიოზული შეცდომაა. ივანიშვილს იანვარში და დეკემბერში რომ დაეხარჯა რესურსი, ეს ხომ ბევრად უფრო მეტი უაზრობა იქნებოდა? ამ ბრძოლაში რომ შესულიყო და რომც მოეგო, ამას მერე ივანიშვილი ვერაფერში ვერ გადათარგმინდა. ეს აქტივობა არჩევნების ხმებში ვერ გადაითარგმნებოდა.

***– ივანიშვილს პოპულარობის პიკი წინ აქვს?***

– დეკლარირებულ გეგმაში ასეა, მოახერხებს თუ არა, ეს სხვა საკითხია. ეს ტოვებს შთაბეჭდილებას, რომ რაღაც კი არ ჩუვარდა, არამედ ის გეგმის მიხედვით მიდის.

# სააკაშვილმა ივანიშვილს თავისი ამერიკული ლობისტური ფირმა არ დაუთმო

## რამდენი მილიონი იხარჯება ბიუჯეტიდან ჩვენი მთავრობის აშშ–ში ლობირებაზე

შალვა ჯოხაძე

მიხეილ სააკაშვილი ამერიკაში საკუთარი პოზიციების გამყარებას ფულით ცდილობს. მან ლობისტურ კომპანიებთან დადებული კონტრაქტები გაახანგრძლივა. სააკაშვილის ეს საქციელი გასაკვირი არ არის, რადგანაც ამ მხრივ მისი მთავარი კონკურენტი, ივანიშვილიც აქტიურობს. ასე რომ, ლობისტური ომი მიმდინარეობს! კულუარებში იმის შესახებაც კი გავრცელდა ინფორმაციები, რომ ბიძინა ივანიშვილმა ცოტა ხნის წინ ლობისტებთან დადებულ ხელშეკრულებებს კიდევ რამდენიმე კონტრაქტი დაუმატა და მასზე უკვე 4 სერიოზული ფირმა მუშაობს. „ქართული ოცნების“ წარმომადგენლები კი აცხადებენ, რომ ეს სიმართლეს არ შეესაბამება. ბიძინა ივანიშვილის პრესსპიკერი, მაია ფანჯიკიძე ადასტურებს ინფორმაციას, რომ „ქართული ოცნების“ იმიჯზე ლობისტური ორგანიზაციები მუშაობენ, თუმცა ის დეტალებზე არ საუბრობს.

– რამდენიმე ლობისტურ კომპანიასთანაა ხელშეკრულება დადებული, 2-3-თან. მე ვერ გეტყვით, რამდენს უხდის ბატონი ბიძინა ივანიშვილი ამ კომპანიებს. შეგახსენებთ, რომ საქართველოს ხელისუფლებაც თანამშრომლობს ლობისტურ კომპანიებთან, ანუ ისინი ჰყავს დაქირავებული. აღვნიშნავ, რომ ყველაფერი, რასაც აკეთებს ბიძინა ივანიშვილი, არის მისი დაფინანსებული, ხოლო ყველაფერი რასაც აკეთებს საქართველოს ხელისუფლება, არის ჩვენი დაფინანსებული, – განაცხადა მაია ფანჯიკიძემ.

და მართლაც, სივილ ჯორჯიას ცნობით, საქართველოს ხელისუფლებამ ვაშინგტონში ერთ-ერთ წამყვან ლობისტურ ფირმასთან, პოდესტა გრუპთან, კონტრაქტი გაახანგრძლივა და წლის ბოლომდე მას 600 000 აშშ დოლარს გადაუხდის. პოდესტა გრუპი, რომლის ახალი კონტრაქტი საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოსთან თებერვლიდან 2012 წლის 31 დეკემბრამდე პერიოდს მოიცავს, საქართველოს ხელისუფლებამ პირველად 2010 წელს დაიქირავა.

ლობისტური კომპანიის მიერ აშშ-ის იუსტიციის დეპარტამენტისთვის წარდგენილი მონაცემების მიხედვით, იმ მომსახურებებს შორის, რომელსაც პოდესტა გრუპი საქართველოს მთავრობისთვის ახორციელებს შედის ლობირება, მთავრობასთან ურთიერთობა, საზოგადოებასთან ურთიერთობა და მედიამენეჯმენტი. ჩვეულებრივ, სწორედ ამ სახის მომსახურებით უზრუნველყოფენ ლობისტური კომპანიები თავიანთ კლიენტებს, როდესაც მათ ინტერესებს წარადგენენ ამერიკის კონგრესის, აღმასრულებელი ხელისუფლების და მედიის წინაშე. კვლავ, სივილ ჯორჯიას მონაცემებით, წელს იანვარში, საქართველოს უშიშროების საბჭომ ასევე გააახანგრძლივა შეთანხმება თავის დიდი ხნის კონტრაქტორთან ორიონ სტრატეჯისთან. ეს არის ლობისტური ფირმა, რომელიც პრეზიდენტობის ყოფილი კანდიდატის ჯონ მაკკეინის საგარეო პოლიტიკის საკითხებში ყოფილმა მრჩეველმა რენდი შუნემენმა დააფუძნა.

ორიონ სტრატეჯისთან ახალი კონტრაქტი 2012 წლის 30 ივნისს იწურება და ამ დროის განმავლობაში ფირმა საქართველოსგან 270 000 აშშ დოლარს მიიღებს. შეთანხმების თანახმად, ორიონ სტრატეჯისს ევალება კონსულტაციის გაწევა, სტრატეგიული კომუნიკაციების განვითარება, პიარი, ადვოკატირება აშშ-ში და ევროპაში, საქართველოს ნატო-ში გაწევრიანების ხელშეწყობა და შესაბამისი კრიტერიუმების დაკმაყოფილება და საქართველოში განვითარებული პროცესების შესახებ აშშ-ს გადაწყვეტილების მიმღებ პირთა ინფორმირება.

აშშ-ში ლობისტური საქმიანობის განსაჯაროების რეგულაციების შესაბამისად არსებული საჯაროდ ხელმისაწვდომი დოკუმენტები აჩვენებს, რომ საქართველოს ხელისუფლებამ 2004 წლიდან 2011 წლის პირველი ნახევრის ჩათვლით ამერიკაში ლობისტური საქმიანობისთვის სულ ცოტა 5,5 მილიონი აშშ დოლარი დახარჯა.

სააკაშვილი ლობისტებს წლებია, ქირაობს. ყველაზე მნიშვნელოვანი კონტრაქტები კი 2008 წლის აგვისტოს მოვლენების შემდეგ დაიდო. საინტერესოა, როგორია ამ ხელშეკრულებე-

გაგრძელება მე-4 გვერდზე

# „ერთობა სამართლიანობისთვის“ ხელისუფლებას ახალ საკანონმდებლო პაკეტს სთავაზობს

ფრაქცია „ერთობა სამართლიანობისთვის“ სისხლის სამართლის პოლიტიკის რეფორმირების მიზნით ხელისუფლებას ახალ საკანონმდებლო პაკეტს სთავაზობს.

„სისხლის სამართლის კოდექსში“ და „სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში“ შესატანი ცვლილებების პროექტს ფრაქციის წევრები ხვალ პარლამენტში ადვოკატთა ასოციაციის სისხლის სამართლის კომიტეტის წარმომადგენლებთან ერთად განიხილავენ.

ფრაქცია „ერთობა სამართლიანობისთვის“ მთელ რიგ ცვლილებებთან ერთად, საპროცესო შეთანხმებებთან დაკავშირებული პრაქტიკის შეცვლასაც ითხოვს. ფრაქციის შეხვედრა ადვოკატთა ასოციაციის სისხლის სამართლის კომიტეტის წარმომადგენლებთან პარლამენტში

ინტერპრესნიუსი

# ზურაბ ჭიაბერაშვილი ჯანდაცვის კომიტეტში მივა



პარლამენტში დღეს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრობის კანდიდატი ზურაბ ჭიაბერაშვილი მივა. ის ჯანდაცვის კომიტეტის სხდომაზე ჯანდაცვისა და სოციალურ სფეროებში მის პრიორიტეტებსა და ხედვებზე ისაუბრებს.

შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ცვლილების შესახებ პრემიერ-მინისტრმა განცხადება ხუთშაბათს გააკეთა. იმავე დღეს, პარლამენტში მთავრობისთვის ნდობის გამოცხადების საკითხი შევიდა. მთავრობისთვის ნდობის გამოცხადებაზე კენჭისყრა პარლამენტში სამშაბათს, რიგგარეშე სხდომაზე მოხდება. მანამდე კი საპარლამენტო კომიტეტებმა შეხვედრები შესაბამისი პროფილის მინისტრებთან უნდა გამართონ. თუმცა, კომიტეტები მხოლოდ ჯანდაცვის მინისტრობის კანდიდატით ინტერესდებიან.

ინტერპრესნიუსი

ახალი თაობა

ლფვაეყტ,კტ,ბ5 ყბყჯ ,ფრეჰფტ7 პეჰფ, ,ტჰბტ7 ცჯცჯ უჯუბყფიდბკბ
ვსფდფჰბ ჰტლფმნჯჰბ 2 ცჯცჯ უჯუბყფიდბკბ
ჰტლფმნჯჰბ 2 კფკბ ფცკფყბიდბკბ

ვბცფვფჰსბ5 მ8 ს,ბკბცბ7 X□,□□□I□□□ჩ □8 1)7 ვტ-№ ცფჰსეკბ8
ნტკტაჯყბ□აფმცბ 2(-)-(!
დტ,-უდტჰლბ www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

# საქართველოს ტერიტორიაზე, შესაძლოა, ახალი სახელმწიფო ჩამოყალიბდეს“

## რა იგეგმება ჯავახეთში

**რუსეთი უკვე ძალიან დიდი ხანია ცდილობს ჯავახეთში ვითარების დესტაბილიზაციას. ჩვენი ხელისუფლების მტკიცებით, ამ მიმართულებით მომუშავე სომხურ ორგანიზაციებს რუსეთი აფინანსებს. ოფიციალური ერევანი ამ ამბებში არ ერევა. სომხეთის ხელისუფლების წარმომადგენლები ცდილობენ, საჯაროდ საქართველოს საწინააღმდეგო განცხადებები არ გააკეთონ. ამის გამო მათ სომხური ოპოზიციის ნაწილი ღიად საყვედურობს.**

თეა მარხვაიძე

ჩვენ არაერთხელ მოგვისმენია ინფორმაციები ჯავახეთის ავტონომიასთან დაკავშირებით. ამ მოთხოვნით გამოდიოდნენ როგორც ცალკეული პირები, ასევე ორგანიზაციები. რომელთა ნაწილი რუსეთში მოღვაწეობს, ნაწილი კი საქართველოშია გამაგრებული.

ისინი ხან ჯავახეთის ავტონომიის, ხანაც ამ რეგიონის საქართველოდან გამოყოფას ითხოვენ.

ჩვენს ხელისუფლებას ამაზე რეაქცია თითქმის არა აქვს. ეს ერთი მხრივ ძალიან კარგია. მართლა არ ღირს ამ თემის წინ წამოწევა და ვითარების დაძაბვა. მეორეს მხრივ კი არც ასეთი უყურადღებობა ვარგა. რადგანაც ხვალ, შესაძლოა მართლაც გართულდეს ვითარება. მით უმეტეს, ხელისუფლება თავად ამბობს, რომ რუსეთი ამ რეგიონში არეულობას გეგმავს.

ამ რეგიონში მოსალოდნელ გართულებებზე ბევრს საუბრობენ ქართველი ექსპერტებიც. ამ თემაზე არაერთი ვარაუდი გამოითქვა. რომელიც ჩვენთვის სასარგებლო სულაც არ არის.

ჯავახეთში მოსალოდნელ არეულობებზე ქართული და რუსული პრესაც ბევრს წერს.

რუსული გამოცემა „ნოვიე ხრონიკის“ ინფორმაციით, საქართველოს ტერიტორიაზე შესაძლოა, კიდევ ერთი დამოუკიდებელი სახელმწიფო გაჩნდეს.

– ახალი სახელმწიფო, რომელსაც საქართველოსგან დამოუკიდებლობა სურს შესაძლოა, თანამედროვე საქართველოსა და თურქეთის საზღვარზე, ეთნიკური სომხებით დასახლებულ ჯავახეთის ისტორიულ რაიონში ჩამოყალიბდეს, – წერს რუსული გამოცემა.

რუსულ გამოცემას ეს საინტერესო ცნობები რუსეთში ჯავახკის დიასპორის ლიდერმა აგას არაბიანმა მიაწოდა.

ამ არაბიანს, როგორც შალვა ნათელაშვილი იტყოდა, გამჩენი არ ასვენებს. ერთი პერიოდი ის არ ჩანდა. ბოლო ხანებში კი ჰიპერაქტიური გახდა.

აგას არაბიანის მტკიცებით. ჯავახეთის დამოუკიდებლობის გამოცხადება პირდაპირ კავშირშია ნატოსთან. უფრო ზუსტად თუ ვიტყვით, ნატოსადმი საქართველოს სწრაფვასთან.

– ადგილობრივი დიასპორა საქართველოს ნატო-ს სამხედრო ბლოკთან მიერთების კატეგორიული წინააღმდეგია და საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის ამ საგარეო პოლიტიკური კურსის გაგრძელების შემთხვევაში, შესაძლოა, დამოუკიდებლობა გამოაცხადოს, – იუწყება „ნოვიე ხრონიკი“.

აგას არაბიანს არ ეზარება და იმასაც განმარტავს თუ რას ერჩის ჩრდილო ატლანტიკურ ალიანსს.

– ნატო-ს წევრად გახდომით, საქართველო ავტომატურად თურქეთის მოკავშირე ხდება, რაც სომხებისა და სომხეთის ინტერესებისთვის მიუღებელია, – ნათქვამია „რუსეთში ჯავახკის დიასპორის“ მიერ გავრცელებულ განცხადებაში.

როგორც აღნიშნული ორგანიზაციის ლიდერი აგას არაბიანი აცხადებს, საქართველოს ნატო-ში გაწევრიანება სომხეთის ეროვნულ უსაფრთხოებას ემუქრება.

– არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ეს ქვეყანა რუსეთის სტრატეგიული პარტნიორია, მოსკოვსა და აშშ-ს შორის ურთიერთობა კი ამჟამად, მსუბუქად რომ ვთქვათ, დაძაბულია. იმ შემთხვევაში თუ ჯავახკში სამხედრო ბაზები გაჩნდება, ისინი სომხეთში არსებული რუსული ბაზისკენ იქნება მიმართული. კერძოდ კი გიუმრის 102-ე ბაზისკენ. სომხეთისა და რუსეთისადმი დამოკიდებულებაში კი ამის მეგობრულ ნაბიჯად განხილვა, არ შეიძლება, – განაცხადა არაბიანმა.

დაახლოებით ერთი წლის წინ იუთუბიზე ჯავახეთის ჰიმნი, დროშა და გერბი გამოჩნდა.

ეროვნული უმცირესობით დასახლებული საქართველოს რეგიონი კლიპში გამოსახულ რუკაზე ლურჯად არის მონიშნული. კლიპში გამოყენებულ ილუსტრაციებს სომხურ ენაზე დაწერილი ჰიმნის ტექსტი ახლავს. კლიპში ნაჩვენები ე.წ. ჯავახეთის დროშა ფერებით სომხეთის დროშას ჰგავს.

დაშნაკ-ცუტუნის ერთ-ერთი ლიდერი და სომხეთის პარლამენტის წევრი, შირაკ ტოროსიანი ამტკიცებდა, რომ დაუკავშირდა. აღნიშნულ ვიდეორგოლთან დაკავშირებით არაფერი იცოდა.

– ინტერნეტი თავისუფალი სივრცეა, ვისაც რა უნდა, ის აკეთოს, გაუგებარ ვიდეო რგოლებზე კომენტარს ვერ გავაკეთებ. – განაცხადა ტოროსიანმა, რომელიც ჯავახეთის ავტონომიის მხარდამჭერად მოიაზრება.

სხვათა შორის, ის წარმოშობით ჯავახეთიდან არის. საქართველოს საწინააღმდეგოდ გაკეთებული განცხადებების მხრივ ის პირველ ადგილზე იმყოფება. ფაქტიურად თვე არ გავა, მან რამდენიმე განცხადება არ გააკეთოს ჩვენ წინააღმდეგ. საქართველოს ხელისუფლება ამბობს, რომ ტოროსიანის განცხადებებს არ უნდა ავყვეთ. იგივე რჩევას გვაძლევენ აგას არაბიანთან დაკავშირებითაც.

საქართველოს პრეზიდენტის მრჩეველი ვან ბაიბურთი ამბობს, რომ არაბიანი რუსეთის სპეცსამსახურებმა დაავერბოვკეს.

ცოტა ხნის წინ ბაიბურთმა „ახალ თაობასთან“ საუბარში განაცხადა, რომ არაბიანი ტაქსის მძღოლი იყო. თურმე ეს კაცი თავისთვის ტაქსაობდა მოსკოვში.

ერთ დღესაც ავარია მოუხდა და იმის შემდეგ პოლიტიკაში გადავარდა. შეიძლება ვინმემ იფიქრა, რომ არაბიანმა თავი მიარტყა რაღაცას. პოლიტიკაში ძირითადად ხომ თავმირტყმულები მიდიან.

ვან ბაიბურთის თქმით კი, ის რუსმა სამართალდამცავებმა დააავერბოვკეს და იქიდან მოყოლებული ქოქოლას გვაყრის.

ჩანს, ამაში ფულს კარგად უხდიან, რადგანაც, როგორც ბაიბურთი ამბობს, არაბიანმა ტაქსაობას თავი დაანება. ფული კი იმდენი გაუჩნდა, რომ მოსკოვის ერთ-ერთ ელიტურ სასტუმროში იქირავა ფართი ოფისისთვის.

ამასთან, ვან ბაიბურთი მიიჩნევს, რომ არაბიანს ჯავახელების სახელით საუბრის უფლება არა აქვს. პრეზიდენტის მრჩევლის განმარტებით, არაბიანს ახალქალაქთან საერთო არა აქვს და ის წარმოშობით ახალციხიდან არის.

# ბიძინა ივანიშვილი: საქართველოში არანაირი ომი არ იქნება“

თეა მარხვაიძე



**რამდენიმე დღის წინ ირაკლი ალასანიას გაკეთებულმა განცხადებამ ხელისუფლება საფუძვლიანად აღაშფოთა. ბიძინა ივანიშვილის თანამებრძოლმა მოსალოდნელ სამოქალაქო დაპირისპირებაზე გააკეთა განცხადება. მან დიპლომატებთან შეხვედრის დროს განაცხადა, რომ დასავლეთ საქართველოში მოსახლეობის შეიარაღება მიმდინარეობს. ალასანია არ გამორიცხავს, რომ მათ სააკაშვილი არჩევნების შედეგებით უკმაყოფილო მოსახლეობის წინააღმდეგ გამოიყენებს.**

ამ თემაზე ოპოზიცია გასული წლის ნოემბრიდან მოყოლებული საუბრობს. სამოქალაქო პირების სპეცმომზადებაზე კი უკვე წლებია საუბრობენ. ზონდერბრიგადები ჩვენში უკვე ჩვეულ ამბად იქცა. მათ არსებობას ხელისუფლება უკვე აღარც უარყოფს. ოპოზიციის აქციების დარბევებსა და მათ ცემაში ისინი აქტიურად მონაწილეობენ. ამისთვის ისინი საკმაოდ სოლიდურ გასამრჯელოსაც იღებენ.

საქართველოში რამდენჯერმე გაიმართა აქცია სახელწოდებით „ქვეყანა უნდა იცნობდეს თავის ჯალათებს“. ამ აქციის ფარგლებში გამოფინეს ზონდერბრიგადირების ფოტოები, სახელისა და გვარის მითითებით. მაგრამ მაშინ ამ ღონისძიებებს დიდი რეაქცია არ მოჰყოლია.

საკმარისი იყო, ირაკლი ალასანიას მოზონდეროებზე გაეკეთებინა განცხადება, რომ ხმაური ატყდა. რამდენიმე არასამთავრობო ორგანიზაცია ალასანიას მტკიცებულებების წარმოდგენას სთხოვს.

ნაციონალები კი, ნუგზარ წიკლაურის თამადობით, შეშფოთებული არიან ამ განცხადების გამო. ისინი შიშობენ, რომ ალასანიას ეს განცხადება შემთხვევით არ გაუკეთებია. სადღაც მართლებიც არიან, რადგანაც, როგორც წესი, ალასანია შემთხვევით განცხადებებს არ აკეთებს.

მის განცხადებას საქართველოს პრეზიდენტიც გამოეხმაურა. ქვეყნის პირველი პირი ამ ინფორმაციას უარყოფს და ვერსიებს აბსურდულად მიიჩნევს. შედარებით მცირე მასშტაბის ნაციონალები გვპირდებიან, რომ საქართველოში სამოქალაქო ომს აღარ დაუშვებენ.

სამოქალაქო ომზე არც ალასანიას შეფი და თანამებრძოლი ბიძინა ივანიშვილი საუბრობს. მისი მტკიცებით, არც ირაკლი ალასანიას უთქვამს სადმე, საქართველოში ომი იქნებაო.

– ირაკლის არ უთქვამს, რომ საქართველოში სამოქალაქო ომი დაიწყება. ირაკლი, უბრალოდ, აფრთხილებს მოსახლეობას, რომ შეიარაღებული ფორმირებები ყალიბდება დასავლეთში, რომ ხელისუფლება ამზადებს რაღაც ამის მსგავსს. არანაირი ომი არ იქნება, – განუცხადა გუშინ ივანიშვილმა ჟურნალისტებს.

ირაკლი ალასანიას განცხადებით, სამეგრელოში პოლიციური დაჯგუფებები ყალიბდება, რომლის გამოყენებასაც ხელისუფლება არჩევნებში წარუმატებლობის შემთხვევაში გეგმავს. მან ამის თაობაზე დიპლომატებთან შეხვედრაზეც ისაუბრა და აღნიშნა, რომ, ასე გაგრძელების შემთხვევაში, გამორიცხული არ არის, საქართველოში სირიის მაგალითი გამეორდეს, რასაც ოპოზიცია და „ქართული ოცნება“ არ დაუშვებს.

შეგახსენებთ, რომ ეს განცხადება ალასანიამ 15 მარტს დიპლომატებთან გამართულ შეხვედრაზე გააკეთა. მტკიცებულებების წარმოდგენა, სავარაუდოდ, ამ კვირაში მოხდება.

სანამ ალასანია მტკიცებულებებს აგროვებს და ახარისხებს, პორტალმა „ტსპრესმა“ ძალიან საინტერესო მასალა გამოაქვეყნა, რომელიც სოფელ ჯიხაშკარის სიახლოვეს მიმდინარე ამბებს უკავშირდება და, შესაძლოა, ეს სწორედ ისაა, რაზეც ალასანია საუბრობს.

### რა ხდება ჯიხაშკარში

„ახალი თაობა“ გთავაზობთ პორტალ „ტსპრესის“ მიერ მომზადებული მასალის ერთ მონაკვეთს. დასკვნებს, ალბათ, თავად გააკეთებთ.

ზუგდიდის სოფელ ჯიხაშკარის მცხოვრებთა თქმით, სოფელში სროლის ხმა ხშირად ისმის. ისვრიან ავტომატებიდან და ტაბელური იარაღიდან, თუმცა, ზამთრის დადგომისთანავე სროლის ხმა უფრო იშვიათი გახდა.

შესაქმნელი თუ უკვე შექმნილი შეიარაღებული დაჯგუფებების შესახებ ინფორმაციას ქართული პრესა აქტიურად აშუქებდა. მედიაში გავრცელებული ინფორმაციით, ზუგდიდის ზოგიერთ სოფელში, მათ შორის, ჯიხაშკარში, ე.წ. ზონდერებისთვის „სასროლეთები“ იყო მოწყობილი.

ტსპრესს.გე ჯიხაშკარში ჩავიდა და სიტუაციაში გარკვევას ადგილზე შეეცადა.

„ისმის სროლის ხმა, მაგრამ არ გვეშინია, ალბათ, პოლიციელები არიან“, – ამბობს მოხუცი ქალბატონი, რომელსაც ტსპრესს.გე სოფლის ცენტრში შეხვდა.

ჯიხაშკარელებმა შეიარაღებული დაჯგუფების შესახებ იციან, მაგრამ საუბარს ფრთხილობენ. ისინი ხშირად ხედავენ სამხედრო პიკაპებს, რომლებიც შემდგომ ტყეში უჩინარდებიან:

„ნებაყოფლობითი რეზერვის თაობაზე ყოფილან აქ, ცენტრში მოსულები, მაგრამ მე არ დავინტერესებულვარ, არ შევალ არასდროს და იმიტომ,“ – ამბობს ერთ-ერთი ახალგაზრდა ჯიხაშკარელი მამაკაცი.

„ზაფხულში ჯიხაშკარსა და მოსაზღვრე სოფლებში იყო წვრთნები. გავიგე, რომ აქ „კომანდოს“ ბატალიონსაც წვრთნიდნენ. რამდენჯერმე ისიც ვნახეთ, როგორ ჩამოსხეს ჯარისკაცები ვერტმფრენებიდან,“ – ამბობს მეორე. მისი თქმით, „პიკაპები ხშირად ჯარისკაცებით არის სავსე, რომლებიც, ალბათ, სადმე ახლომახლო გადაჰყავთ“.

„მეც მკითხეს ქალაქში, თქვენთან რამე ხდებაო? ზონდერბრიგადები რომც არსებობდნენ, ჩვენ არავინ გვანახვებს და გაგვაგებინებს რამეს. აქ ხშირად დადის, „პოლიცია“ რომ აწერია, ისეთი „პიკაპები“, მწვანე ფერის. ვინ არიან, რა ვიცი, აბა“, – ამბობს ერთ-ერთი ქუჩაში შემხვედრი ჯიხაშკარელი მამაკაცი.

ერთი ახალგაზრდა ქალბატონის თქმით, „პიკაპები“, ღამღამობით, ზოგჯერ ისეთი სიგნალებითა და „სირენებით“ დაქრიან, რომ ბავშვებს აღვიძებენ.

„შევწუხდით ძალიან და, როცა ვუთხარით, ასე ნუ ხმაურობთო, ცინიკურად მოგვიგეს მანქანიდან: რაო შეგაწუხეთო? – ამბობს ის და დასძენს, რომ ხმაური არც ამის შემდეგ შეწყვეტილა (არც ერთმა რესპონდენტმა, მოსალოდნელი პრობლემების შიშით, ვინაობის გამხელა არ ისურვა).

პორტალ „ტსპრესის“ ცნობით, ჯიხაშკარელებს შეკრება ჩაუტარეს და ნებაყოფლობით რეზერვზე ესაუბრნენ.

„სოფლის ცენტრში იყო შეკრება, ხალხს უთხრეს, რომ ნებაყოფლობითი რეზერვი ნატოს მოთხოვნააო. ეს იქნება სოფლის თავდაცვა და ნებისმიერი საგანგებო სიტუაციის დროს, როგორც ქუდზე კაცი, ისე უნდა გამოხვიდეთო. ეს იქნება წყალდიდობა, ხანძარი, ყაჩაღობა თუ ომი, ნებისმიერ სიტუაციაში მზად უნდა იყოთო“, – ამბობს სოფლის მკვიდრი ახალგაზრდა მამაკაცი, რომელსაც დაჯგუფებაში შესვლა ჯერ არ გადაუწყვეტია.

„ტსპრესის“ ცნობით, ჯიხაშკარელები ამბობენ, რომ ნებაყოფლობით რეზერვს ამ სოფელში „ზვიადისტი“ ვახტანგ ზარანდია ჩაუდგება სათავეში. ზარანდიას სახელი ადგილობრივებისთვის საქართველოს პირველი პრეზიდენტის უკანასკნელ დღეებთან ასოცირდება. სოფელში ამბობენ, რომ ზარანდია იარაღის უკანონო ტარების გამო ციხეში 4 წელი იჯდა და ორი წლის წინ გაათავისუფლეს.

ვრცელდება ასევე ინფორმაცია, რომ სამეგრელოს კონფლიქტისპირა რეგიონში აღნიშნულ დაჯგუფებებს ყოფილი მხედრიონელი, დათო შენგელია უხელმძღვანელებს. შენგელია წლების განმავლობაში ქართულ-აფხაზურ კონფლიქტში იბრძოდა და გალის მხედრიონს ხელმძღვანელობდა.

მისი სახელი ნარკობიზნესსა და აფხაზეთიდან გადმოტანილ კონტრაბანდულ საქონელსაც უკავშირდება. 2004 წელს იგი ნარკოტიკების შენახვა-რეალიზაციისათვის გაასამართლეს და 24-წლიანი პატიმრობა მიუსაჯეს.

თუმცა, 2010 წლის 1 დეკემბერს, 7-წლიანი პატიმრობის შემდეგ, ოფიციალური ვერსიით, ჯანმრთელობის გაუარესების გამო გაათავისუფლეს.

ნებაყოფლობით და ტერიტორიულ რეზერვში ცუდს ვერაფერს ხედავს ხელისუფლება. მათი მტკიცებით, ეს არანაირად არ უკავშირდება ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკაში მოსვლას.

ამბობენ, რომ აუცილებელია მოსახლეობის მომზადება, განსაკუთრებით – კონფლიქტის ზონის მახლობლად მდებარე რეგიონებში.

სამეგრელო კი აფხაზეთთან არის ახლოს. კონფლიქტის ზონის სიახლოვის გამო აქ ადრე ხშირად ხდებოდა ინციდენტები.

თუმცა, როგორც მშობლიური შსს ამბობს, ახლა აქ მსგავსი რამეები აღარ ხდება და, რადგან ასეა, ოპოზიციას აინტერესებს, მაშინ რა საჭიროა ტერიტორიული რეზერვი. ხელისუფლება ამბობს, რომ საჭიროა. იმედი ვიქონიოთ, რომ ეს ყველაფერი მართლაც კარგი მიზნისთვის კეთდება.

საწინააღმდეგოს დამტკიცებას ამ კვირაში ირაკლი ალასანია შეეცდება. ვნახოთ, რას იტყვის ერთ დროს ყველაზე კონსტრუქციული ოპოზიციონერი. მისმა თანამებრძოლმა ივანიშვილმა განაცხადა, რომ ალასანიას სულ სხვა რამ ჰქონდა მხედველობაში. ჰოდა, გავიგებთ, რა ჰქონდა გუმანში ალასანიას.

# პრეზიდენტი აშშ-საქართველოს ერთობლივ სამხედრო სწავლებას დაესწრო

საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი გუშინ ვაზიანის სამხედრო ბაზაზე აშშ-საქართველოს ერთობლივ სამხედრო სწავლებას დაესწრო. სამხედრო წვრთნებში საქართველოს შეიარაღებული ძალების მე-4 ქვეითი ბრიგადის სამხედროებთან ერთად შავი ზღვის მე-12 როტაციული ძალების 300-ზე მეტი საზღვაო ქვეითი იღებს მონაწილეობას.

ყოველწლიური სამხედრო წვრთნა აშშ-საქართველოს სამხედრო თანამშრომლობის ერთ-ერთი კომპონენტია. ამ პროგრამით საქართველოს შეიარაღებული ძალები ავღანეთის საერთაშორისო სამშვიდობო ოპერაციაში მონაწილეობისთვის ემზადებიან. წვრთნები 10 მარტს დაიწყო და 2 კვირის განმავლობაში გაგრძელდება.

საქართველოს პრეზიდენტთან ერთად სამხედრო სწავლებას თავდაცვის მინისტრი ბაჩო ახალაია, შეერთებული შტატების საზღვაო ქვეითთა ატაშე და ამერიკელი ინსტრუქტორები დაესწრნენ.

ნიუსპრესი

# ირინა სარიშვილი: სააკაშვილთან გარიგება დაუშვებელია!“

## „ბატონო ბიძინა, თუ ებრძვით სააკაშვილს, მე თქვენკენ ვარ, მაგრამ თქვენ ვისკენ ხართ?“

თამარ ნინიძე



**რატომ იქმნება სამეგრელოში გასამხედროებული ფორმირებები, მოსალოდნელია თუ არა სამოქალაქო დაპირისპირება? პოლიტიკოსი ირინა სარიშვილი სააკაშვილს არაადეკვატურ პიროვნებას უწოდებს, რომლისგანაც ყველაფერია მოსალოდნელი. „ახალი თაობა“ ირინა სარიშვილს ესაუბრა.**

***— პარლამენტში ოპოზიციამ სააკაშვილს ცხვირწინ აუფრიალა მისი მინისტრების სახლების ფოტოები, კორუფციაზე იყო ყურადღება გამახვილებული. როგორ შეაფასებთ ამ საკითხს?***

— მე, მართალი გითხრათ, არ მინახავს, რა მოხდა, მაგრამ ის, რომ სააკაშვილის ხელისუფლება კორუმპირებულია და, ყველა წინა ხელისუფლებისგან განსხვავებით, უკვე ლეგალიზებულია, ეს ფაქტია. სააკაშვილის ხელისუფლებას თავი მოაქვს იმით, რომ დარღვევები ნაკლებად ხდება, მაგალითად, დღეს პატრული ფულს არ გართმევს, ვერ მისცემ ფულს, მაგრამ ის თანხები, რაც ინიშნება ჯარიმად და სხვა ყველა სახის გადასახადები, ეხება სანოტარო თუ რეესტრის მომსახურებას, იმდენად მაღალია, ჩვეულებრივი ადამიანური პატივისცემით რომ უჯდებოდა ადამიანს, იმაზე გაცილებით მაღალი ფასებია. არავინ კითხულობს, ეს დიდი გადასახადები რა გზით უნდა გადაიხადოს მოსახლეობამ და, მით უმეტეს, თუ ასეთი გადასახადები იკრიფება, რატომ არ შედის ის ბიუჯეტში. თუკი შედის ბიუჯეტში, როგორ ხდება ისე, რომ არ იმატებს არც ერთი ადამიანის შემოსავალი და იმატებს მარტო ფასები. სტრატეგიულად სახლების სურათები რომ არ ვაფრიალოთ, კორუფცია დღეს უფრო დახვეწილი ფორმით არის, ვიდრე აქამდე ყოფილა.

***— სააკაშვილი ამბობდა, მერაბიშვილი და ადეიშვილი გაღლეტილები არიანო.***

— მერაბიშვილზე ვიცი რაც თქვა, როგორიც მოვიდა, ისევ ისეთიაო, არ ვიცი, რას გულისხმობდა, სიმაღლეში ვერ მოიმატებდა, იმიტომ რომ შს მინისტრია, როგორც მე ვერ გავიზრდები, რა თანამდებობაზეც უნდა დავინიშნო. მანამდე როგორი იყო მისი ფინანსური მდგომარეობა, ვერ გეტყვით, არ ვიცი, მაგრამ დღეს რომ მერაბიშვილს, ადეიშვილსა და სხვებს არ შიათ, ირონიით ვამბობ, ეს არავისთვის საიდუმლო არ არის. ვინ „დაუმალა“ ამის შესახებ სააკაშვილს, არ ვიცი.

***— მთავრობაში მზადდება ახალი კარუსელი. რა აზრის ხართ ჯანდაცვის მინისტრად ჭიაბერაშვილის დანიშვნაზე?***

— ცნობილი მეთოდია კარუსელის პრინციპით მინისტრების მონაცვლეობა, თუ არ ვცდები, შორი გზიდან ჩამოიყვანეს, როცა ჭიაბერაშვილზე გვიწევს საუბარი და მისი რალაც ადგილიდან მოხსნასა და სხვა ადგილზე დანიშვნაზე, ესეც უკვე მიმაჩნია ტრაგიკომედიად. ნორმალურ ქვეყანაში, არა მგონია, ამ ადამიანს რაიმე მნიშვნელობა ჰქონოდა თანამდებობრივი თვალსაზრისით, ისე ყველა ადამიანი ღირებულია.

***— კი მაგრამ, მიხეილ სააკაშვილი თქვენნაირად არ ფიქრობს, მან განაცხადა, რომ ამ ადამიანს დიდი ღვაწლი აქვს სამშობლოს წინაშე.***

— ძალიან მიხარია და ბედნიერი ვარ იმით, რომ მიხეილ სააკაშვილი ჩემნაირად არ ფიქრობს, თუ ჭიაბერაშვილისეულ ქართლის დედის დახასიათებას გავიხსენებთ, თუ ეს მიაჩნია დიდ ღვაწლად მიხეილ სააკაშვილს, ვერ გეტყვით და სხვა მისი გამონათქვამი ან მოქმედება, რომელიც ცუდად ან კარგად შეეხებოდა სამშობლოს, არ მახსენდება.

***— ამერიკის ელჩმა ჯონ ბასმა ფეისბუქით განცხადება გაავრცელა, ის შეშფოთებულია კონტროლის პალატის გადამეტებული აქტიურობით პარტიების დაფინანსების საკითხებში. დასავლეთი აქტიურად უნდა ერეოდეს ამ საკითხში?***

— მე როგორც რუსეთის წინააღმდეგი ვიყავი, როგორც ჩამრევის, ასევე სხვა ქვეყნის ჩარევის წინააღმდეგი ვიქნები. არც ჯონ ბასის არც სხვა ქვეყნის და არც რუსეთის საქმე არ არის, რომელ ქუჩას რა სახელს დაარქმევენ, ერთადერთი შესაძლებელია ქვეყანა შემოიფარგლოს ზოგადი მოწოდებით დემოკრატიისათვის, მაგრამ, არა მგონია, შეერთებული შტატები დღეს იმ მდგომარეობაში იყოს, თუ გავითვალისწინებთ მის მოქმედებას ერაყსა და ავღანეთში, რომ სხვას ასწავლიდეს დემოკრატიის დაცვას.

***— კოალიცია „ქართულ ოცნებას“ უკვე გოგი თოფაძეც შეუერთდა. ამაზე როგორია თქვენი კომენტარი?***

— ვერ ვიტყვი, რომ გოგი თოფაძე მეოცნებე კაცია, საბედნიეროდ, ის არ არის მეოცნებე, როგორც ჩანს, ეს საერთო ტალღაა, რომელსაც ყველა ადამიანი თავისი მოტივით აჰყვება, გოგი თოფაძე, სხვებისგან განსხვავებით, ფულის საშოვნელად არ იქნება ივანიშვილთან მისული, იმიტომ რომ მას საკუთარი შემოსავალი აქვს. საერთოდ, ასეთ შეკითხვებზე რომ გაგცეთ პასუხი, ჯერ ის უნდა მქონდეს გარკვეული, რას აპირებს ბიძინა ივანიშვილი, სამწუხაროდ, ამას ვერ ვიგებ, მე შემიძლია ვთქვა, რომ ჩემზე დიდი მოწინააღმდეგე ამ ხელისუფლებისა ამ ქვეყანაში არ მეგულება, ჩემი პირადი მტერიც რომ იყოს ის ძალა ან ის ადამიანი, რომელიც ამ ხელისუფლებას ისე გაისტუმრებს, როგორც გასასტუმრებელია, მე მისკენ ვიქნები. ახლა რიტორიკულად უნდა ვკითხო ივანიშვილს — ბატონო ბიძინა, მე თქვენკენ ვარ, თუ ებრძვით სააკაშვილს, მაგრამ თქვენ ვისკენ ხართ?

***— ივანიშვილი სახალხო კრების წარმომადგენლებს შეხვდა პოლიტიკოსების გარეშე, ნონა გაფრინდაშვილი უკმაყოფილო იყო იმის გამო, რომ ამ ჩანაწერის სრული ვერსია არ გავრცელდა, ივანიშვილმა კრიტიკული მოსაზრებები გამოთქვა ნინო ბურჯანაძის მიმართ. რატომ არ არის მოსაწონი ფიგურა ბურჯანაძე ივანიშვილისთვის და რატომ არის მოსაწონი კობა დავითაშვილი, რომელიც ასევე იყო მოსკოვში და ცდილობდა პუტინთან შეხვედრას?***

— გემოვნებაზე არ დავობენ. მთელმა საქართველომ იცის, რომ მე ბურჯანაძის მეხოტბე არა ვარ და ბევრ რალაცაში კატეგორიულად მიუღებელია ჩემთვის როგორც მისი წარსული, ისე დღევანდელი პოლიტიკური შეხედულებები, მაგრამ ივანიშვილის დასაწუნი ბურჯანაძეს არაფერი სჭირს, ეს ერთი, რაც უნდა წარმატებული ბიზნესმენი იყოს ივანიშვილი, როგორც პოლიტიკოსს, მას არანაირი გამოცდილება არა აქვს და მეორეც, როცა მის გვერდით არიან ისეთი სახელოვანი ადამიანები, როგორიც არის თუნდაც დავითაშვილი, ძიძიგური, რესპუბლიკელები, აბსოლუტურად „გაუგებარია“ ამ ვითარებაში რატომ დაიწუნა ივანიშვილმა ბურჯანაძე. უბრალოდ, მის გარიგებასა და გეგმებში, რომელიც უკავშირდება ამ ხელისუფლების ნაწილობრივ შენარჩუნებას ბურჯანაძისა და მისი ამბიციებისთვის ადგილი ვერ მოიძებნა. რაც შეეხება ნონა გაფრინდაშვილს, მე ამ ადამიანისგან ჯერ ტყუილი არ მომისმენია, არ გავრცელდა ის ვერსია, რომელიც ამ დღევანდელი მდგომარეობით საერთო გეგმას აწყობდა და გავრცელდა მონტაჟი, როგორც ძალიან ხშირად ხდება ხოლმე.

***— ირაკლი ალასანიამ განაცხადა, რომ ზუგდიდში იქმნება გასამხედროებული ფორმირებები, პოლიციური დანაყოფები, რომელიც თავდაცვის სამინისტროს ნებაყოფლობითი რეზერვია. ეს ინფორმაცია ნუგზარ წიკლაურმაც დაადასტურა. როგორ ფიქრობთ, ხომ არ არის საშიშროება, რომ არჩევნების წინ ვითარება დაიძაბოს და გადავიდეს საბრძოლო მოქმედებებში?***

— იმის გათვალისწინებით, რომ ჩვენ ადეკვატური პრეზიდენტი არ გვყავს, ყველაფერი შეიძლება იყოს მისგან მოსალოდნელი, ვერაფერს გამოვრიცხავთ. თუ ჩვენ საქმე გვაქვს გარიგების პროექტთან, თუ ეს გარიგება ეხება სააკაშვილსა და ივანიშვილს, ამ შემთხვევაში რეალური საშიშროება მოსალოდნელი არ არის, თუ გარიგებასთან არ გვაქვს საქმე და მხოლოდ ივანიშვილის შეცდომებზე შეიძლება ლაპარაკი, რადგან მან ბევრი შეცდომა დაუშვა პოლიტიკაში შემოსვლიდან დღემდე, თუ სააკაშვილს საარჩევნო შედეგი არ ესიამოვნება ან სხვა რამ, შეიძლება ვითარების გამწვავება დასჭირდეს, მაშინ ამაზეც წავა. არ არის გამორიცხული, ასეთი რამ გარიგების შემთხვევაშიც კი მოხდეს, რომ შენარჩუნდეს მომავალი საპარლამენტო არჩევნების შედეგები. მე დარწმუნებული ვარ და გამიხარდება, თუ არ აღმოვჩნდები სწორი, რომ მომავალი პარლამენტის ადგილები უკვე დათვლილია, პირველი-მეორე ადგილები უნდა გაიყონ ნაცმოძრაობამ და ივანიშვილმა, მოხდება არა ახალი ხელისუფლების შემოსვლა პოლიტიკურ არენაზე, არამედ დღევანდელ ხელისუფლებასთან პირობითად „ახლების“ შერევა იმიტომ, რომ არც რესპუბლიკელები, არც დავითაშვილი, არც ძიძიგური, რეალურად ამ ხელისუფლებისგან განსხვავებული და დაპირისპირებული არ არის, ასეთ ვითარებაში შესაძლებელია მდგომარეობის გამწვავება ხელს აძლევდეს როგორც სააკაშვილს, ისე ივანიშვილს. შეიძლება სააკაშვილმა პარლამენტის თავმჯდომარეობასაც კი მიაღწიოს, მეორე მხრივ კი ივანიშვილს ჰქონდეს საშუალება თავისი პასიურობის გამართლების, კი გამიყალბეს არჩევნები და ეს ხელისუფლება ცუდია, თუ არ დავყაბულდებით იმ მონაცემებს, რაც ახლა ხელთ გვაქვს, მაშინ შეიძლება ქვეყანაში დაიწყოს სამოქალაქო დაპირისპირება.

***— არის უამრავი ფაქტი, რომ ივანიშვილს ხელს უშლის ნაცმოძრაობა რაიონებში ოფისების გახსნასთან დაკავშირებით. თქვენ, ამის მიუხედავად, მაინც ფიქრობთ, რომ გარიგებული არიან სააკაშვილი და ივანიშვილი?***

— წარმოვიდგინოთ სააკაშვილი, რატომ არ უნდა შეუშალოს ხელი, სააკაშვილთან გარიგება ეს არის არაადეკვატურ ადამიანთან გარიგება, ეს წარმოუდგენელია. აქ ლაპარაკი იმ ძალაზე, რომელიც ერთნაირად მართავს და არეგულირებს მოქმედებებს როგორც სააკაშვილისას, ასევე მისი მოწინააღმდეგისას, იმიტომ რომ სააკაშვილის ხელისუფლებაში მოსაყვანად უზარმაზარი ფული ჩაიყარა როგორც რუსეთის, ასევე დასავლური, ამიტომ მისი შემცვლელები და მომავალი ხელისუფლება არ უნდა იყოს რადიკალურად განსხვავებული. იმიტომაც არის თანხვედრა ბევრ პოზიციაში. რატომ აღმოჩნდნენ ცოლ-ქმარი ხიდაშელები სააკაშვილის ოპოზიციაში? ერთს უნდოდა სახალხო დამცველობა, მეორეს — გენპროკურორობა. როცა ვერ მოხდა ამ პოსტებზე სააკაშვილთან შეთანხმება, ხიდაშელიც და უსუფაშვილიც უცებ აღმოჩნდნენ შეურიგებელ ოპოზიციაში. ამ დროს ეთანხმებოდნენ ეკლესიის დარბევაში, კოდორის ხეობაში რაც ჩაიდინეს, პოლიტპატიმრების დაკავებასა და ირაკლი ბათიაშვილის დაჭერაში.

# სააკაშვილმა ივანიშვილს თავისი ამერიკული ლობისტური ფირმა არ დაუთმო

დასაწყისი მე-2 გვერდზე

ბისა და მომსახურების დეტალები.

2010 წლის იანვრის ბოლოს, საქართველოს ინტერესების დასაცავად, საქართველოს მთავრობამ დაიქირავა წარმომადგენელთა პალატის დემოკრატიული უმრავლესობის ყოფილი ლიდერის, დიკ გეფჰარდტის მიერ დაარსებული ამერიკული ლობისტი ფირმა გეფჰარდტ გრუფ გავერნმენტ ეფეარსი. ფირმასთან დადებული ერთწლიანი ხელშეკრულების ღირებულება 436 000 ამერიკული დოლარი იყო.

„საერთაშორისო გამჭვირვალობა — საქართველომ“ რამდენიმე თვის წინ შეისწავლა საქართველოს და ამერიკულ ლობისტ ფირმებს შორის დადებული როგორც მოქმედი, ისე შეწყვეტილი ხელშეკრულებები, რომლებიც დარეგისტრირებულია აშშ-ს იუსტიციის სამინისტროს მიერ „უცხოური აგენტების რეგისტრაციის აქტით“ და შეადგინა მონაცემთა ბაზა, სადაც მოცემულია ამგვარი ხელშეკრულებების შემოკლებული ვერსიები. მაგალითად, ამჟამად ოკუპირებული ტერიტორიების ლეგიტიმური მთავრობების სახელით დაქირავებულ ორგანიზაცია მარკ სეილორს ევალებოდა პიარმომსახურება და კონსულტაციის გაწევა (მათ შორის, ომის დროს და ომის შემდეგ საქართველოს მთავრობის მიერ „სამხრეთ ოსეთის“ წინააღმდეგ წარმოებული ძვირად ღირებული და აგრესიული პოლიტიკის საპირისპიროდ, ასევე, იმის ასახსნელად, თუ როგორ დაიცვეს რუსეთის საჯარისო ფორმირებებმა „სამხრეთ ოსეთის“ მშვიდობიანი მოქალაქეები ქართული საჯარისო ფორმირებებისგან და თუ რამდენად საჭიროა რუსეთის ჯარების დატოვება „სახმრეთ ოსეთის“ რესპუბლიკის ტერიტორიაზე მისი საქართველოს მხრიდან ახალი თავდასხმისგან დასაცავად.

„საერთაშორისო გამჭვირვალობა — საქართველოს“ მონაცემებით, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, საქართველო მუდამ ქირაობდა პროფესიონალებს თავისი ინტერესების აშშ-ში ლობირებისათვის. სამწუხაროდ, 1990-იან წლებში საქართველოს მთავრობასა და აშშ-ს ფირმებს შორის დადებული იმ გარიგებების საჯაროდ ხელმისაწვდომი ჩანაწერები, რომლებიც საქართველოში უცხოური ინვესტიციების მოზიდვის ხელშეწყობას გულისხმობდა, არ შეიცავს ინფორმაციას კონტრაქტების ღირებულებაზე. ედუარდ შევარდნაძის პრეზიდენტობის ბოლო წლებში ლობისტურ საქმიანობებს აშშ-ში სახელმწიფოს საკუთრებაში მყოფი „საქართველოს რკინიგზა“ აფინანსებდა. ხელშეკრულებების მიხედვით, 2002 წლის დასაწყისიდან 2004 წლის დასაწყისამდე კომპანიამ 785 000 ამერიკული დოლარი დახარჯა.

გასულ წლებში საქართველოს ხელისუფლების მიერ ლობირებისათვის განკუთვნილი დანახარჯები მნიშვნელოვნად გაიზარდა. 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ საქართველომ 1,666 მლნ. ამერიკული დოლარის ღირებულების კონტრაქტები დადო ამერიკელ ლობისტებთან. 2004 წლის დასაწყისიდან, როდესაც მიხეილ სააკაშვილი მოვიდა ხელისუფლებაში, საქართველომ დახარჯა 2,619 მლნ. ამერიკული დოლარი აშშ-ში თავისი პოლიტიკური იმიჯის გამოსასწორებლად. კვლავ „საერთაშორისო გამჭვირვალობის“ მონაცემებით, ორიონ სოლუშონსი გასულ წლებში საქართველოს ყველაზე მნიშვნელოვანი ლობისტი იყო აშშ-ში. ამ კომპანიამ საქართველოს მთავრობასთან 800 000 ამერიკული დოლარის ღირებულების კონტრაქტები დადო. ამ კომპანიის დამაარსებელი, რენდი შეუნემანი, რომელიც მნიშვნელოვანი ფიგურა იყო ნეოკონსერვატორულ წრეებში პრეზიდენტ ჯორჯ ბუშის დროს, სხვა ქვეყნებისათვისაც ლობირებდა, კერძოდ: ტაივანისთვის, მაკედონიისთვის, მონტენეგროსთვის, ლატვიისა და რუმინეთისთვის. ორიონ სოლუშონსი ასევე მუშაობდა ეროვნული იარაღების ასოციაციისათვის და თავდაცვის კომპანია ლოკჰედ მარტინისთვის.

2007 წლის იანვარში შეუნემანი გახდა ჯონ მაკკეინის საპრეზიდენტო კამპანიის უფროსი მრჩეველი საგარეო პოლიტიკის საკითხებში და სენატორის კამპანიიდან 2008 წლის 15 მაისამდე მას თითქმის 70 000 დოლარი გადაუხადეს. ამ პერიოდში საქართველოს მთავრობისგან შეუნემანი 290 000 დოლარს იღებდა თავისი მომსახურებისთვის. შეუნემანი რუსეთ-საქართველოს ომის პერიოდში ასევე მაკკეინს აძლევდა რჩევებს.

„საერთაშორისო გამჭვირვალობა — საქართველოში“ დასძენენ, რომ საქართველოს ლობისტური საქმიანობის მონიტორინგი ამერიკის შეერთებულ შტატებს გარეთ შედარებით რთულია, რადგანაც ევროკავშირის კანონმდებლობა ნაკლებ ავალდებულებს ლობისტებს დარეგისტრირებას და თავიანთი საქმიანობის გამხელას. გარდიანის ანგარიშის მიხედვით, ბრიუსელში დაფუძნებულმა სააგენტომ, ასპექტ კონსალტინგმა 2007 წელს 500 000 ევრო მიიღო ევროკავშირში და ნატო-ში საქართველოს გაწევრიანების ხელშესაწყობად. რუსეთ-საქართველოს შორის კონფლიქტის ესკალაციის შემდეგ ორ ქვეყანას შორის პროპაგანდისტული ომი დაიწყო. ასპექტ კონსალტინგის დამფუძნებელმა პარტნიორმა, ჯეიმს ჰანტმა პრესასთან საუბრისას აღნიშნა, რომ მისთვის გაუგებარი იყო, თუ როგორ ახერხებდნენ პიარკომანიები რუსეთთან თანამშრომლობას.

— მე ანგელოზების მხარეზე ვარ, — თქვა მან.

მოკლედ, მიხეილ სააკაშვილს თავისი ლობისტების დიდი იმედი აქვს და უფრო იმედიანად რომ იყოს, ჩვენი ქვეყნის ბიუჯეტს არ ინანებს.

როგორც აღვნიშნეთ, ლობისტებთან მუშაობს ბიძინა ივანიშვილიც. სივილ ჯორჯიას მონაცემებით, 2011 წლის ბოლოს ივანიშვილმა ვაშინგტონში ლობისტური ფირმა ბი-არ-ჯი გავერმენთ აფეარსი დაიქირავა, რომელიც ბი-არ-ჯი გრუპის შვილობილი ფირმაა, ხოლო ეს უკანასკნელი ევროპაშიც ახორციელებს საქმიანობას.

წელს ივანიშვილმა დაიქირავა ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი ლობისტური და იურიდიული მომსახურეობის კომპანია პატონ ბოგსი. ამ ფირმის მიერ კონგრესისთვის წარდგენილ ლობისტური საქმიანობის განსაჯაროების რეგისტრაციაში აღნიშნულია, რომ პატონ ბოგსი ივანიშვილს უზრუნველყოფს საბანკო საქმიანობასთან დაკავშირებული ლობისტურური მომსახურეობით. ეს იმიტომ, რომ ცნობილია, ივანიშვილს საქართველოში ეკუთვნის „ბანკი ქართუ“, რომელიც საქართველოს ხელისუფლებას მრავალგზის ზეწოლაში ადანაშაულებს.

სივილ ჯორჯიას ცნობით, ასევე წელს, ივანიშვილმა აშშ-ში დაიქირავა საკონსულტაციო ფირმა ნეიშენალ სტრატეჯისი. ამ ფირმის მიერ კონგრესში წარდგენილ რეგისტრაციის ფორმაში ნათქვამია რომ კლიენტისთვის გასაწევ მომსახურეობაში შედის ივანიშვილის პოლიტიკური მოძრაობა „ქართული ოცნებისთვის“ სტრატეგიული კომუნიკაცია და საქართველოში კეთილდღეობის, დემოკრატიისა და ანგარიშვალდებულების შესახებ მისი პროგრამის პრეზენტირება. თავის მხრივ, ამ ფირმამ ივანიშვილის სახელით დამატებით დაიქირავა კიდევ ერთი ლობისტური ფირმა თათა მან უზრუნველყოს საქართველოში დემოკრატიული არჩევნების ჩატარებასთან დაკავშირებული ლობირება. ეს ფირმა ძირითადად აშშ-ის კონგრესში ლობირებაზე სპეციალიზდება. აშშ-ს მედია იტყობინება, რომ ივანიშვილის წარმომადგენლებს ჰქონდათ მცდელობა, გადაებირებინათ პოდესტა გრუპი და სანაცვლოდ მას ორჯერ მეტის გადახდასაც სთავაზობდნენ, ვიდრე კომპანია საქართველოს ხელისუფლებისგან იღებს, თუმცა ფირმა არ დათანხმდა. რესპუბლიკური პარტიის წევრმა თინა ხიდაშელმა, უარყო რომ პოდესტა გრუპთს ამგვარი წინადადება შესთავაზეს. სივილ ჯორჯიას ინფორმაციით, 2010 და 2011 წლის შეთანხმებებისგან განსხვავებით, ბოლო კონტრაქტი პოდესტა გრუპსა და საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს შორის ერთ ახალ მუხლს შეიცავს, რომლის თანახმადაც ფირმა თანხმობას აცხადებს, რომ ამ შეთანხმების ძალაში ყოფნის პერიოდში და მისი შეწყვეტიდან ექვსი თვის შემდეგ, ეროვნული უშიშროების საბჭოს წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე ის არ იმუშავებს არც ერთი პოლიტიკური პარტიისთვის, მოძრაობისთვის თუ გაერთიანებისთვის ან რომელიმე იმ ორგანიზაციისთვის, რომლებიც ქართულ პოლიტიკაზე გავლენის მოხდენას ცდილობენ. ასე რომ, სააკაშვილმა ივანიშვილს თავისი ლობისტები არ დაუთმო.

## ე.წ. სამხრეთ ოსეთში მსუბუქძრავიან თვითმფრინავს ააგებენ

ე.წ. სამხრეთ ოსეთში პირველი მსუბუქძრავიანი თვითმფრინავი ორ თვეში აშენდება. ამის შესახებ ჟურნალისტებს რუსული ავიაკომპანია „შენი ავიაცენტრის" გენერალურმა დირექტორმა ვიქტორ ბოიჩენკომ ცხინვალში, ე.წ. ეკონომიკის სამინისტროში თანამშრომლობის შეთანხმებაზე ხელმოწერის შემდეგ განუცხადა.

„განხზრახული გვაქვს, თვითმფრინავის სერიული წარმოების დაწყება ოსი ხალხის დამოუკიდებლობის დღეს, 20 სექტემბერს დავამთხვიოთ. ამ დღს ორი სერიული წრმოების თვითმფრინავი საჯაროდ აფრინდება" – განაცხადა ბოიჩენკომ. ბოიჩენკოს ინფორმაციით, თვთმფრინავს ოსი და პეტერბურგელი სპეციალისტები ააგებენ.

ცხინვალში თვითმფრინავის შექმნის პროექტს ბოიჩენკოს კომპანიის შვილობილი „შენი ავიაცენტრი– სამხრეთ ოსეთი" განახორციელებს.

მისივე ინფორმაციით, ე.წ. სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკაში სამოქალაქო ავიაციის მმართველი ორგანოს ფორმირებაც იგეგმება.

**ნიუსპრესი**

## ამ კვირაში პარლამენტი მთავრობისათვის ნდობის გამოცხადების საკითხს კენჭს უყრის

ამ კვირაში პარლამენტი მთავრობისათვის ნდობის გამოცხადების საკითხს განიხილავს. ამ საკითხს კენჭს 20 მარტისათვის დანიშნულ რიგგარეშე სხდომაზე უყრიან.

უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს მიერ აღმასრულებელი ხელისუფლებისათვის ნდობის გამოცხადების აუცილებლობა დღის წესრიგში შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრ ანდრია ურუშაძის შეცვლამ დასვა. მისი სახით მთავრობაში რიგით მეშვიდე მინისტრი შეიცვალა, რასაც პარლამენტისაგან მთავრობისათვის ნდობის ხელახლა გამოცხადების პროცედურა სჭირდება. ანდრია ურუშაძეს ზურაბ ჭიაბერაშვილი ცვლის. ურუშაძე კი სოციალურ საკითხებში თბილისის მერის მოადგილედ დაინიშნა.

მოქმედი კანონმდებლობით, მთავრობის თავდაპირველი შემადგენლობის ერთი მესამედით, მაგრამ არანაკლებ 5 წევრით განახლების შემთხვევაში პრეზიდენტი პარლამენტს საკადრო ცვლილებიდან ერთი კვირის ვადაში ნდობის მისაღებად მთელ მთავრობას წარუდგენს.

**მედიანიუსი**

## არაფორმალური განათლების საკითხებზე ტრენინგი ჩატარდა

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ორგანიზებით, ტრენინგი – „არაფორმალური განათლების აღიარება" ჩატარდა.

განათლების სამინისტროს ინფორმაციით, სახელმწიფოს ერთ-ერთი პრიორიტეტი პროფესიული განათლების განვითარებაა. შრომის ბაზრის მოთხოვნების საპასუხოდ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო პროფესიული განათლების კიდევ უფრო გაძლიერებასა და ხელშეწყობას გეგმავს.

სამინისტროს ინიციატივით, სტუდენტებთან ერთად პროფესიული განათლების მიღების და მისი გაღრმავების შესაძლებლობა ნებისმიერ მსურველს ეძლევა. არსებული რეგულაციები დიდ საშუალებას აძლევს იმ ადამიანებს, რომლებსაც უმაღლესი პროფესიული განათლება არ მიუღიათ, მაგრამ პრაქტიკული საქმიანობით დიდი გამოცდილება აქვთ შეძენილი, მაგალითად – მზარეული, კონდიტერი, გიდი, დურგალი, სამკერვალო ნაწარმის სპეციალისტი, სტილისტი, ღონისძიებათა მომწყობი, მეღვინე, კომპიურეტული გრაფიკოსი, Iთ, ზეინკალი, მემინანქრე, იუველირი, თექის ხელოსანი.

მათ შეუძლიათ, მათთვის სასურველ პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებას მიმართონ, სადაც მათი არაფორმალური განათლების აღიარება მოხდება. ეს ადამიანები პროფესიული დიპლომის მქონე პროფესიონალები გახდებიან და თავიანთი განათლებით შეძლებენ, უპასუხონ დღევანდელი შრომის ბაზრის გამოწვევებსა და მოთხოვნებს, დასაქმდნენ და მიიღონ მაღალანაზღაურებადი სამუშაო.

როგორც სამინისტროში აცხადებენ, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ ჩატარებული ტრენინგი – „არაფორმალური განათლების აღიარება" – ამ მოთხოვნების გამოძახილია. ტრენინგზე ცენტრის წარმომადგენლებმა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი კერძო და სახელმწიფო საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლებთან ერთად განიხილეს არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარების რეკომენდაციების პროექტი, მასში შესატანი ცვლილებები და დამატებების მომზადება-გათვალისწინების საკითხები.

მონაწილეებმა არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარების პროცედურის ეტაპებზე, მასში მონაწილე პირთა როლებსა და პასუხისმგებლობებზე, პროცესის სამართლიანობისა და გამჭვირვალობის უზრუნველყოფის მექანიზმებზე და მის სამართლებრივ შედეგებზე იმსჯელეს. ტრენინგის შემდეგ, მონაწილეები პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების განსაზღვრას, შესაბამისი შეფასების მეთოდებისა და ინსტრუმენტების შემუშავებას შეძლებენ.

**ინტერპრესნიუსი**

# ნუკრი ქანთარია: ოპოზიციას ახლა შეცდომის დაშვების უფლება არა აქვს!"

### ჯვრის მონასტერთან დაკავშირებით ხელისუფლება იტყუება

შორენა კოწოწაშვილი

## ინტერვიუ ქართული აკადემიის" წევრ ნუკრი ქანთარიასთან

***– ბატონო ნუკრი, როგორ აფასებთ ხელისუფლების და პირადად პრეზიდენტ სააკაშვილის ბოლო განცხადებებს? პოლიტიკოსები ფიქრობენ, რომ სააკაშვილი დაბნეული და განერვიულებული მოქმედებს.***

– ბოლო თვეებში აშკარა გახდა, რომ სააკაშვილი უკვე თავის კონტროლს აღარ ექვემდებარება. ამაზე მიანიშნებს იგივე თელავის კადრები და წნორში საავადმყოფოს გახსნაც. სააკაშვილის ნაბიჯებს ეტყობა, რომ ის წაგებულის პოზიციიდან მოქმედებს და ისტერიკაშია. აქედან გამომდინარე, ის, ერთი მხრივ, ძალიან საშიში ხდება, ხოლო მეორე მხრივ მნიშვნელოვანი ის არის, რომ ხელისუფლება მართლაც წაგებულის მდგომარეობაშია და ამას გრძნობს. ამ დროს არის საჭირო სიფრთხილე, რომ სააკაშვილმა საშიში ქმედება არ ჩაიდინოს, დაახლოებით ისეთი, წაგებულმა ჰიტლერმა რომ თქვა: მეტროში გაუშვით წყალი. დაიღუპოს ხალხი, რადგანაც დამარცხებული ერი სიცოცხლეს არ იმსახურებსო. რაღაც ამგვარი ასოციაციები მოდის კახეთის გამოსვლების შემდგომ. ამავე დროს დაიწყო ენკავედეს რეინკარნაცია ე.წ. დემოკრატიულ საქართველოში. ამაზე ქართულმა აკადემიამ განცხადებაც გავავრცელეთ. ფაქტია, ხალხს იბარებენ რაიონებში, დაბებში, ეუბნებიან, გაიხადე ფეხზე, გაიხადე ტანზეო. არის ფსიქოლოგიური დათრგუნვის პროცესი. ეს ყველაფერი მოწმობს, რომ ხელისუფლების მდგომარეობა ისტერიკულია. ვფიქრობ, ამან საზოგადოებაში გარკვეული სოლიდარობა გამოიწვია.

***– თქვენ ხელისუფლების წაგებულ პოზიციაზე საუბრობთ, თუმცა, პრეზიდენტმა საპარლამენტო ტრიბუნიდან ოპოზიციას მიანიშნა, თქვენ წაგებულის პოზიციიდან საუბრობთო.***

– ფაქტი ის არის, რომ ახლა წაგებულის მდგომარეობაში თვითონ სააკაშვილია, იმიტომ რომ სააკაშვილმა ძალიან ადრე დაიწყო სირბილი და საავადმყოფოების გახსნა. ნაადრევად შექმნა ისეთი ილუზია, რომ, ფაქტობრივად, ყველაფრის შემძლეა, ვეღარ მოიგონა, რა გააკეთოს ახალი და ლაზიკის მშენებლობა მოიფიქრა. მერე, ალბათ, კოსმოსის საკითხებზე დაიწყებს ლაპარაკს. ფეხბურთის საკითხებზე ილაპარაკა და ეს იყო მორიგი ტყუილი. მერე საუბარი წავიდა ჯვრის მონასტრის დაბრუნებაზე, რაც ასევე ტყუილია. ასე რომ, გარკვეული ჩიხი იქმნება. ახლა ოპოზიციურ ფლანგზე საჭიროა სწორი ნაბიჯების გადადგმა. ძალიან სწორად მოქმედებს ბიძინა ივანიშვილი, რომელიც ამ ყველაფერს უპირისპირებს დიდ სიმშვიდეს, მხნეობას. ივანიშვილმაც დაიწყო სიარული. მართალია, თანდათან ხვდება სამოქალაქო პირებს, ჩადის რაიონებში. გარკვეული პერიოდის შემდეგ გაიხსნება მართლაც პოლიტიკური ცეცხლი.

***– დარწმუნებული ხართ, რომ ივანიშვილის ფლანგი გამარჯვებულის პოზიციაზეა? არჩევნებს ის იგებს, ვინც ხმებს ითვლის.***

– კი, მაგრამ არჩევნებამდე უნდა მივიდეთ. არჩევნებამდე უნდა მივიდეთ სოლიდური გაერთიანებით და ყველაზე დიდი დამკვირვებელი უნდა იყოს ქართველი ხალხი. თავიდან ხალხი იყო ძალიან ემოციურ მუხტზე, მერე გადავიდა მოლოდინის რეჟიმში. ახლა მას აუცილებლად სჭირდება რაღაც ისეთი საქმეების დანახვა, რომ გაუჩნდეს რწმენა რეალური ცვლილებებისა და ამაში თვითონაც მიიღოს მონაწილეობა. ბატონ ბიძინას მე ვუთხარი კიდეც, რომ კამპანია უნდა იყოს შთამბეჭდავი. მან მითხრა, ეს ჯერ ადრეა, ეს აუცილებლად იქნებაო. ამ შეხვედრისას გამიჩნდა აზრი, რომ ივანიშვილს პოლიტიკური პროცესის რიტმი ძალიან კარგად უჭირავს ხელში, კარგად ესმის იმ შეცდომების, რომლებიც ხდება მის ირგვლივ, მაგრამ ძირითადი გეზი და კულმინაცია როდის უნდა იყოს და როდის უნდა თქვას მან, რომ ვიწყებთ მშვიდობიან შტურმს. დარწმუნებული ვარ, ივანიშვილმა იცის ზღვარი, ეს როდის უნდა მოხდეს.

***– როგორ აფასებთ სახალხო კრებასთან მიმართებით ივანიშვილის ნაბიჯებს და სწორად გაღიზიანდა კრების ერთი ნაწილი, რომელიც ფიქრობს, რომ ივანიშვილი მათ ბურჯანაძის ღალატისკენ უბიძგებს?***

– იყო დრო, როცა ბიძინა ივანიშვილი პოლიტიკაში არ იყო და ყველას გვქონდა საშუალება, ვისაც რა გვინდოდა, ის გვეკეთებინა. ამ ყველაფრით კი სრული გაჩანაგება მივიღეთ პოლიტიკურ ოპოზიციურ სპექტრში. ამ ყველაფერმა ივანიშვილი აიძულა, შემოსულიყო პოლიტიკაში თავისი ავლადიდებით, თავისი ოჯახით. ახლა ის არის მესაჭე. ივანიშვილი არის ამ სცენარის ავტორი და რეჟისორი. მას აქვს აღებული პასუხისმგებლობა, ამ სცენარში ვის რა როლი ექნება, ვინ სად უნდა იდგეს. თუ ამ სცენარში ზოგიერთი პოლიტიკოსი ვერ ჯდება, ეს ივანიშვილის პრობლემა არ არის. პასუხისმგებლობა ამ ყველაფერზე ივანიშვილმა აიღო. ამიტომ გეუბნებით, რომ რჩევები ახლა ძალიან ძნელია, თუ ვინ უნდა იყოს „ქართული ოცნების" გვერდით და ვინ – არა. ეს ამ შემთხვევაში მხოლოდ ივანიშვილის გადასაწყვეტია.

***– ანუ ამ მოძრაობის მიერ წამოწყებული პოლიტიკური პროცესი ერთი კაცის ნება-სურვილით იმართება?***

– ერთი კაცის ნება-სურვილით არ იმართება, მაგრამ სწორედ ეს ერთი კაცი ამ შემთხვევაში საზოგადოების ძირითადი იმედია. თუ ამ პროცესს ივანიშვილს გამოვაკლებთ, ისევ მივიღებთ იმ პოლიტიკურ ველსა და უიმედობას, რომელიც გვქონდა. ეს კარგია თუ ცუდი, ერთი საკითხია, მაგრამ ეს არის გამოუვალი მდგომარეობა. კარგი იქნებოდა, რომ სულ არ გამხდარიყო საჭირო საქმის აქამდე მისვლა. ალბათ, არც ივანიშვილს უნდოდა, პოლიტიკაში მოსულიყო. კარგი იქნებოდა, პოლიტიკური ჯგუფები ყოფილიყვნენ იმდენად ძლიერი, რომ ეს ხელისუფლება დაემარცხებინათ, რადგან ამ ქვეყანაში სხვა გამოსავალი არ არის. ამიტომ აიღო პასუხისმგებლობა ივანიშვილმა თავის თავზე. სწორედ ის წყვეტს ახლა თავის გუნდთან ერთად, ვინ რა ფლანგი უნდა დაიკავოს.

***– ლეიბორისტები ფიქრობენ, რომ სააკაშვილიც და ივანიშვილიც ერთი პოლიტიკური ცენტრიდან იმართებიან და ამერიკა ურჩევს ივანიშვილს, ვინ დაიყენოს გვერდით და ვინ – არა.***

– არ ვიცი, მე ვფიქრობ, ლეიბორისტები ბოლო ხანებში საკმაოდ ასცდნენ მისამართებს. რამდენიმემ ამის გამო პარტიაც დატოვა. მათ შორის, ლიდერებმაც. საკმაოდ აჭრილები არიან. ვფიქრობ, ამაზე კომენტარი ახლა არც ღირს. ჩემი აზრით, ახლა ლეიბორისტები კომპასის გარეშე მოქმედებენ.

***– სწორია, თქვენი აზრით, კოალიციის გადაწყვეტილება, რომ ამ ეტაპისთვის შედარებითი ინერტულობა შენარჩუნდეს?***

– ჯერჯერობით ყველაფერი ფრთხილად ვითარდება. სამაგიეროდ, ჩანს ის დიდი შეშფოთება ხელისუფლების მხრიდან, რომელიც ივანიშვილის გამოჩენას მოჰყვა. ადრე გვახსოვს, ოპოზიციურ ფლანგზე მთავარი „დუხი" და ემოცია იყო. ახლა ყველაფერი მოსამზადებელია და ამზადებენ კიდეც. ივანიშვილთან შეხვედრის შემდეგ ასეთი აზრი გამოვიტანე – მზადება მიდის იმისათვის, რომ ყველაფერი ამოქმედდეს ერთდროულად. ეს ყველაფერი უნდა მოხდეს გარკვეულ ვადებში და მანამდე არ უნდა გაიხსნას პოლიტიკური ცეცხლი, რომელიც ვერ მისწვდება



მოწინააღმდეგეს.

***– ხელისუფლება ყველაფერს აკეთებს, რომ ივანიშვილმა თავისი დიდი ფინანსური კაპიტალი ვერ დახარჯოს ქართულ პოლიტიკაში. ფიქრობთ, რომ ივანიშვილი მაინც შეძლებს სათანადო ფინანსების მობილიზებას?***

– ეს არის მისი პირადი ფული. მე ვფიქრობ, მოინახება ლეგალური გზები იმისათვის, რომ საარჩევნო კამპანიაში ფული დაიხარჯოს. ახლა მისი მრჩეველი ფურნიე გახდა. ე.ი. მისი მასშტაბი საკმაოდ იზრდება. ვფიქრობ, მოინახება წინასაარჩევნო კამპანიის დასაფინანსებელი ფული. ამის ლეგალური გზები არსებობს. მართალია, ამ მხრივ არის შეფერხებები. ყველა კანონს ქმნიან ივანიშვილის წინააღმდეგ. მაგრამ, თუ ქმედითი ნაბიჯები დროზე გადაიდგმება, არც გვიან და არც ადრე, ვფიქრობ, ამ შემთხვევაში წარმატება გარანტირებული იქნება. და კიდევ ერთი: ძალიან ბევრი გამოჩნდა ახლა ოპოზიციურ ფლანგზე, საზოგადოების წარმომადგენლებიც, რომლებიც თავისდაუნებურად თესავენ ნიჰილიზმს, რომ აქედან არაფერი გამოვა და რომ არჩევნებს მაინც მიშა მოიგებს. კარგი იქნებოდა, სურვილების დონეზე ყველაფერი ითქვას, მაგრამ გამოითქვას ისეთი სურვილები, რომლებიც პროცესს არ დააზარალებს. ვიცი, რომ დღე არა აქვთ ჩაგდებული და ემზადებიან სერიოზული შტურმისათვის. ნაადრევად გასროლა რომ მოხდეს, ეს გამოიწვევს აურზაურსა და ქაოსს. ეს ყველაფერი არის ივანიშვილის სტრატეგიული ნაბიჯები, რომელიც ამ ეტაპზე ასე ჩანს.

***– პატარკაციშვილის ერთი ფრაზა, „გასროლა", კარგად ვიცით, ხელისუფლებამ როგორც გამოიყენა. თქვენ რას გულისხმობთ ამ ფრაზაში?***

– მე ვგულისხმობ პოლიტიკურ გასროლას და ამ შემთხვევაში შტურმის დაწყებას და აქტიურ საარჩევნო კამპანიას. პოლიტიკური ცეცხლი კი არის აქტიური კამპანიის დაწყება, რომელიც უნდა მოხდეს, ალბათ, სექტემბერში. ამან უნდა მიიღოს ძალიან შთამბეჭდავი სახე.

***– თქვენ აღნიშნეთ, ხელისუფლება დაბნეულისა და შეშინებულის პოზიციიდან მოქმედებსო. ვინ უფრო მეტად არის შეშინებული, სააკაშვილი თუ მისი გუნდი?***

– ესენი ამ ეტაპზე ყველა ხერხით შეეცდებიან ერთიანობის შენარჩუნებას. ჯერჯერობით ისინი ერთიანობას ინარჩუნებენ, მაგრამ მოდის ინფორმაციები, რომ საკუთარ მომავალზე ფიქრი დაიწყეს. განსაკუთრებით ის ადამიანები ფიქრობენ მომავალზე, რომლებიც ამ ქვეყანაში აპირებს ცხოვრებას.

## სამხედრო ჰოსპიტალით მოსარგებლეთა წრე ფართოვდება

თავდაცვის სამინისტროს სამხედრო ჰოსპიტალით მოსარგებლეთა წრე ფართოვდება. ამასთან დაკავშირებით თავდაცვის მინისტრმა „საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო მოსამსახურეთა, სახელმწიფო სპეციალური წოდების მქონე და სამოქალაქო პირთა შრომის ანაზღაურების, სოციალური დაცვისა და მატერიალური უზრუნველყოფის შესახებ" ბრძანებაში ცვლილება შეიტანა.

აქამდე დაკონკრეტეული იყო, რომ სამხედროების გარდა, ჰოსპიტალში არსებული სამედიცინო მომსახურებით სარგებლობის უფლება ჰქონდათ თავდაცვის მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით განსაზღვრული კატეგორიის პირებს, თუ ისინი წარმოადგენენ საქართველოს თავდაცვის სამინისტროდან დათხოვნილ სახელმწიფო კომპენსაციის თუ პენსიის მიმღებ პირებს და მარჩენალის გარდაცვალების გამო სახელმწიფო კომპენსაციის/პენსიის მიმღებ პირებს და მათი ოჯახის წევრებს. ასევე, საბრძოლო მოქმედებების, საერთაშორისო მშვიდობისა და უსაფრთხოების შენარჩუნებისა და აღდგენის ან სხვა სახის სამშვიდობო ოპერაციებში მონაწილეობის დროს დაღუპულის ოჯახის წევრებს.

მინისტრის ახალი ბრძანებით კი დგინდება, რომ სამხედრო ჰოსპიტლის მომსახურებით სარგებლობის უფლება, „თავდაცვის მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით განსაზღვრულ სხვა კატეგორიის პირებსაც" ექნებათ.

მინისტრის ბრძანება საკანონმდებლო მაცნეში უკვე გამოქვეყნდა.

**ინტერპრესნიუსი**

## საწვავი ისევ ძვირდება

საქართველოში საწვავის ფასი ისევ იმატებს.

უკვე მეორე დღეა თითქმის ყველა კატეგორიის ლიტრი საწვავი 5 თეთრით ძვირად იყიდება კომპანია „ვისოლის" ავტოგასამართ სადგურებზე.

16 მარტის მონაცემებით, კომპანიაში ლიტრი „ევრო რეგულარი 93"-ს ტიპის ბენზინი 2.25 ლარი ღირდა, გუშინ კი – 2.30 თეთრი. 2.25 ლარიდან 2.30 ლარამდეა გაძვირებული დიზელ ენერჯიც.

ჯერ-ჯერობით, ფასებს ინარჩუნებს „ლუკოილ ჯორჯია", სადაც ევრო რეგულარი 2.15 ლარი ღირს, ევრო დიზელი 2.40 თეთრი.

„გალფ ჯორჯიაში" „ევრო რეგულარის" ფასი დღეისთვის 2.20 ლარია, ხოლო „ევრო დიზელის" – 2.37 ლარი.

ბოლო პერიოდში მსოფლიოში, ასევე ირანში შექმნილი ვითარების გამო, საწვავის ბაზარზე ფასები მერყეობს. მაგალითად, 15 მარტის ვაჭრობის შედეგად, ლონდონის ბირჟაზე ბარელი ნავთობი 123.45 აშშ დოლარი ღირდა, ნიუ იორკში კი – 105.11 აშშ დოლარი.

**ნიუსპრესი**

## საარსებო მინიმუმი 1 ლარით შემცირდა

საარსებო მინიმუმის მაჩვენებელი ერთ თვეში 1 ლარით შემცირდა.

სტატისტიკის სამსახურის ინფორმაციით, მიმდინარე წლის თებერვალში საარსებო მინიმუმი 156.2 ლარზე დაფიქსირდა, ხოლო იანვარში იგი 157.2 ლარს შეადგენდა. 2012 წლის თებერვალში ერთსულიანი ოჯახის საარსებო მინიმუმი 138.3 ლარია, ორსულიანი 221.3 ლარი, ექვსულიანი და მეტი ოჯახისთვის კი – 367.9 ლარი. ამასთან, 2011 წლის თებერვალში საარსებო მინიმუმი 158.7 ლარს შეადგენდა, ერთსულიანი ოჯახისთვის ეს მაჩვენებლი – 140.6 თეთრით იყო განსაზღვრული. „საქსტატი" საარსებო მინიმუმის მაჩვენებლებს მინიმალური სასურსათო კალათის მიხედვით ანგარიშობს.

**ნიუსპრესი**

# ყოველ გაყიდულ ლიტრ ბენზინზე 30 თეთრი პრეზიდენტის ოჯახში მიდის

გულიკო ბალაძე

## ინტერვიუ არასამთავრობო ორგანიზაცია გადაარჩინე სიცოცხლის" დამფუძნებელ იური ვაზაგაშვილთან

***— ბატონო იური, „გადაარჩინე სიცოცხლის" წარმომადგენლებს, რომლებიც ხელმოწერებს აგროვებდნენ ქალაქებში, რაიონებსა თუ სოფლებში ბიძინა ივანიშვილისთვის მოქალაქეობასთან დაკავშირებით რაიმე პრობლემა ხომ არ შეჰქმნიათ? მოგეხსენებათ, ბოლო რამდენიმე დღეა „ქართული ოცნების" აქტივისტებს იბარებენ, ჩხრეკენ, შეურაცხყოფას აყენებენ და დაკითხვებს უწყობენ.***

— ჩვენთან ამ პროცესში ძალიან ბევრი ხალხი იყო ჩართული. ალბათ — 5-6 ათასამდე საქართველოს მასშტაბით. ხელმოწერებს ერთი თვის განმავლობაში ვაგროვებდით. მოხდა ისე, რომ ვარკეთილის დასახლებაში პედაგოგი ლაშა ჯაჭვანი გაათავისუფლეს, რომლის პროცესიც ორშაბათს, 19 მარტსაა. ჩვენმა ადვოკატებმა გაასაჩივრეს. ვითხოვთ, აგვიხსნან, რის საფუძველზე გაათავისუფლეს. მას ხუთი ადვოკატი იცავს. ასეთი შემთხვევა იყო კიდევ ფოთში, სადაც ასევე სკოლის პედაგოგი გაათავისუფლეს. მესამე შემთხვევა იყო ახლა ჩოხატაურში, სადაც პიროვნება დაჰკითხეს. მასზე პირდაპირი ზეწოლა განხორციელდა — ეკითხებოდნენ, ვაზაგაშვილმა ფული მოგცაო? მსგავსი ფაქტები მეტი აღარ ყოფილა, ალბათ, იმიტომ, ეტყობა იციან, რომ ჩვენ იმ ხელმოწერებს უანგაროდ, ენთუზიაზმით ვაგროვებდით. როგორც კი პარტიებმა დაიწყეს შეგროვება, ჩვენ შევწყვიტეთ ხელმოწერების შეგროვება, თორემ დარწმუნებული ვარ, 600-800 ათას ხელმოწერას შევაგროვებდით. შეიძლება მილიონამდეც ავსულიყავით.

ისინი თავიანთ კოორდინატორებს ფულს უხდიდნენ. თუმცა, ამ შემთხვევაშიც რა უფლება აქვს კონტროლის პალატას, ისინი დაადანაშაულოს, თუ ადამიანი დადის და ხელშეკრულებაც გაფორმებული აქვს. პარტიას შეუძლია დაამტკიცოს ფულის წარმომავლობა და ოფიციალურადაც გაფორმებული აქვს, ამაში ვერავითარ დანაშაულს ვერ ვხედავ.

***— თქვენი წარმომადგენლების სამსახურებიდან გათავისუფლება და დაკითხვაც არ არის მისაფუჩეჩებელი საქმე.***

— დიახ. ამიტომ გავასაჩივრეთ სასამართლოში. ეს სერიოზული დარღვევაა. ადამიანმა გამოხატა თავისი ნება თავის სამეზობლოში, თავის უბანში, თუ ვარკეთილის დასახლებაში. ელემენტარულად, უთხრა მათ, თუ გამოხატავდნენ მათ პოზიციას. რა იყო იქ დარღვევა? ეს არ არის პოლიტიკა. ეს არის ელემენტარულად ადამიანის უფლებების დაცვა, რომელიც საქართველოს საზოგადოებამ არ ვიცით. ამიტომ ვართ ასეთ დღეში. ბიძინა გამოჩნდა, განცხადება გააკეთა და მას და მის მეუღლეს, ქალბატონ ეკატერინე ხვედელიძეს, მოქალაქეობა ჩამოართვეს. ჩვენ ვითხოვდით მოქალაქეობის მინიჭებას. ელემენტარულად, ნებისმიერი მოქალაქე ვალდებული იყო ამ უკანონობას წინ აღდგომოდა. უკანონობას წინ ხომ უნდა აღუდგე?

***— რა თქმა უნდა.***

— რა იყო მის განცხადებაში ისეთი, რომ მოქალაქეობა ჩამოართვეს? ნუთუ ბატონ ბიძინას იმის დამსახურება არ ჰქონდა, რომ საქართველოს მოქალაქე ყოფილიყო. დარწმუნებული ვარ, ნებისმიერ ქვეყანაში, სადაც არ უნდა წავიდეს, მოქალაქეობას მისცემენ. საქართველოში ოთხი თვეა აჭიანურებენ მოქალაქეობის მინიჭებას. კაცი ამხელა სიკეთეს აკეთებდა, მაგრამ პოლიტიკაში მოსვლის თაობაზე განცხადების გამო, ამხელა ბარიერები შეუქმნა. ეს სერიოზული დარღვევაა. მართალია მოკლე პერიოდში 300 ათასი ხელმოწერა შეგროვდა და ეს სერიოზული მიღწევაა, მაგრამ, ვფიქრობ, ეს კიდევ არ არის საკმარისი. აუცილებლად უნდა დავდგეთ ერთად. სხვანაირად მომავალ ხელისუფლებასაც ვერ მიუთითებ — მომავალი ხელისუფლებაც, ღმერთმა დაგვიფაროს და იგივე იქნება — მომავალი ხელისუფლებაც შეიძლება ნაციონალებს დაემსგავსოს. ამიტომ საზოგადოება მომთხოვნი უნდა იყოს.

***— ბატონო იური, ერთად დგომაში, კონკრეტულად, რას გულისხმობთ, რა უნდა გაკეთდეს?***

— იცით, რა უნდა გაკეთდეს? ჩვენმა საზოგადოებამ პასუხი უნდა მოსთხოვოს ხელისუფლებას ჩადენილი დანაშაულობების გამო. მე და თქვენ 24 საათი არ გვეყოფა იმ დანაშაულობების ჩამოსათვლელად, რაც ხელისუფლებას აქვს ჩადენილი. ნებისმიერ დანაშაულზე, ნებისმიერ დარღვევაზე, ერთმანეთს მხარში უნდა დავუდგეთ. აუცილებელი არ არის, ის პოლიტიკოსი, ან ცნობადი სახე იყოს. საცოდავ, გაჭირვებულ კაცს და ნებისმიერ მოქალაქეს გვერდით უნდა დავუდგეთ. ჩვენ მათი უფლებები უნდა დავიცვათ. ამ შემთხვევაში კანონს კი არ ვარღვევთ, უკანონობას ვებრძვით. უკანონობას წინ უნდა აღვუდგეთ (დანარჩენი, კანონი კანონია). აქ რა არის ცუდი? გაგვიყიდეს ქვეყანა, გაგვინადგურეს მთელი ხეტყე, ბაღები. ქვეყნის ტერიტორიები დაკარგეს, ციხეებში უბედურება ტრიალებს, ქუჩებში შვი-



ლები დაგვიხვრიტეს, კერძო საკუთრებას ხელყოფენ, სამედიცინო სფეროში ჩავარდნაა, კატასტროფულია ეკონომიკური მდგომარეობაც. ყველა სფეროში ცუდადაა საქმე. რატომ არ უნდა ვიყოთ მომთხოვნები, რატომ?

***— თან რომ გვეუბნებიან, სიბნელეში იყავით, სინათლეში გამოგიყვანეთ და ჩაგვჩიჩინებენ, ქვეყანას ვაშენებთო? შავზე გვეუბნებიან, თეთრიაო...***

— სინათლეში გამოგიყვანეთო, რომ ამბობენ და ელექტროენერგიასა და გზებს გვაყვედრიან, ტყუიან. ეს არის ბიზნესი. თუ ნეტავი ისე გაუნათებს იმ გაჭირვებულებს, რომ არ დაამციროს? დენს მაშინვე უთიშავენ, როგორც კი ვერ გადაიხდის. რაც ნაგვის გადასახადთან დაკავშირებით გააკეთებს, მსგავსი რამ მსოფლიოში არ არის. რამდენი რამ ჩამოვთვალოთ? სიცივეში, ვისაც სხვა საშუალება არ აქვს და ელექტროგამათბობელს ხმარობს, ნაგვის გადასახადიც ბევრი მისდის. მაგალითად, ჩემს მეზობელს 67 ლარი ნაგვის გადასახადის გადახდა მოუწია. დენს და გაზს ხუთმაგ ფასში ყიდიან. გზების 80% კრედიტითაა გაკეთებული, ანუ სინამდვილეში გზები ჩვენი გაკეთებულია, მათი კი — არა. ეს კრედიტები და ვალები ჩვენმა შვილებმა და შვილიშვილებმა უნდა იხადონ. ნუ გვაყვედრიან!

***— ვინმემ იცის, ამ ხიდებისა და გზების მშენებლობაში ზუსტად სად რამდენი იხარჯება? ამდენ უაზრო ხიდებს რომ ჩხლართავენ და ფულს აწერენ, გასარკვევია, ამ სფეროში რა ხდება.***

— გეთანხმებით, მაგრამ მხოლოდ ეს არ არის პრობლემა. ისიც გასარკვევია, ჩვენთან სურსათი ხელოვნურად როგორ არის გაძვირებული. ნაციონალები და მათი ახლობლები ყველგან მონოპოლისტები არიან, საწვავიდან დაწყებული. ყველა გაყიდულ ლიტრზე 30 თეთრი პრეზიდენტის ოჯახში მიდის. შარშან შაქარი 2 ლარი და 70 თეთრი რომ ღირდა, ჩვენ დავრეკეთ საერთაშორისო ბირჟაზე (იქ რაღაც არხებით გავედით), სადაც გავიგეთ, რომ 1 ლარი და 15 თეთრი ჯდებოდა განბაჟებული შაქარი ფოთამდე. 2 ლარი და 70 თეთრი იყო ე.წ ,,ოფტავოი" ფასი. რას გვაყვედრიან, გვაყაჩაღებენ. ხელისუფლებაში სუფთა ყაჩაღები არიან, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით.

***— ბატონო იური, ახლახან ჩვენ მოწმე გავხდით ხელისუფლების ძალადობრივი ქმედებისა და კიდევ ერთი მსხვერპლისა. თქვენ იმყოფებოდით ხაშურის პოლიციაში დაღუპული მოქალაქის ოჯახში. ე.ი. ხელისუფლებას ხელი არ აუღია ადამიანების ფიზიკურ განადგურებაზეც? თუ არა თქვენ, ვინ შეიძლება იცოდეს, რა განცდაა, როდესაც ოჯახის წევრს, შვილს ფიზიკურად გინადგურებენ. აშკარაა, ხელისუფლება კიდევ არ შეეშვა მკვლელობებს, ადამიანების ფიზიკურ განადგურებას, ძალადობებს, დაპატიმრებულთა და დაკავებულთა წამებას..***

— არა. ჩვენ უბრალოდ, შევძელით ქუჩაში დახვრეტა შეგვეჩერებინა, მაგრამ გადავიდნენ ციხეებში ადამიანების განადგურებაზე! მოგეხსენებათ, რამხელა მსხვერპლია ციხეებში. ხაშურის პოლიციაში დაღუპული პიროვნება, მიცვალებული ქიმერიძე, საშინელ მდგომარეობაში იყო. ხომ ნახეთ, გარეთ რამდენი ხალხი დააყენეს, ნაცების მხარდამჭერები? ახალგაზრდა ადამიანები გააგიჟეს. დაღუპულის ოჯახს პოლიცია ჩაუსახლეს. პოლიცია შიგნით, სახლში, იჯდა და ოჯახის წევრებს უფებას არ აძლევდა, თავიანთი მიცვალებული დაეტირებინათ. დააშინეს გაჭირვებული ოჯახი. ეს ნამდვილად მკვლელობა იყო. ამ ფაქტიდან ჩანს, როგორი ხელისუფლება გვყავს. წარმოიდგინეთ, როგორ მფარველობენ, როგორ იცავენ დამნაშავე პოლიციელებს. ხომ შეიძლებოდა გამომძიებდელი ან იმ პოლიციის უფროსი დაესაჯათ? სპეციალურად არ სჯიან, რომ იგივე გაიმეორონ, ხვალ-ზეგ პოლიცია იყოს უფრო თავზეხელაღებული, იცოდეს, რომ მის უკან დგას ხელისუფლება და მისი მფარველია. მთელმა საქართველომ დაინახა, თბილისიდან ჩასული ხალხი პანაშვიდზე რომ არ შეგვიშვეს.

***— პირველ პოლიციელს ჰგონია, რომ დიდი საქმე გააკეთა, როცა გამოვიდა და თქვა, ხაშურის პოლიციის უფროსი გავათავისუფლე და კადრების განკარგულებაში გადავიყვანეო. ასეთი ფაქტის შემდეგ პირის გათავისუფლება საკმარისია?***

— რეალურად, არავინ იცის, ხაშურის პოლიციის უფროსი მართლა გაათავისუფლეს თუ არა. ჩემი ზურასა და სხვების მკვლელები, ყველა თავისუფალია. არც ერთი მკვლელი დასჯილი არ არის. ერთადერთი, ბუტა რობაქიძის მკვლელები ჩასვეს, მაგრამ (სირცხვილი) ორ წელში გამოუშვეს. სანდროს მკვლელებიდან, ხომ ნახეთ, ჯერ ვინ ჩასვეს, მთელი შემკვეთები და მკვლელები გარეთ დატოვეს. შემდეგ, წარმოიდგინეთ, ისინიც პრეზიდენტმა შეიწყალა. მათ ციხეში ყოფნის დროს „აგულავებდნენ". ეს ხომ ყველამ ვიცით. გამცემლიძის (რომელსაც სამი ბავშვი ობლად დარჩა) მკვლელს ორი წელი მისცეს. ეს ხომ მართლა სამარცხვინოა? ჩემი შვილის მკვლელები დააწინაურეს. ახლა გავიგე, გიორგი ცააძე (ვინც პირველმა ისროლა) ყოფილა დაპატიმრებული. შიგნით ეტყობა რაღაც მოხდა და ამიტომ ჩასვეს. დანარჩენი გიორგი ფირცხალავა და სხვები დაწინაურებულები არიან. ამიტომ ჩემზე კარგად ვინ იცის, რა დღეში იყო ის ოჯახი. რომ ვუყურებდი, მათი ცოდვით ვიწვოდი. როგორია, შვილს რომ მოგიკლავენ და იმის დატირების საშუალებასაც არ გაძლევენ, მხოლოდ მოხუცი დედა ბედავდა ტირილს, მიშველეთ, ხალხო, ექსპერტიზა ჩაუტარეთ, შვილი მომიკლესო. მეუღლე და შვილები დააშინეს. არ უნდა დაშინდე, მაგრამ თვითონ ქვიშხელები სად არიან? რა უფლება ჰქონდა ვილაცა არაჭირისუფალს, კარებში რომ ჩადგა. ხომ უნდა გამოსულიყვნენ ქვიშხელები, ხელი მოეკიდათ და იქიდან ესროლათ. ზოგი არყით იყო გაჟღენთილი, ზოგი ფხიზელი გახლდათ. ისინი ხელებს შლიდნენ, პროვოკაციას გვიწყობდნენ, მაგრამ არ ავყევით.

***— რა იგრძენით და რა იფიქრეთ, პოლიციაში დაღუპული ადამიანის ოჯახში რომ მიხვედით და არ გიშვებდნენ?***

— რაც მაშინ ჩვენ ვიგრძენით, ის ეგრძნოს მიშას და ვანო მერაბიშვილს თავის ადეიშვილთან ერთად. ამას ვუსურვებდი ნამდვილად. მაშინ გაიგებს, რამხელა მტკივნეული და დამამცირებელია, შავებში ჩაცმული ადამიანები მე, ია გამცემლიძე და მთელი ინტელიგენცია (აკადემია, ქალბატონი ქეთი დოლიძე და ვინ არ იყო) მივედით და არ შეგვიშვეს. ისეთი დამცირება ვიგრძენი, ენით ვერ გამოვთქვამ — თქვენ ვინ ხართ? მერე რა, რომ... აი, კიდევ მოვკალით მორიგი! აბა, ვინ ხარ, რა შეგიძლია, რას წარმოადგენ? იცით, როგორი დამამცირებელი და მტკივნეული იყო?

***— თქვენთანაც ხომ არ გაუბედავთ მსგავსი, ვთქვათ, თქვენი შვილის გასვენებაში ხალხი რომ არ შემოეშვათ?***

— მაშინ მაგას ვერ გაბედავდნენ იმიტომ, რომ ის მაინც სოფელია, ხოლო აქ ათასობით ადამიანი იყო მოსული მოსასამძიმრებლად.

***— ქიმერიძისა და თქვენი ბიჭების დაღუპვა ამ ხელისუფლებას შერჩება?***

— ყველაფერი დამოკიდებულია ჩვენს საზოგადოებაზე. ნებისმიერ ხელისუფალს, ვინც არ უნდა მოვიდეს, საზოგადოებამ თუ არ მოვთხოვეთ პასუხი და მაგრად არ დავდექით, რომ მკვლელები აუცილებლად დაისაჯონ, ყველა გვერდს აუვლის, მაგრამ ჩვენ ამის საშუალებას არ მივცემთ. მომავალი თაობა დაცული უნდა იყოს და ამ ქვეყანაში ბედნიერად იცხოვროს. მკვლელები ციხეში უნდა ისხდნენ.

***— როგორ ფიქრობთ, რატომ იფარავენ პრეზიდენტი და მისი მინისტრები დამნაშავე, მკვლელ პოლიციელებს? ეს ხომ მათ საზოგადოებაში სახელს არ მატებს?***

— ნაციონალებს საზოგადოება არ აინტერესებთ. მათ ჩამოჰყავთ ახალციხიდან და ბინძურ საქმეებს აკეთებინებენ კახეთში, კახელი მიჰყავთ ცაგერში და იქ აკეთებინებენ ბინძურ საქმეს. ასე ცაგერელი მიჰყავთ გურიასა და სამეგრელოში. მკვლელებს იმიტომ არიან გადაფარებულები, უამრავი სიბინძურე გააკეთებინეს და თუ არ დაიცავენ, შეიძლება ნებისმიერი ყველაფერს მოყვეს. მერწმუნეთ, დღემდე ყველა საქმე, დაწყებული ჟვანიას მკვლელობიდან, თაროზე აქვთ შემოდებული. ჩემი შვილის მკვლელობის საქმეც ასეა. ჩემი ზურას მანქანა, ნივთმტკიცება, სამინისტროშია და არ იძლევიან.

***— რატომ არ გაძლევენ?***

— იმიტომ, რომ იციან, ექსპერტიზისთვის მინდა. ყველა მკვლელი პოლიციელი, დაზარალებულადაა დაკითხული და აძლევს ჩვენებას, რომ მას იარაღი არ ამოუღია. პოლიციელები იყვნენ პისტოლეტებით, „სპეცნაზი" კი — ავტომატებით. მანქანა მთლიანად დაცხრილულია პისტოლეტებით გასროლილი ტყვიებით. თუ არ უსვრიათ, როგორ მოხდა, რომ მანქანა საცერივითაა დაცხრილული. იციან, ამაზე ექსპერტიზას ჩავატარებ. ან კიდევ, არის კი ის მანქანა სამინისტროში? სამინისტროს ეზოში იყო დაყენებული, კიბესთან და გადაფარებული ჰქონდა. ღმერთმა იცის, კიდევ თუ არსებობს. შეიძლება მანქანა გაანადგურეს კიდეც. მე ხომ ვიცი, საიდან უნდა დავიწყო, თუ მომეცა იმის საშუალება, დამნაშავეებს პასუხი ვაგებინო, დამნაშავეების ჯაჭვი წავა მაღალჩინოსნებამდე, რომლებიც დღეს თანამდებობებზე არიან. ზოგიერთი კიდევ „ჩალიჩობს" მომავალ ხელისუფლებაში თანამდებობაზე დასარჩენად. დამნაშავეები რომ დააპატიმრონ, ხომ შეიძლება რაიმე თქვან, მაშინ ყველაფერს ფარდა აეხდება. ვის აწყობს ეს? დღევანდელ ხელისუფლებას ეს აწყობს? კეკუა იმიტომ ჩამოახრჩეს.

***— შიგნით შეიძლება მოხდეს დაპირისპირება?***

— დიახ. ცააძეს იმდენი სიბინძურე გააკეთებინეს, შეიძლება, მანაც გაიზიაროს კეკუას ბედი და საკანში ჩამოახრჩონ. ბოლოს ასეთებს იცილებენ თავიდან. ნაციონალები უბინძურესი ხალხია. ესენი არიან საქართველოს მტრები. სააკაშვილმა კახეთში რომ დაალო პირი და ტყუის, საქართველოს აღმშენებელი ვარო და დეკლარაციაში ბათუმი შეიტანა, ხომ ნახეთ, რა დღეში იყო...

***— სააკაშვილი კორუფციაში რომ ამხილეს, იმის გადაფარვას არ ცდილობს? მთელი ბათუმი ათხრილ-დათხრილია, მეჩეთების აშენება უნდა და ვინ მისცა მას ბათუმი, რა აღმშენებლობაა?***

— ეს ხელისუფლება არის კორუმპირებული. ვინ მისცა ბათუმი, თავის დეკლარაციაში რომ შეიტანა, ამდენი ბიჭები ქუჩაში რომ დახვრიტა, პასუხისმგებლობა არ აცდება. ამ ხელისუფლებამ პასუხი აუცილებლად უნდა აგოს. თუ მომავალი ხელისუფლება კიდევ ვინმეს აპატიებს დანაშაულს, მომავალი ხელისუფლებაც ასეთი იქნება.

***— შევარდნაძეს რომ აპატიეს, ამიტომ არიან ნაციონალები დიდ გულზე.***

— დიახ. რაც შეეხება ბათუმის ამბებს, ბათუმში იმდენი ცოდვა აქვს მიშას ჩადენილი, იმდენი ცოდვა, იმდენი გაუპატიურება, რომელიც ხალხმა იცის და ელოდებიან იმ მომენტს, როცა პასუხს აგებინებენ. თუ ჰგონია მიშას, ის შერჩება, ძალიან ცდება...

***— ვინ ჩაიდინა გაუპატიურება?***

— პრეზიდენტმა. ყველამ ყველაფერი იცის და ბათუმი ტყუილად ჰგონია მისი.

***— პრეზიდენტმა ჩაიდინა?***

— ჰო, მთელი ბათუმი ამას ლაპარაკობს. მინდა მთელ საქართველოს, ქართველ საზოგადოებას მივმართო — „ქართული ოცნების" სახით გამოჩნდა ბოლო იმედი. ღმერთი არ გვწირავს. ღმერთმა გამოგვიგზავნა კაცი, გააჩინა იმედი და გადარჩენის შანსი. ახლა ბუტიობის დრო არ არის, ყველა დადგეთ ერთად და გადავარჩინოთ ჩვენი მომავალი. თუ ამას არ გავაკეთებთ წელს, შემდეგ სახლებში კი არ უნდა დავსხდეთ, ყველა ერთად მტკვარში უნდა გადავეშვათ.

## ილია II: უფალი ადამიანს ისეთ ჯვარს აძლევს, რომლის ტარების ძალაც ექნება"

საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი უწმინდესი და უნეტარესი ილია II მრევლს სხვა ადამიანების დახმარებისკენ მოუწოდებს.

პატრიარქმა სამების საკათედრო ტაძარში ქადაგებაზე გუშინ იმ ჯვარზე გაამახვილა ყურადღება, რომლის ტარებასაც უფალი ადამიანს აკისრებს.

იგი განმარტავს, რომ ხშირად ადამიანი თავისი ჯვრით უკმაყოფილოა და ის მძიმეც ეჩვენება.

— მაგრამ ჩვენ უნდა ვიცოდეთ, რომ უფალი ყოველ ადამიანს ისეთ ჯვარს აძლევს, რომლის ტარების ძალაც ექნება. ამ ჯვართან ერთად ძალასაც აძლევს და ადამიანმა ამ ჯვრით უნდა განვლოს თავისი გზა, — ბრძანა პატრიარქმა.

იგი მრევლს სხვა ადამიანების დახმარებისკენ მოუწოდებს.

— როცა უჭირს ადამიანს, სულიერად თუ მატერიალურად უნდა შევეშველოთ მას, დავეხმაროთ და ვუშველოთ მძიმე ჯვრის ტარებაში, — აღნიშნა ილია II.

პატრიარქის თქმით, ჯვარცმა და აღდგომა ერთმანეთთან მჭიდროდ არის დაკავშირებული — ჯვარცმა რომ არ ყოფილიყო, აღდგომა ვერ შედგებოდა.

— ჯვარი არის უდიდესი ძალა, რომელიც უფალმა გვარგუნა. ჯვარი იყო ადამიანის ტანჯვის იარაღი და ის იესოს ჯვარცმის შემდეგ მის სადიდებლად იქცა, — განაცხადა ილია II.

ამასთან, პატრიარქმა აღნიშნა, რომ საპატრიარქოს ლოცვა-კურთხევით, სამღვდელოების ნება და პარაკლისის სრულიად უფასოდ სრულდება. თუმცა, ვრცელდება ხმები, რომ გარკვე-



ული ერისკაცები ოჯახებში დადიან და ამბობენ, რომ პატრიარქის ლოცვა-კურთხევით არიან და დახმარებას ითხოვენ. პატრიაქრი განმარტავს, რომ ეს სიმართლე არ არის და ასეთი ერისკაცი მრევლმა არ უნდა მიიღოს.

საკვირაო ქადაგების შემდეგ, იღუმენი იოანე სვანიძე არქიმანდრიტის ხარისხით დაჯილდოვდა, ხოლო მღვდელ გიორგი წვერიძე ოქროს ჯვრით და იგი დეკანოზის ხარისხში იქნა აყვანილი.

ნიუსპრესი

# რატომ არ უშვებენ ქართული პარტიის“ გენმდივანს საქართველოდან

შორენა კოწოწაშვილი

„ქართული პარტიის“ გენერალური მდივანი ირაკლი დოლაბერიძე მის მიმართ გამოვლენილ პოლიტიკურ ზეწოლაზე საუბრობს და შს სამინისტროს წინააღმდეგ სასამართლოში სარჩელის შეტანას გეგმავს.

„ქართული პარტიის“ ერთ-ერთი ლიდერი და კარატეს ფედერაციის გენერალური მდივანი აცხადებს, რომ მას ქვეყნის გარეთ არ უშვებენ და არც იმაც ეუბნებიან, რომ უზღუდავენ ამ უფლებას. დოლაბერიძე სახალხო დამცველ გიორგი ტუღუშს და შესაბამის სტრუქტურებს მიმართავს, მიაწოდონ ინფორმაცია და გაასაჯაროონ, კონკრეტულად რა მოტივით ეკრძალება მას ქვეყნიდან გასვლა.

როგორც ირაკლი ოქრუაშვილის თანაგუნდელი აცხადებს, რომ მას ორჯერ არ მისცეს ქვეყნიდან გასვლის უფლება, როცა ის პარტიის წევრებთან რამაზ იოსელიანთან და თეო ტლაშაძესთან ერთად საფრანგეთში „ქართული პარტიის“ ლიდერ ირაკლი ოქრუაშვილთან პოლიტიკური კონსულტაციებისთვის მიემგზავრებოდა.

აღსანიშნავია, რომ ორივეჯერ უპრობლემოდ გადაკვეთეს საზღვარი რამაზ იოსელიანმა და თეო ტლაშაძემ, დოლაბერიძეს კი საპასპორტო კონტროლის გავლის შემდეგ პასპორტი უკან დაუბრუნეს და უთხრეს, რომ მას ქვეყნის დატოვება ეკრძალება.

— მე არა ვარ მიცემული სისხლის სამართლის პასუხისგებაში, არ ვარ პრობაციონერი და არ არსებობს კანონით გათვალისწინებული არანაირი ღონისძიება, რის საფუძველზეც შეიძლება შემეზღუდოს კანონის საფუძველზე მონიჭებული გადაადგილების თავისუფლება. პოლიტიკური მოღვაწეობის გარდა, ვარ კარატეს ეროვნული ფედერაციის გენერალური მდივანი და საქართველოს ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელი, ასევე — საერთაშორისო კატეგორიის მსაჯი. ხშირად მიწევს საერთაშორისო ტურნირებსა და ჩემპიონატებში მონაწილეობის მისაღებად საზღვარგარეთ გამგზავრება, — აცხადებს ირაკლი დოლაბერიძე.

„ქართული პარტიის“ გენერალური მდივანი, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, დახმარებისთვის სახალხო დამცველს მიმართავს, თუმცა, ამ ეტაპზე ჯერ კიდევ უცნობია, რატომ არ გაუშვეს დოლაბერიძე მიმდინარე წლის 6 იანვარს და 11 მარტს საფრანგეთში.

იმის გასარკვევად, თუ რის საფუძველზე ეკრძალება ირაკლი დოლაბერიძეს ქვეყნიდან გასვლა, „ქართული პარტიისა“ და კარატეს ეროვნული ფედერაციის სახელით მან არაერთხელ მიმართა შინაგან საქმეთა სამინისტროს, თუმცა, იანვრიდან დღემდე პასუხი არ მიუღია.

— მიმაჩნია, რომ ეს არის „ქართული პარტიის“ მიმართ ზეწოლის მორიგი გამოვლინება, რომლის მიზანია დაშინება და პოლიტიკური ანგარიშსწორება. მივმართავ შინაგან საქმეთა სამინისტროს, გამცეს დასაბუთებული პასუხი, რატომ მეზღუდება გადაადგილების უფლება. „ქართული პარტია“ უახლოეს დღეებში შინაგან საქმეთა სამინისტროს წინააღმდეგ სასამართლოშიც შეიტანს სარჩელს, მიყენებული მატერიალური და მორალური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით, — აცხადებს ირაკლი დოლაბერიძე.

***— ბატონო ირაკლი, ფიქრობთ, რომ პარტიული ნიშნით შეგიზღუდათ ხელისუფლებამ საფრანგეთში ვიზიტი?***

— იცით, რომ ჩვენ ჩავატარეთ პარტიის ყრილობა, სადაც ავირჩიეთ ახალი მმართველი ორგანოები. ამ საკითხებთან დაკავშირებით პოლიტიკურ კონსულტაციაზე მივდიოდით ირაკლი ოქრუაშვილთან მე, თეო ტლაშაძე და რამაზ იოსელიანი. საპატრულო პოლიციამ საზღვრის გადაკვეთის უფლება მხოლოდ მე არ მომცა. მითხრეს, რომ უნდა მიმემართა მათი ხელმძღვანელობისათვის წერილობით, თუ რატომ მეზღუდება გადაადგილების უფლება. მეც მივმართე და მათ ათ სამუშაო დღეში უნდა მოეცათ პასუხი. პარალელურად მივმართე სახალხო დამცველსა და დიპლომატიურ კორპუსს, თუმცა მხოლოდ ჩეხეთის საელჩო გამომეხმაურა. ინფორმაციისთვის მივმართე შს სამინისტროს როგორც პარტიის სახელით, ასევე კარატეს ფედერაციის სახელით, თუმცა დღემდე პასუხს არავინ მცემს. კარატეს ფედერაციიდან ხშირად მიწევდა საზღვარგარეთ ყოფნა და აქამდე პრობლემა არ მქონია. მიწევს საერთაშორისო ასპარეზობებში მსაჯობა და ა.შ. ამიტომ ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანია, დროულად შევიტყო, რატომ მეზღუდება ქვეყნიდან გასვლა და როგორ აღმოვჩნდი შს სამინისტროს მონაცემთა ბაზაში, ანუ რისთვის გამაწითლეს. ვერც სახალხო დამცველის ოფისმა, როგორც წერილობით მაცნობეს და ვერც სხვა სამსახურებმა ვერ მოგვცეს ინფორმაცია, რატომ მეზღუდება კონსტიტუციურად გარანტირებული გადაადგილების უფლება.

***— ანუ დღემდე არც ერთი ორგანო არ გაძლევთ წერილობით პასუხს, რატომ არ გაგიშვეს საზღვარზე და რა მიზეზით აღმოჩნდით პოლიციის მონაცემთა ბაზაში?***

— დღემდე პასუხს არავინ გვცემს. ყველა შესაბამის ინსტანციას მივმართეთ წერილობით. შს სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტს ოფიციალურად მიმართა აგრეთვე კარატეს ფედერაციამაც, თუმცა, წერილობითი პასუხი არც ფედერაციას მიუღია. ჩემთვის ცნობილია, რომ განცხადება ხიზანიშვილს აწერია და მისი მხრიდან არანაირი რეაგირება არ არის განცხადებაზე. შს სამინისტროს მონაცემთა ბაზაში რომ ვირიცხები, ესეც მას შემდეგ შევიტყვე, როცა მე და რამაზ იოსელიანი 11 მარტს მივდიოდით პარიზში და იქ საპატრულო პოლიციის თანამშრომელმა მითხრა, საზღვრის გადაკვეთის უფლებას ვერ მოგცემთ, რადგან თქვენ მონაცემთა ბაზაში ზიხართო. მაინტერესებს, როდიდან და რომელი სამსახურის მიერ, რის საფუძველზეა შეტანილი ჩემი გვარი შს სამინისტროს მონაცემთა ბაზაში.

***— თქვენ უფრო პარტიულ საქმიანობას უკავშირებთ?***

— შეიძლება, მაისის აქციებიდან არის შეტანილი, როცა ჩვენი თანამოაზრეები აქციებზე ვიყავით და ორ ათეულზე მეტი ჩვენი პარტიის მხარდამჭერია დღეისათვის დაპატიმრებული. ფაქტია, რომ მაისის აქციებამდე მე შეზღუდვა არ მქონია და საფრანგეთის საკონსულოდან მიღებული მაქვს ერთწლიანი ვიზა.

***— იურისტებს თუ მიმართეთ დახმარებისთვის, რათა მათი მხრიდან მაინც მოგეძიათ საჯარო ინფორმაცია?***

— რა თქმა უნდა. დაახლოებით 5 დღის წინ ხელახლა მივმართე სახალხო დამცველს, ახალგაზრდა იურისტებსა და კონსტიტუციის 42-ე მუხლს. მათ ვთხოვე, როგორმე მომეხმარონ, იქნებ სასამართლოს გზით მაინც მოვახერხო ამ ინფორმაციის მიღება, თუ რატომ მიკრძალავს შსს ქვეყნიდან გასვლას. იურისტებმა ამიხსნეს, რომ მათ აქვთ უფლება, სასამართლოს გზით გამოვითხოვოთ შსს-ს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტიდან შესაბამისი ინფორმაცია, ანუ რის საფუძველზე ფიქსირდება ჩემი გვარი შსს-ს მონაცემთა ბაზაში. გარდა ამისა, სასამართლოს წინაშე მატერიალური და მორალური ზიანის ანაზღაურების საკითხსაც დავაყენებ, არა იმიტომ, რომ გარკვეული თანხა დავხარჯე ორჯერ თვითმფრინავის ბილეთის აღებაში და სასტუმროს დაჯავშნაში, არამედ იმაზეც, რომ უკანონოდ მეზღუდება გადაადგილების უფლება.

***— როგორ ვარაუდობთ, ეს შეზღუდვა თქვენს პოლიტიკურ საქმიანობას უკავშირდება? სხვა მიზეზს გამორიცხავთ?***

— ვარაუდის დონეზე მაინც ჩემს პოლიტიკურ საქმიანობას ვუკავშირებ. ბოლო ყრილობის შემდეგ მე გავხდი პარტიის გენერალური მდივანი და დამევალა ორგანიზაციული საკითხების მოგვარება, რომელიც აქამდე მართლაც პრობლემური იყო. მანამდე პარტიაში რეგიონებს ვხელმძღვანელობდი. ვფიქრობ, ამ გზით ცდილობდნენ ჩემს განეიტრალებას, იმიტომ რომ საფრანგეთში პირველი არგაშვების შემდეგ ჩემს სახლთან ორი კვირის განმავლობაში მიდიოდა ორი-სამი მანქანის 24-საათიანი მორიგეობა. სადაც მივდიოდი, მომყვებოდნენ. ეს საეჭვო მანქანები იდგნენ ჩემს გარაჟთანაც. ამ მანქანების ფოტოები გამაჩნია. აღნიშნული ფოტოები და მანქანების ნომრები გადაგზავნილი მაქვს სახალხო დამცველის ოფისში. ამ გზით ჩემზე ახორციელებდნენ ფსიქოლოგიურ ზეწოლას.

***— სახალხო დამცველის მხრიდან თქვენი განცხადება რეაგირების გარეშე დარჩა?***

— მიპასუხეს, რომ განცხადებით შესაბამის სამსახურებს მიმართეს, ფოტომასალაც გააგზავნეს, მაგრამ პასუხი არ მიიღეს.

# ირაკლი ალასანია: სააკაშვილი ველარ შეგვაჩერებს!“

ქეთი ხომერიკი

**რას დაჰპირდნენ დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლები, როგორ დაიცავს პოლიტიკური პოლიციისგან თავის მხარდამჭერებს, როგორ აპირებს არჩევნების არჩევნებამდე მოგებას და რატომ არის დარწმუნებული, რომ პოლიტიკურ ნაგავს მალე გაიტანს ქვეყნიდან? „ახალ თაობას“ „ჩვენი საქართველო–თავისუფალი დემოკრატების“ ლიდერი ირაკლი ალასანია ესაუბრა.**



ირაკლი ალასანია

**ირაკლი ალასანია:**

— დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლების პირველ პირებს დეტალურად მივაწოდეთ ინფორმაცია თითოეულ დაკითხულ ადამიანზე, თუ როგორ ესაუბრება მათ პოლიტიკური პოლიციის, ანუ კონტროლის პალატის წარმომადგენელი, რა პრეტენზიებს უყენებს და, რა თქმა უნდა, ასევე, ავუხსენით ის, რომ გახშირდა თავად პოლიციის — კუდის მხრიდან პირდაპირი ფიზიკური რეპრესიები ჩვენი წარმომადგენლებისა და ზოგადად მოქალაქეების მიმართ. ინტერესი ძალიან მაღალია, ისინი დაგვპირდნენ, რომ ამ ინფორმაციას დღესვე მიაწვდიან დედაქალაქებს და საერთაშორისო თანამეგობრობის მხრიდან იქნება რეაგირება.

***— მაინც რა რეაგირება?***

— რეაგირება იმ კუთხით, რომ ისინი გამოუშვებენ დამკვირვებლებს, რომლებიც რეგიონებში შეამოწმებენ რეპრესიების ფაქტებს, შემდეგ, ბუნებრივია, ამას მოჰყვება შეფასებები დემოკრატიის ხარისხთან დაკავშირებით საქართველოში. ასევე გამოუშვებენ დამკვირვებლებს მედიის მონიტორინგის კუთხითაც და მე დარწმუნებული ვარ, რომ რეაგირება იქნება დროული და მკაცრი. ეს შანსი, რომელიც საქართველოს მიეცა ამ არჩევნების ჩატარებით, არის შანსი, რომელიც წაიყვანს უფრო მეტი დემოკრატიზაციისკენ და დააახლოებს ევროპასთან ან კიდევ უფრო გაამყარებს ავტორიტარულ რეჟიმს. და მე პირდაპირ ვუთხარი მათ, რომ დღეს საქართველოში არის ნიშნები იმისა, რომ ეს ავტორიტარული რეჟიმი ნელ-ნელა იცვლება უკვე ტოტალიტარული სახელმწიფოთი.

***— მთავარია, შედეგი რა იქნება. ისე, პრეზიდენტმა, უცხოელი დეიდების იმედი ნუ გექნებათო....***

— ჩვენ, ბუნებრივია, მხოლოდ უცხოეთის იმედზე არ ვართ, უბრალოდ, მათი სწორი ინფორმირება არის ერთ-ერთი აუცილებელი ფორმა, რომელიც უნდა განხორციელდეს. ჩვენ თავად გვაქვს სამართლებრივი მხარდაჭერა უზრუნველყოფილი ჩვენი მხარდამჭერების, ადვოკატების აყვანის კუთხით, ასევე ბიძინა ივანიშვილმა ძალიან ღიად თქვა, რომ დაუდგება გვერდში არა მხოლოდ მორალურად და სამართლებრივად, არამედ, თითოეულ ოჯახს, რომელიც არის რეპრესირებული, უზრუნველყოფას გავუკეთებთ, გვერდში დავუდგებით ბოლომდეო. ეს არის ბრძოლა, რომელშიც უკან არ დავიხევთ, და რაც უფრო მეტი აგრესია იქნება ხელისუფლების მხრიდან, მით უფრო მეტად მოუტრიალდება ეს ბუმერანგივით არჩევნების დღეს სააკაშვილს.

***— აქტივისტების დახმარებას რაც შეეხება, არ ფიქრობთ, რომ ამ პროცესისთვის მომზადებული არ აღმოჩნდით? ითქვა, რომ ბევრ თქვენს მხარდამჭერს ადვოკატის გარეშე მოუწია ახსნა-განმარტების მიცემა...***

— არა, როგორც კი გავიგეთ ეს ინფორმაცია, დავეხმარეთ მათ. ბუნებრივია, ადგილობრივი ადვოკატებიც მობილიზებული გვყავდა. ეს არ მომხდარა ერთ დღეში, გუშინაც მიმდინარეობდა ეს პროცესი, დღესაც მიმდინარეობს, ასე რომ, ჩვენ მობილიზებული ვართ, მაგრამ, ბუნებრივია, ხელისუფლებას აქვს ის უპირატესობა, რომ ის არის ხელისუფლებაში და, სამწუხაროდ, ხელისუფლებას იყენებს პოლიტიკური ინტერესებისთვის. სწორედ ამიტომ შექმნა პოლიტიკური პოლიცია, მაგრამ ჩვენ ვიცავთ ჩვენს მხარდამჭერებს. ვიმეორებ, ჩვენ მზად ვართ, ამ სამართლებრივ უზრუნველყოფას ვუწევთ ჩვენს მხარდამჭერებს და ასეც გაგრძელდება.

***— და თუ დასჯიან ამ ადამიანებს, ანუ დააჯარიმებენ ან სხვა სასჯელს შეუფარდებენ, ეს რა ზეგავლენას მოახდენს მოსახლეობის დანარჩენ ნაწილზე? გაუძლებენ ასეთ წნეხს რეგიონებში მცხოვრებლები, არ შეშინდებიან და უარს არ იტყვიან თქვენს მხარდაჭერაზე?***

— ჩვენი მოქალაქეები, ისინი, ვინც მხარს გვიჭერენ და ვისაც არ უნდა, რომ ღიად გამოხატოს ეს მხარდაჭერა, გვეუბნება, რომ არჩევნების დღეს მიიღებს სწორ გადაწყვეტილებას, იმიტომ რომ სააკაშვილის აგრესია, ის პოლიტიკა, რომელმაც ქვეყანა მიიყვანა სიღატაკემდე, ყელში ამოუვიდათ. ჩვენი მოსახლეობის 55%, პრაქტიკულად, უმუშევარია. საქართველო გახდა ის ქვეყანა, საიდანაც ქართველები გარბიან და მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის მონაცემებით პირველ ადგილზე ვართ ევროსაბჭოს 47 ქვეყანაში მოსახლეობის კლებით და ეს დასტურდება იმითაც, რომ ყველაზე დიდი ინვესტიცია, რომელიც შემოდის საქართველოში ფულადი, სწორედ საქართველოდან სხვადასხვა მიზეზით გაქცეული ჩვენი მოქალაქეების გადმორიცხვებია. ეს მეტყველებს იმაზე, რომ ისინი არიან შრომისუნარიანი ადამიანები, რომლებსაც სააკაშვილის პოლიტიკამ დაატოვებინა ქვეყანა. სწორედ ამ ადამიანების დაბრუნებისა და საქართველოს ეროვნულ სახელმწიფოდ ჩამოყალიბებისთვის უნდა შევცვალოთ სააკაშვილის ხელისუფლება არჩევნების გზით, ვიმეორებ, არჩევნების და არა ძალადობის გზით. აი, ეს არის ჩვენი ჯვარი, რომელიც უნდა ვატაროთ ყველამ. მოთმინებისკენ ამიტომ მოუწოდა ივანიშვილმა ხალხს და მეც ამიტომ ვლაპარაკობ ამას. 7 თვეა ჯერ კიდევ არჩევნებამდე, ამიტომ ძალიან ბევრი მოსამზადებელი სამუშაოა განსახორციელებელი. სააკაშვილს არ უნდა მივცეთ საშუალება, გადაგვიყვანოს სამართლებრივი სივრცის გარეთ. ეს მას აგდებს მისთვის მომგებიან პირობებში. სააკაშვილის უკონტროლობას, იმპულსურობას ჩვენ უნდა დავუპირისპიროთ ჩვენი გეგმაზომიერი მუშაობა. აი, ამ შემთხვევაში სააკაშვილი დამარცხდება.

***— ეგ კი, მაგრამ არ ფიქრობთ, რომ უფრო მეტი აქტიურობაა საჭირო ამ ადამიანების დასაცავად? რას დაუპირისპირებთ ხელისუფლების ამ ნაბიჯებს?***

— ამაზე მეტად მე ვერ ვიაქტიურებ. როდესაც ხდება ასეთი ფაქტები, მე ჩავდივარ ადგილზე და გახსოვთ, ალბათ, გორში, ხაშურში უშუალოდ მე ჩავედი. ჩავდივარ და ვეურთიერთები ამ ოჯახებს, ვამხნევებ. შეიძლება, ვილაც ციხეშიც აღმოჩნდეს. საქართველოს ციხეები სავსეა უდანაშაულო ადამიანებით, ამიტომაც ვებრძვით ჩვენ ამ ხელისუფლებას, მაგრამ ეს იქნება ხანმოკლე, რადგან არჩევნებით დასრულდება ნაციონალური მოძრაობის ერთპიროვნული მმართველობა და ყველა უსამართლო საქმე იქნება გადახედილი დამოუკიდებელი სასამართლოს მიერ, ყველა ადამიანი იქნება რეაბილიტირებული. ეს არის ბრძოლის ნაწილი და ჩვენ შეგნებული გვაქვს, რომ ამ ბრძოლაზე მივდივართ. შეიძლება, დროებით ჩვენი რამდენიმე მხარდამჭერი იყოს რეპრესიის მანქანის ქვეშ მოყოლილი, მაგრამ ეს იქნება მხოლოდ დროებითი და ბრძოლა უნდა გავაგრძელოთ. არ უნდა შევშინდეთ, ამას საზოგადოების მობილიზება და ალტერნატივის შეთავაზება უნდა დავუპირისპიროთ.

***— მობილიზებაო, ამბობთ და, თუ დასჯიან ადამიანებს თქვენთან შეხვედრის გამო, ვინღა შეგხვდებათ?***

— ხალხი არ არის შეშინებული, მათ დასაკარგი არაფერი აქვთ. სააკაშვილს სწორედ ეს აქვს გათვლილი, ფიქრობს, რომ შეშინდება ხალხი, მაგრამ ისინი არ შინდებიან და მე გეტყვი ერთ მაგალითს. რამდენიმე დღის წინ ქარელის რაიონში, სადაც გავხსენით ჩვენი კოალიციის ოფისი, პოლიცია მანქანებით დარბოდა, აჩერებდა მანქანებს, რომლებიც სოფლიდან მოდიოდნენ და ფეხით მოსიარულეებსაც, მაგრამ მაინც მოვიდა ხალხის დიდი ნაწილი. შიში ნელ-ნელა ტყდება და ამ შიშთან ერთად სააკაშვილის ხელისუფლებაც ტყდება.

***— ამიტომ განაცხადეთ, პოლიტიკურ ნაგავს მალე გავიტანთ ქვეყნიდანო?***

— დიახ, ამაზეა დაფუძნებული ჩემი განცხადება. ჩვენი ძალა არის ხალხი და სიმართლე. ამაზე დიდი ძალა არ არსებობს და, როგორც დომინოს პრინციპით ირღვევა ავტორიტარული რეჟიმები მთელ მსოფლიოში, მათ შორის, ჩრდილო აფრიკაში, ისე მოხდება აქაც. სააკაშვილი ხელისუფლების შენარჩუნებისთვის რაც უფრო მეტ რეპრესიას გამოიყენებს, მით უფრო დამარცხდება არჩევნებში.

***— და არჩევნები არჩევნებამდე რომ უნდა მოიგოთ? ბევრი ფიქრობს, რომ აქციები საჭირო. მხოლოდ განცხადებებითა და დაკვირვებებით გადამზადებით დამარცხებთ სააკაშვილის ხელისუფლებას?***

— ეს არის განვლილი, წარუმატებელი ეტაპი. არჩევნებს არჩევნებამდე მოვიგებთ ცოდნით, ექსპერტული მობილიზებით, მოვიგებთ იმით, რომ ვერ გაყალბდება ეგზიტპოლები, იმიტომ რომ ეგზიტპოლებს გამოცდილი საერთაშორისო ავტორიტეტის მქონე ორგანიზაცია ჩაატარებს და, თუკი, ეგზიტპოლები, ანუ ჩვენი და დამოუკიდებელი მონაცემები არ დაემთხვევა არჩევნების შედეგებს, ბუნებრივია, ამ შედეგებს არც საერთაშორისო თანამეგობრობა და არც ჩვენ არ ვაღიარებთ და უკვე დაიწყება საერთო სახალხო მოძრაობა სამართლიანი არჩევნებისთვის, რომელიც უფრო ღრმა ცვლილების საფუძველი გახდება.

***— საარჩევნო სიების თქვენი რესურსით მომზადება უკვე დაიწყეთ?***

— მართალი ხართ, თქვენ უკვე ახსენეთ თავად კომისიის წევრების, დამკვირვებლების და ა. შ. მომზადება. ასევე ჩვენი მხრიდან დაწყებულია სამუშაოები უკვე გადამოწმების მისამართების მიხედვით, დაწყებულია ინფორმაციის მოპოვება და შემდეგ მოხდება ამ თითოეულ მისამართზე იმის დაზუსტება, თუ რამდენი მოქალაქე ცხოვრობს და სად არის გაორებები ან უფრო სხვა დარღვევები. ამ ყველაფერს ვამზადებთ საერთაშორისო მონიტორინგთან ერთად და, სავარაუდოდ, აპრილიდან უკვე დაიწყება მრავალი დელეგაციის ჩამოსვლა, რომელიც ამას მონიტორინგს გაუკეთებს. რაც ყველაზე მნიშვნელოვანია ჩემთვის, დაიწყება, გაიშლება რეგიონებში უკვე ჩვენი აქტივისტების მუშაობა, ანუ სიმართლეს მივიტანთ ხალხთან ბეჭდვითი სიტყვით, ადგილობრივი სატელევიზიო და რადიოსაშუალებებით, ანუ გვექნება გეგმა, რომლის მიხედვითაც ყველა კორუფციული გარიგება, რომლებიც სააკაშვილმა და მისმა გუნდმა გააკეთეს, იქნება მიტანილი ხალხამდე. ის, რომ სააკაშვილმა 110 მილიონი დახარჯა ბოლო 2 წლის განმავლობაში და არც ერთი ანგარიში არ წარუდგენია ჩვენი მოსახლეობისთვის, ის, რომ მონოპოლიები მართავენ ყველა ბიზნესს და სხვა, აი, ამ სიმართლეს მივიტანთ ხალხთან.

***— თუ მოგეცათ ამის საშუალება, კი...***

— სააკაშვილს ეშინია იმის, რომ ხალხმა სიმართლე არ გაიგოს, ამიტომაც აკონტროლებს „რუსთავი 2“-სა და „იმედს“, მაგრამ ჩვენ გავაჩენთ ხალხთან ურთიერთობის სხვა საშუალებებსაც და ყველა სოფელს მოვინახულებთ. ეს იქნება კამპანია, რომელსაც სააკაშვილი ველარ გააჩერებს.

***— თუ მოასწარით, კი, რადგან საუბრები ვადამდელი არჩევნების დანიშვნის შესახებ კვლავ დაიწყო. ამას თქვენი თანამებრძოლი ძიძიგურიც ვარაუდობს...***

— არა, ვადამდელი არჩევნები ნაკლებ სავარაუდოა.

ეკა ირემაშვილი

# ქეთი დოლიძის სპექტაკლს მონმარტრზე ითამაშებენ



ქართველი რეჟისორის ქეთი დოლიძის მიერ დადგმულ სპექტაკლს „დილა მშვიდობისა, ასდოლარიანო“ შემოქმედებითი ჯგუფი სამი დღის განმავლობაში პარიზში, მონმარტრზე გაითამაშებს.

სპექტაკლი, რომელიც რეჟისორმა სპეციალურად ათონელის თეატრისთვის დადგა, 19, 20 და 21 მარტს საფრანგეთში იქნება წარმოდგენილი. წარმოდგენა რეჟისორმა პეტრე ხატიანოვსკისა და ინგა გარუჩავას პიესის მიხედვით განახორციელა, რომლის თარგმანიც თამარ ბართაიას ეკუთვნის. სპექტაკლი საათი და 20 წუთის განმავლობაში გრძელდება და მისი მხატვარი შოთიკო გლურჯიძეა.

ქართული თეატრალური დასის საფრანგეთში მიწვევის ინიციატივა საფრანგეთში მცხოვრები ქართველი ემიგრანტების ერთ ჯგუფს ეკუთვნის. სპექტაკლს რეჟისორი ათონელის თეატრში თვეების განმავლობაში დგამდა. თავდაპირველად წარმოდგენას ერქვა „გამარჯობა, ასდოლარიანო“ და მასში ნანა ლორთქიფანიძე, ნანა ფაჩუაშვილი, რამაზ იოსელიანი და ნუგზარ რუხაძე მონაწილეობდნენ. ამჟამად სპექტაკლს ეწოდება „დილა მშვიდობისა, ასდოლარიანო“ და მასში მონაწილე მსახიობებშიც ცვლილებაა – ნანა ლორთქიფანიძე ნინელი ჭანკვეტაძემ შეცვალა. რამაზ იოსელიანმა, ნანა ფაჩუაშვილმა და ნინელი ჭანკვეტაძემ ერთმანეთს პარტნიორობა თეატრის სცენაზე პირველად გაუწიეს და სამივე აღიარებს, რომ ეს საკმაოდ საინტერესო სპექტაკლია. რაც შეეხება ნუგზარ რუხაძეს, მისი წარმოდგენაში დაკავება უშუალოდ რეჟისორის ინიციატივაა. თუმცა, ტელეწამყვანისთვის ეს პირველი სპექტაკლი არ არის – 25 წლის წინ მან სიეტლში მონაწილეობა მიიღო სპექტაკლში, სადაც ასევე ქართველი პარტნიორები – ია ფარულავა და ლევან უჩანეიშვილი ჰყავდა.

რეჟისორმა სპექტაკლი უცხოეთში სამუშაოდ წასულ ქართველ ქალებს მიუძღვნა და დღევანდელ რეალობასაც მოარგო. წარმოდგენაში ამერიკელი მილიონერი ქალბატონის, რომელიც ავტოკატასტროფამ ინვალიდის ეტლს მიაჯაჭვა და არა მარტო გადაადგილების, არამედ მეტყველების უნარიც წაართვა და მისი ქართველი მომვლელის ისტორიაა.

ნანა ფაჩუაშვილი მოხუც მდიდარს თამაშობს, ნინელი ჭანკვეტაძე – ქართველ მომვლელს, რამაზ იოსელიანი ებრაელი მევიოლინეა, ხოლო ნუგზარ რუხაძე – ამერიკელი მასაჟისტი. სპექტაკლი გასულ წელს თეატრალურ პრემია „დურუჯზეც“ იყო წარდგენილი ორ ნომინაციაში – ქეთი დოლიძე ნომინაციაში „საუკეთესო რეჟისორული ნამუშევარი“ და ნანა ფაჩუაშვილი – ნომინაციაში „საუკეთესო მსახიობი ქალი“.

ორმოქმედებიანი სპექტაკლის მეორე ნაწილი უფრო მსუბუქი და კომედიურია, პირველი ნაწილი კი მეტად მძიმე საყურებელია.

– რეჟისორმა ქეთი დოლიძემ კლასიკური, აკადემიური, ტრადიციული თეატრალური ხერხებით ააგო თავისი სპექტაკლი და ქართველი ემიგრანტების სევდიანი ისტორიის სცენაზე დასრულების შემდეგ დავრწმუნდი, რომ გულწრფელად, მხატვრული სიმართლითა და დამაჯერებლობით, უშუალო კონტაქტის დამყარებით მაყურებელთან ყოველთვის ექნება ფასი, ეყოლება თაყვანისმცემელი ჩვენს თანამედროვეობაში. არაფერ შუაშია თეატრალური მოდა და სტილი. თეატრალური ხელოვნება სწორედ მაშინ არის მომხიბვლელი, როცა მისი ნაწარმოები – სპექტაკლი აქტუალურია თემატიკით და მასში წამოჭრილი პრობლემები თანამედროვედ ჟღერს. გარდა ამისა, თუ კი მსახიობი სცენაზე გულწრფელი და უშუალოა, რა ხერხებითაც არ უნდა თამაშობდეს ის, მაინც ახერხებს მაყურებლის გულის დაპყრობას და იწვევს თანაგანცდის გრძნობას. მიმაჩნია, რომ ქეთი დოლიძემ სწორი გათვლა გააკეთა, როცა სპექტაკლში გამოცდილი მსახიობები, ქართული სცენის ოდნავ მივიწყებული, მაგრამ ნამდვილი ოსტატები დააკავა. ბოლო პერიოდში ქართულ სპექტაკლებს რომ ვუყურებ, სულ დაძაბული მაქვს ყური იმისთვის, რომ მსახიობის მიერ სცენიდან წარმოთქმული სიტყვა გავიგონო. სპექტაკლით მისაღებ ესთეტიკურ სიამოვნებაზე ვინღა ფიქრობს ამ დაძაბულობის გამო. ქეთი დოლიძის სპექტაკლზე კი ამოვისუნთქე, დავისვენე და, რაც მთავარია, დიდი ესთეტიკური სიამოვნება მივიღე. ჩემთან ერთად მაყურებელს აღარ ჰქონდა დაძაბული ყურთასმენა ტექსტის გასაგონად. ნანა ფაჩუაშვილის, ნინელი ჭანკვეტაძისა და რამაზ იოსელიანის მაღალი პროფესიონალიზმი კიდევ ერთხელ ნათლად გამოჩნდა სპექტაკლში, – ასე აფასებს ქეთი დოლიძის ნამუშევარს თეატრმცოდნე ლაშა ჩხარტიშვილი.

სპექტაკლის ფინალი, როგორც მელოდრამაში, ოპტიმისტურია. ყველაფერი თავის ადგილას ლაგდება და ისტორია სრულდება ისე, როგორც მაყურებელი ისურვებდა.

– რეჟისორის მიერ ოპტიმისტურად გადაწყვეტილი ფინალი მიზანმიმართული აქციაა, პოლიტიკურიც და იდეოლოგიურიც. მიუხედავად იმისა, რომ ერთ-ერთი გმირი ამბობს – „ასეთ ქვეყანაში მხოლოდ გიჟები ბრუნდებიან“, მაყურებელში არ იწვევს გაღიზიანებას. პირიქით, ეს ფრაზა სამშობლოს სიყვარულით არის წარმოთქმული. ქეთი დოლიძე ფინალით მოუწოდებს მაყურებელს სამშობლოში დაბრუნებისაკენ. ფინალი ამაღლებული და მაჟორულია – სცენაზე იქმნება თვითმფრინავის სალონის ილუზია, რომელშიც ქართველები სხედან და ღირსების შეგრძნებითა და სიამაყით სამშობლოში ბრუნდებიან. მართლა საოცარი სპექტაკლია და ყველას ვურჩევ, ნახოს, – აცხადებს თეატრმცოდნე ლაშა ჩხარტიშვილი.

ამჯერად ქეთი დოლიძის სპექტაკლის ნახვის საშუალება საფრანგეთში მცხოვრებ ქართველებს და არა მარტო ქართველებს აქვთ. შემოქმედებითი ჯგუფი წარმოდგენას პარიზში სამჯერ გაითამაშებს.

როგორც ქეთი დოლიძის შვილმა თორნიკე ბზიავამ განაცხადა, შემოქმედებითი ჯგუფი უკვე საფრანგეთშია და სამი დღის განმავლობაში სპექტაკლი პარიზში იქნება წარმოდგენილი.

– სპექტაკლი პარიზში, კერძოდ კი მონმარტრზე იქნება წარმოდგენილი. შემოქმედებითი ჯგუფი კი თბილისში მომავალ კვირას დაბრუნდება, – განაცხადა თორნიკე ბზიავამ.

ეკა ირემაშვილი

# ნიკოლოზ ვაჩეიშვილმა რეაბილიტაციები განაახლა

საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულმა სააგენტომ და მისმა ხელმძღვანელმა ნიკოლოზ ვაჩეიშვილმა საქართველოს მასშტაბით სხვადასხვა კულტურის ძეგლებზე რეაბილიტაციის პროცესები განაახლა.

სააგენტოს ინიციატივითა და ძალისხმევით უფლისციხის მუზეუმ-ნაკრძალში საკონსერვაციო-სარეაბილიტაციო სამუშაოების მეორე ეტაპი უკვე დაიწყო. მიმდინარე წელს, კლდეში ნაკვეთი კომპლექსის განახლება ერთდროულად სამი – ძეგლის დაცვითი, ტურისტული ინფრასტრუქტურის მოწყობისა და ახალი სამუზეუმო სივრცის სარეკონსტრუქციო-სარემონტო სამუშაოების კუთხით წარიმართება.

– სამუშაოები ხორციელდება შპს „დემარკის“ მიერ წარმოდგენილი ტექნიკური დოკუმენტაციის მიხედვით, მაღალხარისხიანი სამშენებლო და მოსაპირკეთებელი მასალების გამოყენებითა და პროექტით გათვალისწინებული მასალების სპეციფიკის დაცვით. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ხის მასალის სახეობას, ხარისხსა და ტენიანობის მაჩვენებელს, – აღნიშნავს ნიკოლოზ ვაჩეიშვილი.

2012 წელს განსახორციელებელი გეგმის მიხედვით უკვე წარმოებს უფლისციხის მუზეუმის რეკონსტრუქცია, მუზეუმის წყალმომარაგება, კანალიზაცია, ვენტილაცია-კონდიცირება, ელექტროსამონტაჟო სამუშაოები. საკონფერენციო დარბაზის მიმდებარედ მოეწყობა საჩრდილობელი პავილიონი. არქეოლოგიური გადახურვის მიმდებარედ გამაგრდება გალავნის კედელი, არქეოლოგიური ნაშთებისა და სახაბაზოს დაზიანებული გადახურვა შეიცვლება ახლით. გვირაბსა და საექსკურსიო მარშრუტის შესასვლელში ტურისტების უსაფრთხოებისთვის მოეწყობა დამატებითი კიბეები და ამავე ტერიტორიაზე კეთილმოეწყობა საფეხმავლო ბილიკი. დამთვალიერებელთა ინტერესის გათვალისწინებით, დამონტაჟდება გარე ელექტროგანათება. მოეწყობა სარწყავი სისტემა, დასასვენებელი სკამები, სანაგვე ურნები და საინფორმაციო დაფები.

უფლისციხის მუზეუმ-ნაკრძალის მასშტაბური საკონსერვაციო-სარეაბილიტაციო სამუშაოები გასულ წელს დაიწყო, რომლის პარალელურად ძეგლის პოპულარიზაციის მიზნით ადგილზე განხორციელდა საგანმანათლებლო შემეცნებითი პროექტი „უფლისციხის თავგადასავალი“.

კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს ძალისხმევით რეაბილიტაცია იწყება კახეთშიც. ტურისტული ბილიკები, პარკინგები, კაფეები, საინფორმაციო სივრცეები, სუვენირების მაღაზიები და სველი წერტილები – კახეთში კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებზე ინფრასტრუქტურის მოწყობის მასშტაბური სამუშაოები უახლოეს მომავალში დაიწყება.

– ეს პროექტი საქართველოს მთავრობისა და მსოფლიო ბანკის დაფინანსებით ხორციელდება. ალავერდი, ახალი და ძველი შუამთა, ბოდბის მონასტერი, დავით გარეჯის ლავრა, იყალთოს აკადემია, ნინოწმინდას დედათა მონასტერი, გურჯაანის ყველაწმინდა, ხირსის მამათა მონასტერი, უჯარმის ციხე, თელავში ბატონის სასახლე და შუამთის სარეკრეაციო ზონა – აღნიშნული ძეგლების არქიტექტურის, არსებული ლანდშაფტისა და რელიეფის გათვალისწინებით, ტურისტული ინფრასტრუქტურის მოწყობის ინდივიდუალური პროექტები უკვე მომზადდა, სამშენებლო სამუშაოები კი გაზაფხულზე დაიწყება, – განმარტავს ნიკოლოზ ვაჩეიშვილი.

კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს ხელმძღვანელის თქმით, მიმდინარე წლის ერთ-ერთი მასშტაბური პროექტი იქნება სოფელ დართლოს რეაბილიტაციისა და გადარჩენის პროგრამა, რომელსაც ასევე მსოფლიო ბანკი დააფინანსებს. პროექტი გულისხმობს, ერთი მხრივ, სოფელ დართლოს სრულ რეაბილიტაციას, მისი ისტორიული და უძველესი არქიტექტურის შენარჩუნებას და, მეორე მხრივ, ტურისტული ინფრასტრუქტურის მოწყობას – საკემპინგო ზონის კეთილმოწყობას, მის აღჭურვას სველი წერტილებით, ღია სასადილოთი, ავტოსადგომითა და ინვენტარის შესანახი სივრცით. სოფელ დართლში ისტორიული ნაგებობები ტრადიციული მასალითა და მშენებლობის უძველესი მეთოდით განხორციელდება. სოფელში მოეწყობა კანალიზაცია და მოხდება დართლოს ელექტროფიკაცია. 2013 წელს დაგეგმილია დართლომდე მისასვლელი გზის კეთილმოწყობაც.

გაზაფხულზე განახლდება საკონსერვაციო სამუშაოები ვარძიის არქიტექტურულ კომპლექსში. აქ რესტავრატორები ერთდროულად ორი მიმართულებით იმუშავებენ. კლდის მოვლისა და მასზე პრევენციული სამუშაოების ჩატარების მიზნით უკვე მიმდინარეობს ვარძიის არქიტექტურულ კომპლექსზე წარმოქმნილი ბზარებისა და ნაპრალების გამომწვევი მიზეზების დადგენა. კლდის ქვის ლაბორატორიული ანალიზებით განისაზღვრება მეთოდოლოგია, რომლის მიხედვით მიმდინარე წელსვე განხორციელდება სარეაბილიტაციო-საკონსერვაციო სამუშაოები.

– სატრაპეზო უბანში მოხდება არსებული ბზარებისა და ნაპრალების გასუფთავება და ინექტირება. განხორციელდება გამოქვაბულის ჩამორეცხილი და გაფხვიერებული გარე და შიდა კედლების რთული ხსნარით დაფარვა (კლდის იმიტაცია). ტურისტული სეზონის გახსნამდე ვარძიის სამონასტრო კომპლექსის ტერიტორიაზე დამთვალიერებლის უსაფრთხოებისთვის მოეწყობა ლითონის მოაჯირები, მოხდება სამრეკლოზე ასასვლელი კიბის დემონტაჟი და მოეწყობა ახალი საფეხურები, – ამბობს ვაჩეიშვილი.

ვარძიის სამონასტრო კომპლექსის საკონსერვაციო-სარეაბილიტაციო სამუშაოებში სპეციალისტებთან ერთად მონაწილეობას ახალციხის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის, თეორიის ფაკულტეტისა და ახალციხის გრიგოლ ხანძთელის სასულიერო სასწავლებლის სტუდენტებიც მიიღებენ.

– პროექტში სტუდენტების ჩართულობა ხელს შეუწყობს მათი თეორიული ცოდნის გაღრმავებასა და პრაქტიკული უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებას. ამას გარდა, პროექტის ფარგლებში სტუდენტები მიიღებენ სტაბილურ ანაზღაურებას, რაც სახელმწიფოსა და, შესაბამისად, კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენს, – განმარტავს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს ხელმძღვანელი.

საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოს ახალი ინიციატივა აქვს – 2012 წლიდან დაიწყება კულტურული მემკვიდრეობის უმნიშვნელოვანესი ძეგლების – მესხური დარბაზული სახლების რეაბილიტაციის პროგრამა.

კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოში სამუშაო შეხვედრა უკვე გაიმართა, სადაც სფეროს სპეციალისტებმა დარბაზული სახლების რეაბილიტაციის აუცილებლობასა და მნიშვნელობაზე ისაუბრეს. სპეციალისტების აზრით, ჯავახეთში არსებული ამ უძველესი არქიტექტურული ძეგლების რეაბილიტაციის შედეგად გადარჩება საცხოვრებელი სახლების უნიკალური ნიმუშები და მნიშვნელოვნად გამოიკვეთება რეგიონის ტურისტული პოტენციალი. პროგრამის პირველ ეტაპზე განხორციელდება ჯავახეთის – „დარბაზული საცხოვრებლების“ ინვენტარიზაცია, ფოტოფიქსაცია, აზომვისა და კვლევითი სამუშაოები. სპეციალისტები უკვე მუშაობენ, რომ უახლოეს მომავალში მესხური სახლების გამორჩეულ ნიმუშებს მიენიჭოს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი.

– პროექტის პირველ ეტაპზე ასევე შეირჩევა განსაკუთრებული მხატვრული ღირებულებისა და ყველაზე რთულ მდგომარეობაში არსებული ერთი მესხური სახლი, სადაც ჩატარდება კვლევითი არქეოლოგიური სამუშაოები, შეიქმნება ძეგლისა და ინფრასტრუქტურის საპროექტო დოკუმენტაცია, რომელიც საფუძვლად დაედება ფიზიკური სამუშაოების დაწყებას, – ამბობს ნიკოლოზ ვაჩეიშვილი.

მისივე განმარტებით, მესხური დარბაზული სახლების რეაბილიტაცია გრძელვადიანი პროექტია. ამ მიმართულებით წლის განმავლობაში საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს გენერალური დირექტორ ნიკოლოზ ვაჩეიშვილის მიერ შექმნილი სპეციალური სამუშაო ჯგუფი იმუშავებს.

სარეაბილიტაციო სამუშაოების წარმოებასთან ერთად საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულმა სააგენტომ სურბნიშანის გამაგრებითი სამუშაოები დაიწყო.

– კულტურული მემკვიდრეობის დაცვა, გადარჩენა და პოპულარიზაცია სახელმწიფოს ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტია. ქვეყანაში ძეგლთა რეაბილიტაცია ხორციელდება განურჩევლად მათი რელიგიური და კონფესიური კუთვნილებისა. უკანასკნელ წლებში ამ მიმართულებით რამდენიმე ათეული პროექტი განხორციელდა, მათ შორის მომზადდა ნორაშენის ეკლესიის საპროექტო დოკუმენტაცია და ჩატარდა მოღნისის არქიტექტურული გამაგრების გადაუდებელი ღონისძიებები. რაც შეეხება სურბნიშანს, ამ ძეგლზე 2012 წლის იანვარში მომხდარი ხანძრისა და შედეგად, დაზიანებული სვეტის გამო, წლის დასაწყისში დაიგეგმა გადაუდებელი სამუშაოები. მიმდინარე წელს განხორციელდება ძეგლის ჩამოშლილი სვეტის აღდგენა, ტაძრის კარიბჭესა და ინტერიერში მოეწყობა ძალოვანი ხარაჩოები, რომელიც ძეგლის უსაფრთხოებას უზრუნველყოფს. დაიშლება ტაძრის დარბაზში არსებული დაზიანებული იატაკი და ჩამონგრეული ბეტონის სვეტი. მოხდება კედლების გამაგრება ლითონის კონსტრუქციებით, – აღნიშნავს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს გენერალური დირექტორი.

2011 წელს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს დაფინანსებით, „საქართველოს იკომოსმა“ სურბნიშანის სრული რეაბილიტაციის პროექტი მოამზადა, რომლის მიხედვით რესტავრატორები ძეგლზე სამი თვის განმავლობაში იმუშავებენ. პროექტის დასრულება კი 2012 წლის 25 მაისს არის დაგეგმილი.


უფყნ[ფლტ,ტ,ბ

● გასტროენტეროლოგიური პროგრამა „მედიგარდში“. გასტროენტეროლოგიურ პროგრამაში გთავაზობთ კუჭ-ნაწლავის ექოსკოპიურ გამოკვლევას ისეთი დაავადებების დროს, როგორიცაა კუჭისა და თორმეტგოჯა ნაწლავის წყლული, საყლაპავის თიაქარი, ნაწლავის დივერტიკულოზი, წვრილი და მსხვილი ნაწლავის სხვა დაავადებები, მათ შორის აპენდიციტი. გამოკვლევის ეს მეთოდი წარმოადგენს კუჭ-ნაწლავის რენტგენოლოგიური და გასტროსკოპიული გამოკვლევის ალტერნატივას. გასტროენტეროლოგიურ პროგრამაში ასევე შედის საჭმლის მომნელებელი სისტემის ქრონიკული დაავადებების (გასტრიტი, კუჭის და თორმეტგოჯა ნაწლავის წყლულოვანი დაავადება, ქრონიკული ქოლეცისტოპანკრეატიტი, ქრონიკული ჰეპატიტი, ქრონიკული ენტეროკოლიტი და დისბაქტერიოზი) მკურნალობა ფიტოთერაპიის და ნატუროპათიის ტრადიციული მეთოდებით, რაც ეფექტურად გააუმჯობესებს თქვენს ჯანმრთელობას. მისამართი: ფალიაშვილის ქ. №17. ტელ:. 2-25-20-50; 599 572508. 11-დან 17 საათამდე.

● ფოტოსურათით მოგიხსნით: ალკოჰოლიზმს, აგრესიას, აკვიატებულ აზრებსა და ქმედებებს, აფორიაქებას, ეჭვიანობას, თვითმკვლელობის სურვილს, კოშმარულ სიზმრებს, მოუსვენარ ძილს, უიმედობას, ოჯახურ კონფლიქტებს, დაძაბულობას, დეპრესიას, ჩაკეტილობას. მის: წერეთლის 57, II სად, II სართული. ოფისი 7. მიღება 12-დან 15 სთ-მდე, გარდა შაბათ-კვირისა. ტელ: 599-498-423 ნანა ქიბროწაშვილი. შპს „იადიგარ დაუდის“ დირექტორი, გაგიფორმებთ ხელშეკრულებას.

● იყიდება ან იცვლება საკუთარი სახლი საერთო ფართით 110 კვ.მ. 1,5 ან 2-ოთახიან ბინაზე შესაბამისი თანხის დამატებით. ფასი 55.000 დოლარი. მისამართი: ნუცუბიძის I მ/რ, სახლი №5ა. ტელ: 599-41-52-29; 568-10-65-48; 232-52-29; 231-48-72.

● სმენის აღდგენა რამდენიმე დღეში ბიომასაჟით, ოსტეოქონდროზის, სახსრების დაავადებების, პროსტატიტის, ცისტიტის, ნევრიტების, რადიკულიტის, გასტრიტის, კოლიტის, ქოლეცისტიტისა და სხვა დაავადებების განკურნება უმოკლეს დროში. მის: ქ.თბილისი, თ.აბულაძის ქ.20, დავით ტატიშვილის სამედიცინო ცენტრი. მიღება წინასწარი ჩაწერით. ტელ: 551-25-45-35, ბ-ნი ლევანი.

● წონაში დაკლება 5-15 კგ, გასუქება 2-5 კგ. აგრეთვე ვმკურნალობ კუჭ-ნაწლავის პრობლემებს, გასტრიტს, კოლიტს, შეკრულობას, კუჭის წყლულს, უნებლიე შარდვას, პროსტატიტს, იმპოტენციას უკუჩვენების გარეშე, ამერიკული მცენარეული პროდუქციით, 100%-იანი გარანტიით. ტელ: 274-81-41, 571-33-01-61.

● იყიდება, მცხეთის რაიონის სოფელ ვაზიანში, საკარმიდამო მიწის ნაკვეთი 2000კვ. მ, შემოსაზღვრული, სარწყავი წყლით. ფასი: 1 კვ.მ – 3 ლარი. ტელ:. 0790-90-32-96, 253-15-87, 568 -65-74-86.

● ლომთათიძე — პოლიკლინიკის დირექტორი მკურნალობს: ფრჩხილების სოკოს, კანის დაავადებებს, ფურუნკულს, ტროპიკულ წყლულს, თმის ცვენას, ბუასილს უოპერაციოდ, ეგზემას, ფსორიაზს, მარილების დაგროვებას, პროსტატიტს, A,B,C ჰეპატიტს, მეჭეჭებს, პაპილომებს, ხორცმეტებს, ფეხების ოფლიანობას, თვალების გარშემო ცხიმგროვას. მის: ალმაშენებლის №93, ტელ:96-38-27; 893-39-04-87 ირინა. კონსულტაცია უფასოა.

# საქართველომ რუსეთი სარეკორდოდ დაამარცხა

## საქართველო _ რუსეთი 46:0

**საქართველო:** ირაკლი ყიასაშვილი (ლაშა მალაღურაძე 68), ირაკლი მაჩხანელი, დავით კაჭარავა, მერაბ შარიქაძე (თედო ზიბზიბაძე 61), ალექსანდრე თოდუა, მერაბ კვირიკაშვილი, ირაკლი აბუსერიძე (გიორგი ბეგაძე 68); ვასილ კაკოვინი (დავით ხინჩაგიშვილი 41), ირაკლი ნატრიაშვილი (რეზო ბელქანია 52), დავით ქუბრიაშვილი (ვასილ კაკოვინი 65), გიორგი ჩხაიძე (გიორგი ნემსაძე 52), ლევან დათუნაშვილი, შალვა სუთიაშვილი (დიმიტრი ბასილაია 61), გივი ბერიშვილი, მამუკა გორგოძე

**6 ლელო:** გორგოძე, ჩხაიძე, მაჩხანელი (2), დათუნაშვილი, ნემსაძე

**5 რეალიზაცია:** კვირიკაშვილი

**2 ჯარიმა:** კვირიკაშვილი

**რუსეთი:** იური კუშნარიოვი, მიხაილ ბაბაევი, სერგეი ტრიშინი (დმიტრი გერასიმოვი 59), ალექსეი მაკოვეცკი, ანდრეი ოტროკოვი, ანტონ რიაბოვი, ალექსანდრ იანუშკინი (ალექსანდრ შაკიროვი 65); ალექსეი ვოლკოვი, ნაზირ გასანოვი, ინოკენტი ზიკოვი (მაქსიმ სტურზა 49), დენის ანტონოვი (ვლადიმირ ბოლტენკოვი 75), კირილ კულემინი, არტიომ ფათახოვი (პაველ ბუტენკო 55), ანდრეი გარბუზოვი (პავლე კვერნაძე 61), ვიქტორ გრესევი



საქართველოს ნაკრებმა იმაზე უკეთ ითამაშა, ვიდრე მოველოდით. ცხადია, მოგებას ფიქრობდა ის 25.000 გულშემატკივარი, რომელიც სტადიონზე იყო მისული. არადა, მსურველი გაცილებით მეტი იყო და ბორჯღალოსნები ასეთი თამაშით უფრო მეტი ტევადობის სტადიონსაც იმსახურებდნენ.

თუმცა, მოსახდენი უკვე მოხდა – რუსეთის ნაკრები კიდევ ერთხელ იქნა დამარცხებული და თან ძალიან ლამაზ სტილში. მილტონ ჰეიგის ხელი აშკარად ეტყობა ჩვენს ნაკრებს. უკვე აღარ არის დიდი ყურადღება გადატანილი „ძალადობაზე“ და ბორჯღალოსნები უფრო სანახაობრივ რაგბის თამაშობენ. ხელით თამაში და მოულოდნელი, ორიგინალური გადაწყვეტილებების მიღება აშკარად შეინიშნება და ამის დასტურია მესამე ლელო, რომელიც კლასიკურ სტილში იქნა შესრულებული.

რაც შეეხება ანგარიშს: აქამდე საქართველოს ნაკრებს რუსებთან 46 ქულა მანამდეც მოუხვეჭია, თუმცა, მაშინ „დათვებმა“ 19 ქულა თავად მიითვალეს, ამ ჯერზე კი საერთოდ უქულოდ დარჩნენ და ჩვენებმა ამ ორი გუნდის დაპირისპირებაში სარეკორდო გამარჯვება მოიპოვეს.

ბორჯღალოსნებმა მეტოქეს პირველივე წამებიდან შეუტიეს და ლელოს გატანის შანსიც მალევე მიეცათ, მაგრამ ბერიშვილს ბურთი წინ დაუვარდა. რუსები თავისივე შერკინებაში დაჯარიმდნენ, მაგრამ ქარმა მერაბ კვირიკაშვილს მიზნის გასწორებაში ხელი შეუშალა და დაახლოებით 15 მეტრიდან დარტყმა არაზუსტი აღმოჩნდა.

მე-7 წუთზე საქართველოს ნაკრებმა ბურთი მარცხენა ფლანგზე ჩაათამაშა და მეტოქის ჩათვლის მოედნამდე 15 მეტრილა რჩებოდა, მაგრამ ყიასაშვილს წინ გადაუვარდა. სამაგიეროდ, მსაჯმა ჯარიმის უპირატესობა დაგვიბრუნა და კვირიკაშვილმა ამჯერად ზუსტად დაარტყა – 3:0.

მე-10 წუთზე უკვე ჩვენები დაჯარიმდნენ ბურთის ჩახურვისთვის და რიაბოვმა ხელსაყრელი სიტუაციიდან ააცილა. რუსთა დამრტყმელს იგივე შანსი მალევე მიეცა, მაგრამ ვერც ამჯერად ივარგა.

დათვებმა თავიანთი შანსი ვერ გამოიყენეს და მწარედაც დაისაჯნენ. ლელოს დადება ჯერ ყიასაშვილს მართებდა – კაჭარავამ კარგი რეიდი განახორციელა და მეტოქის ჩათვლის მოედნამდე 5 მეტრში ყიასაშვილი მოძებნა, თითქოს ლელო გარდაუვალი იყო, მაგრამ ჩვენიანის ნახტომში შებოჭეს და ლელოს ხაზს ვერ მისწვდა.

ქართველები მალევე მიხვდნენ, რომ მეტოქე ისეთ წინააღმდეგობას ვერ გაუწევდა, რომ მარტო ჯარიმებით ეხეირათ და სასურველ პრემიალურ ქულაზე გაიქაჩნენ. ამის შემდეგ კვირიკაშვილმა მხოლოდ ერთი ჯარიმა და ისიც მეორე ტაიმის დასაწყისში დაარტყა კარში, დანარჩენი კი აუტში გადაიტანა და ლელოზე ითამაშა, რამაც შედეგი მოიტანა.

22-ე წუთზე აუტში გადატანილი ჯარიმის შემდეგ დერეფნიდან შეტევას ისევ ჯარიმა მოჰყვა, რომელიც გორგოძემ სწრაფად გაათამაშა, მაგრამ ლელო არ შედგა. მესამე ჯერზე საქართველოს ნაკრებმა ჯარიმის ნაცვლად უკვე შერკინება ირჩია – რუსეთი ისევ დაჯარიმდა, ამჯერად ბურთის სწრაფად უკვე აბუსერიძემ გაათამაშა, რომელიც იქვე შებოჭეს, რაქიდან ბურთი გორგოძემ აიტაცა, სამ მეტოქე გადათელა და ლელოც დაიდო – კვირიკაშვილმა რეალიზაცია ზუსტად შეასრულა და 25-ე წუთზე ანგარიში 10:0 გახდა.

32-ე წუთზე საქართველოს ნაკრებმა კიდევ ერთხელ მოიგო მეტოქის შერკინება, რაქიდან გამოტანილი ბურთი კი გიორგი ჩხაიძემ მოიგდო ხელთ, ორ მცველს შორის შეძვრა და მეორე ლელო გაიტანა, ხოლო კვირიკაშვილმა რეალიზაცია ისევ გამოიყენა – 17:0.

ჰეიგოს თაოსნობით ქართველები მეორე ტაიმს უკეთესად თამაშობენ და ასე მოხდა ამჯერადაც. 43-ე წუთზე კვირიკაშვილმა ჯარიმა კარში დაარტყა და მონაგარს კიდევ 3 ქულა შემატა. 47-ე წუთზე კი მესამე ლელოც გავიდა – აბუსერიძემ მეტოქის 22-ის ხაზთან ფეხით ითამაშა, ბურთი მეტოქის ზურგს უკან რბილად გადაკიდა, გორგოძემ მცველს დაასწრო და ჩათვლის მოედანში შევიდა, მას ბურთის დამიწება თავადაც შეეძლო, მაგრამ ეს არ გააკეთა და ლელოს კიდით ხაზთან მისულმა უკან მდგომ მაჩხანელს დაამიწებინა. კვირიკაშვილმა რეალიზაცია ამჯერადაც ზუსტად შეასრულა – 27:0.

მე-60 წუთზე საქართველოს ნაკრებმა უკვე მოლით შეუტია, მერე მას ქუბრიაშვილი მოსწყდა, მერე შეტევა გორგოძემ გააგრძელა და დათუნაშვილმა დაასრულა. კვირიკაშვილი ისევ ზუსტი იყო – 34:0. ეს უკვე პრემიალური ქულა იყო, თუმცა, ქართველები ამაზე გაჩერებას არ აპირებდნენ.

66-ე წუთზე, ცენტრალურ ხაზთან მოგებული დერეფნის შემდეგ, აბუსერიძემ დიდებულად გაჭრა ხაზი, 30 მეტრით წინ წაიწია, ბოლო მცველთან კონტაქტში შესვლას მოერიდა, მარცხნივ გიორგი ნემსაძე მოძებნა და მანაც მე-5 ლელო გაიტანა. ამჯერად კვირიკაშვილს გარდასახვა გაუცუდდა.

ამას რუსეთის ნაკრების მიძალება მოჰყვა, რომლებიც საქართველოს ნაკრების ჩათვლის მოედანს ერთ მეტრამდე პირველად მიუახლოვდნენ, მაგრამ ქართველები დადგნენ და მეტოქეს ქულა არ აღებინეს. ქართველებმა საპასუხოდ შეუტიეს და ლაშა მალაღურაძის ფეხით შეგორებულ ბურთს ხინჩაგიშვილი მიჰყვა, მაგრამ მისი აღება ვერ მოახერხა და რუსეთის ნაკრები აშკარა ლელოს გადაურჩა.

სულ ბოლოს კი ბერიშვილმა შერკინებიდან შეუტია, ბეგაძემ მალაღურაძეს მოძებნა, რომელმაც ჩვენს ნახევარზევე გაჭრა მეტოქის ხაზი, საკმაოდ ირბინა და ბოლოს მაჩხანელი ისეთ პოზიციაში დატოვა, ლელოს გატანა რომ არ გასჭირვებოდა. კვირიკაშვილმა კი საბოლოო წერტილი დასვა – 46:0.

### მატჩის შემდეგ:

**კინგსლი ჯონსი, რუსეთის ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელი:**

– თამაში ნორმალურად დავიწყეთ, მაგრამ თქვენმა შერკინებამ უდიდესი პრობლემები შეგვიქმნა. ძალიან დიდი დროის დაცვაში გატარება მოგვიწია და შედეგიც ამან განაპირობა. გორგოძის შეჩერება, უბრალოდ, შეუძლებელი იყო. თქვენ 2-3 მსოფლიო კლასის მორაგბე გყავთ. გორგოძესთან ერთად გამოვყოფდი კვირიკაშვილსა და ქუბრიაშვილს, რომელიც ერთ-ერთი საუკეთესო 3 ნომერია მსოფლიოში. სწორედ ასეთი თამაშებით უნდა გავიზარდოთ. გული მწყდება, ნულზე რომ წავაგეთ, მაგრამ სწორედ თქვენთან შეხვედრაა ჩვენი მდგომარეობის საზომი. მოთამაშეებმა ფასდაუდებელი გამოცდილება მიიღეს ძლიერ მეტოქესთან თამაშით. სამწუხაროდ, რუსეთში რაგბისადმი ისეთი ინტერესი არაა, როგორც თქვენს ქვეყანაში. პირადად ჩემთვის სასიამოვნოა ასეთი ტრიბუნების წინაშე თამაში. ვფიქრობ, გულშემატკივართა ამ რაოდენობამ თქვენს გუნდს მატჩამდე მისცა ათქულიანი უპირატესობა.

**ალექსანდრ იანუშკინი:**

– პირველ ტაიმში მეტ-ნაკლებად კი გავძელით, მაგრამ მეორე ნახევარში საბოლოოდ გავტყდით. დღეს საქართველოს ნაკრებმა მარტო ფსიქოლოგიურად კი არა, ფიზიკურადაც დაგვჩაგრა.

**მილტონ ჰეიგი, საქართველოს ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელი:**

– ახლა გავიგე, რომ ეს გამარჯვება საქართველოსა და რუსეთის ნაკრებთა დაპირისპირებაში სარეკორდო ყოფილა. დიდი მადლობა გუნდს, მენეჯმენტსა და გულშემატკივრებს, რომელთა თანადგომითაც ასეთ მნიშვნელოვან გამარჯვებას მივაღწიეთ. დღეს ჩვენ იდეალურად არ გვითამაშია. პირველ ტაიმში 3 ეპიზოდი იყო, რომელიც ლელოთი უნდა დაგვირგვინებულიყო, მაგრამ ეს ვერ შევძელით. ძნელია პრობლემებზე საუბარი, როდესაც ასეთი დიდი სხვაობით იგებ, თუმცა, როდესაც ჩვენს პოტენციალს

გაგრძელება მე-10 გვერდზე

# შედეგები

## ფეხბურთი

### ინგლისი. ასოციაციის თასი

ევერტონი-სანდერლენდი ............ 1:1
ტოტენჰემი-ბოლტონი ............ შეწყდა

### ინგლისი. პრემიერლიგა

უიგანი-ვესტ ბრომვიჩი ............ 1:1
ფულემი-სუონსი ............ 0:3

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.სიტი | 28 | 21 | 3 | 4 | 69:20 | 66 |
| 2.მანჩესტერი | 28 | 21 | 4 | 3 | 68:27 | 67 |
| 3.არსენალი | 28 | 16 | 4 | 8 | 57:39 | 52 |
| 4.ტოტენჰემი | 27 | 16 | 4 | 7 | 52:34 | 52 |
| 5.ჩელსი | 28 | 14 | 7 | 7 | 48:32 | 49 |
| 6.ნიუკასლი | 28 | 12 | 8 | 8 | 40:41 | 44 |
| 7.ლივერპული | 27 | 11 | 8 | 8 | 33:26 | 41 |
| 8.სანდერლენ. | 28 | 10 | 7 | 11 | 36:31 | 37 |
| 9.ევერტონი | 28 | 10 | 7 | 11 | 28:31 | 37 |
| 10.სუონსი | 28 | 9 | 9 | 10 | 32:34 | 36 |
| 11.ფულემი | 29 | 9 | 9 | 10 | 37:40 | 36 |
| 12.ვესტ ბრომვიჩი | 29 | 10 | 6 | 13 | 35:38 | 36 |
| 13.ნორვიჩი | 28 | 9 | 9 | 10 | 39:45 | 36 |
| 14.სტოკი | 28 | 10 | 6 | 12 | 27:39 | 36 |
| 15.ას.ვილა | 28 | 7 | 12 | 9 | 21:35 | 33 |
| 16.ბლექბერნი | 28 | 6 | 7 | 15 | 40:60 | 25 |
| 17.ბოლტონი | 28 | 7 | 2 | 19 | 31:57 | 23 |
| 18.ქპრ | 28 | 5 | 7 | 16 | 29:48 | 22 |
| 19.ვულვზი | 28 | 5 | 7 | 16 | 30:58 | 22 |
| 20.უიგანი | 29 | 4 | 10 | 15 | 25:54 | 22 |

### ინგლისი. ჩემპიონლიგა

ბრმინგემი-მიდლსბრო ............ 3:0
ბარნსლი-რედინგი ............ 0:4
ბლექპული-ბრაიტონი ............ 3:1
დონკასტერი-დერბი ............ 1:2
იფსვიჩი-პიტერბრო ............ 3:2
კრ.პალასი-ჰალი ............ 0:0
ლიდსი-ვესტ ჰემი ............ 1:1
მილუოლი-საუთჰემპტონი ............ 2:3
პორთსმუთი-ბრისტოლი ............ 0:0
უოტფორდი-ქოვენთრი ............ 0:0

### ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი

გრანადა-ხიხონი ............ 2:1
სარაგოსა-ოსასუნა ............ 1:1
ხეტაფე-სოსიედადი ............ 1:0
სევილია-ბარსელონა ............ 0:2
რაიო-ბეტისი ............ 3:0

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.რეალი | 26 | 23 | 1 | 2 | 88:23 | 70 |
| 2.ბარსელონა | 27 | 19 | 6 | 2 | 77:18 | 63 |
| 3.ვალენსია | 26 | 12 | 8 | 6 | 40:31 | 44 |
| 4.მალაგა | 26 | 12 | 4 | 10 | 37:37 | 40 |
| 5.ოსასუნა | 27 | 9 | 12 | 6 | 32:41 | 39 |
| 6.ლევანტე | 26 | 11 | 5 | 10 | 37:37 | 38 |
| 7.ბილბაო | 26 | 9 | 10 | 7 | 42:34 | 37 |
| 8.რაიო | 27 | 11 | 4 | 12 | 40:43 | 37 |
| 9.ატლეტიკო | 26 | 9 | 9 | 8 | 36:31 | 36 |
| 10.ესპანიოლი | 26 | 10 | 6 | 10 | 32:35 | 36 |
| 11.ხეტაფე | 27 | 9 | 8 | 10 | 27:35 | 35 |
| 12.სევილია | 27 | 8 | 9 | 10 | 27:31 | 33 |
| 13.სოსიედადი | 27 | 9 | 6 | 13 | 30:37 | 33 |
| 14.გრანადა | 27 | 9 | 4 | 14 | 24:38 | 31 |
| 15.მალიორკა | 26 | 7 | 9 | 10 | 26:32 | 30 |
| 16.ბეტისი | 27 | 9 | 3 | 15 | 31:41 | 30 |
| 17.ვილიარეალი | 26 | 6 | 9 | 11 | 27:40 | 27 |
| 18.რასინგი | 26 | 4 | 12 | 10 | 20:36 | 24 |
| 19.ხიხონი | 27 | 6 | 6 | 15 | 25:50 | 24 |
| 20.სარაგოსა | 27 | 4 | 7 | 16 | 22:50 | 19 |

### ესპანეთი. სეგუნდა დივიზიონი

დეპორტივო-ალკოაინო ............ 3:0
კარტახენა-ხიმნასტიკი ............ 1:3
ლას პალმასი-სელტა ............ 3:1
ნუმანსია-ელჩე ............ 3:0
უელვა-საბადელი ............ 1:1
უესკა-ხირონა ............ 2:1
ერკულესი-გვადალახარა ............ 5:0

### იტალია. სერია ა

პარმა-მილანი ............ 0:2
ფიორენტინა-იუვენტუსი ............ 0:5

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.მილანი | 28 | 18 | 6 | 4 | 57:22 | 60 |
| 2.იუვენტუსი | 28 | 14 | 14 | 0 | 44:16 | 56 |
| 3.ლაციო | 27 | 14 | 6 | 7 | 42:33 | 48 |
| 4.ნაპოლი | 27 | 12 | 10 | 5 | 50:28 | 46 |
| 5.უდინეზე | 27 | 13 | 7 | 7 | 37:24 | 46 |
| 6.რომა | 27 | 13 | 5 | 10 | 42:32 | 45 |
| 7.ინტერი | 27 | 12 | 4 | 11 | 38:36 | 40 |
| 8.კატანია | 27 | 9 | 11 | 7 | 35:35 | 38 |
| 9.ბოლონია | 27 | 9 | 8 | 10 | 29:31 | 35 |
| 10.პალერმო | 27 | 10 | 4 | 13 | 39:44 | 34 |
| 11.კიევო | 27 | 9 | 7 | 11 | 22:33 | 34 |
| 12.ატალანტა | 27 | 9 | 12 | 6 | 31:29 | 33 |
| 13.ჯენოა | 27 | 9 | 6 | 12 | 35:48 | 33 |
| 14.სიენა | 27 | 8 | 8 | 11 | 32:28 | 32 |
| 15.ფიორენტინა | 28 | 8 | 8 | 12 | 27:33 | 32 |
| 16.კალიარი | 27 | 7 | 10 | 10 | 26:35 | 31 |
| 17.პარმა | 28 | 7 | 10 | 11 | 33:44 | 31 |
| 18.ლეჩე | 27 | 6 | 7 | 14 | 30:44 | 25 |
| 19.ნოვარა | 27 | 4 | 8 | 15 | 22:46 | 20 |
| 20.ჩეზენა | 27 | 4 | 5 | 18 | 16:42 | 17 |

*ატალანტას დაკლებული აქვს 6 ქულა*

### იტალია. სერია ბ

ალბინოლეფე-სასუოლო ............ 2:3
ვერონა-ვიჩენცა ............ 2:0
გროსეტო-ჩიტადელა ............ 2:2
მოდენა-ნოჩერინა ............ 2:0
რეჯინა-ლივორნო ............ 2:1
სამპდორია-ასკოლი ............ 0:0
ემპოლი-ბარი ............ 1:0
იუვე სტაბია-ტორინო ............ 1:1

### გერმანია. ბუნდესლიგა

აუგსბურგი-მაინცი ............ 2:1
ლევერკუზენი-გლადბახი ............ 1:2
დორტმუნდი-ვერდერი ............ 1:0
ჰამბურგი-ფრაიბურგი ............ 1:3
ნიურნბერგი-ვოლფსბურგი ............ 1:3
ჰერტა-ბაიერნი ............ 0:6

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.დორტმუნდი | 26 | 18 | 5 | 3 | 53:16 | 59 |
| 2.ბაიერნი | 26 | 16 | 3 | 6 | 64:17 | 54 |
| 3.გლადბახი | 26 | 15 | 6 | 5 | 39:16 | 51 |
| 4.შალკე | 25 | 15 | 2 | 8 | 54:33 | 50 |
| 5.ლევერკუზ. | 26 | 11 | 7 | 8 | 39:34 | 40 |
| 6.ვერდერი | 26 | 11 | 6 | 9 | 40:39 | 39 |
| 7.შტუტგარტი | 26 | 10 | 6 | 10 | 43:34 | 36 |
| 8.ჰანოვერი | 25 | 8 | 11 | 6 | 30:35 | 35 |
| 9.ვოლფსბურგი | 26 | 10 | 4 | 12 | 34:47 | 34 |
| 10.ნიურნბერგი | 26 | 9 | 4 | 13 | 25:37 | 31 |
| 11.მაინცი | 26 | 7 | 9 | 10 | 38:41 | 30 |
| 12.ჰოფენჰაიმი | 26 | 7 | 9 | 10 | 29:37 | 30 |
| 13.კიოლნი | 25 | 8 | 4 | 13 | 32:46 | 28 |
| 14.ჰამბურგი | 26 | 6 | 9 | 11 | 30:48 | 27 |
| 15.აუგსბურგი | 26 | 5 | 11 | 10 | 27:40 | 26 |
| 16.ფრაიბურგი | 26 | 6 | 7 | 13 | 33:53 | 25 |
| 17.ჰერტა | 26 | 5 | 8 | 13 | 26:47 | 23 |
| 18.კაიზერი | 25 | 3 | 11 | 11 | 16:32 | 20 |

### გერმანია. მე-2 ბუნდესლიგა

ინგოლშტადი-პადერბორნი ............ 4:0
მიუნხენ 1860-ფიურტი ............ 1:4

### საფრანგეთი. 1 ლიგა

ბორდო-აიაჩო ............ 1:1
კაენი-პსჟ ............ 2:2
ლორიენი-ბრესტი ............ 2:1
მარსელი-დიჟონი ............ 1:2
ნანსი-მონპელიე ............ 1:0
ოსერი-ევიანი ............ 0:2
სენ ეტიენი-ლიონი ............ 0:1

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.პსჟ | 28 | 17 | 8 | 3 | 52:29 | 59 |
| 2.მონპელიე | 28 | 17 | 6 | 5 | 52:27 | 57 |
| 3.ლილი | 27 | 12 | 11 | 4 | 46:31 | 47 |
| 4.ლიონი | 28 | 14 | 4 | 10 | 44:35 | 46 |
| 5.სტ.ეტიენი | 28 | 13 | 7 | 8 | 35:30 | 46 |
| 6.რენი | 27 | 12 | 8 | 7 | 37:31 | 44 |
| 7.ტულუზა | 27 | 12 | 8 | 7 | 29:24 | 44 |
| 8.ბორდო | 28 | 9 | 10 | 8 | 34:31 | 40 |
| 9.მარსელი | 28 | 10 | 9 | 9 | 35:29 | 39 |
| 10.ევიანი | 28 | 9 | 9 | 10 | 41:40 | 36 |
| 11.ვალანსიენი | 27 | 9 | 6 | 12 | 28:30 | 31 |
| 12.ლორიენი | 28 | 7 | 10 | 11 | 27:36 | 31 |
| 13.ბრესტი | 28 | 5 | 15 | 8 | 23:26 | 30 |
| 14.ნანსი | 28 | 7 | 9 | 12 | 26:36 | 30 |
| 15.დიჟონი | 28 | 8 | 6 | 14 | 34:48 | 30 |
| 16.აიაჩო | 28 | 7 | 9 | 12 | 30:48 | 30 |
| 17.კაენი | 28 | 7 | 8 | 13 | 32:42 | 29 |
| 18.ნიცა | 27 | 6 | 9 | 12 | 26:31 | 27 |
| 19.ოსერი | 28 | 4 | 12 | 12 | 33:43 | 24 |
| 20.სოშო | 27 | 5 | 9 | 13 | 26:43 | 24 |

### ჰოლანდია. ეკრედივიზიონი

ვალვაიკი-გრააფსხაპი ............ 1:0
ექსელსიორი-როდა ............ 2:1
ვენლო-ნაიმეგენი ............ 0:2

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ალკმაარი | 25 | 16 | 4 | 5 | 53:25 | 52 |
| 2.აიაქსი | 25 | 14 | 7 | 4 | 66:33 | 49 |
| 3.ტვენტე | 24 | 14 | 6 | 4 | 66:28 | 48 |
| 4.პსვ | 25 | 14 | 6 | 5 | 63:37 | 48 |
| 5.ჰერენვენი | 25 | 13 | 9 | 3 | 56:36 | 48 |
| 6.ფეინოორდი | 25 | 13 | 6 | 6 | 49:32 | 45 |
| 7.ვიტესი | 26 | 12 | 5 | 9 | 34:29 | 41 |
| 8.ვალვაიკი | 26 | 10 | 4 | 12 | 28:38 | 34 |
| 9.როდა | 26 | 11 | 1 | 14 | 44:56 | 34 |
| 10.გრონინგენი | 25 | 9 | 5 | 11 | 36:46 | 32 |
| 11.ერაკლესი | 26 | 8 | 6 | 12 | 39:41 | 30 |
| 12.ნაიმეგენი | 26 | 10 | 3 | 13 | 30:35 | 33 |
| 13.ბრედა | 25 | 8 | 4 | 13 | 33:39 | 28 |
| 14.დენ ჰააგი | 25 | 7 | 7 | 11 | 29:48 | 28 |
| 15.უტრეხტი | 25 | 6 | 9 | 10 | 36:41 | 27 |
| 16.ვენლო | 26 | 7 | 4 | 15 | 31:58 | 25 |
| 17.ექსელსიორი | 26 | 4 | 6 | 16 | 21:58 | 18 |
| 18.გრააფსხაპი | 25 | 4 | 4 | 17 | 21:55 | 16 |

### პორტუგალია. ა ლიგა

ბენფიკა-ბეირა მარი ............ 3:1
ლეირია-რიუ ავე ............ 1:0
ფეირენსე-ბრაგა ............ 1:4

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბენფიკა | 23 | 17 | 4 | 2 | 54:21 | 55 |
| 2.ბრაგა | 23 | 17 | 4 | 2 | 51:19 | 55 |
| 3.პორტუ | 22 | 16 | 5 | 1 | 51:16 | 53 |
| 4.სპორტინგი | 22 | 12 | 5 | 5 | 36:17 | 41 |
| 5.მარიტიმუ | 22 | 12 | 5 | 5 | 32:24 | 41 |
| 6.გიმარაეში | 22 | 9 | 2 | 10 | 26:28 | 32 |
| 7.ოლჰანენსე | 22 | 6 | 9 | 7 | 28:30 | 27 |
| 8.ნასიონალი | 22 | 7 | 5 | 10 | 28:39 | 26 |
| 9.აკადემიკა | 22 | 5 | 8 | 9 | 21:28 | 23 |
| 10.ჟილ ვისენტე | 22 | 5 | 8 | 9 | 20:33 | 23 |
| 11.რიუ ავე | 23 | 7 | 3 | 13 | 24:28 | 24 |
| 12.ფერეირა | 22 | 6 | 3 | 13 | 26:42 | 21 |
| 13.ბეირა მარი | 23 | 5 | 5 | 13 | 18:27 | 20 |
| 14.სეტუბალი | 22 | 5 | 5 | 12 | 19:40 | 20 |
| 15.ლეირია | 23 | 5 | 3 | 15 | 21:43 | 18 |
| 16.ფეირენსე | 23 | 3 | 8 | 12 | 17:37 | 16 |

### რუსეთი. პრემიერლიგა

**ბ ჯგუფი**

ვოლგა-კრასნოდარი ............ 1:2
ტერეკი-როსტოვი ............ 1:0
ამკარი-ტომი ............ 0:0

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 9.კრასნოდარი | 35 | 13 | 9 | 13 | 45:49 | 48 |
| 10.როსტოვი | 35 | 10 | 9 | 16 | 36:49 | 39 |
| 11.ტერეკი | 35 | 11 | 8 | 16 | 34:49 | 41 |
| 12.ამკარი | 35 | 9 | 11 | 15 | 27:43 | 38 |
| 13.ვოლგა | 35 | 9 | 4 | 22 | 27:46 | 31 |
| 14.კრ.სოვეტოვი | 34 | 7 | 10 | 17 | 23:46 | 31 |
| 15.ნალჩიკი | 34 | 6 | 9 | 19 | 29:46 | 27 |
| 16.ტომი | 35 | 5 | 10 | 20 | 21:62 | 25 |

### შოტლანდია. პრემიერლიგა

დანდი-რეინჯერსი ............ 2:1
მოზერველი-აბერდინი ............ 1:0
სენტ მირენი-სენტ ჯონსონი ............ 0:3

### შვეიცარია. სუპერლიგა

გრასჰოპერსი-იანგ ბოიზი ............ 2:0
ლუცერნი-სიონი ............ 0:0

### ავსტრია. ბუნდესლიგა

კაფენბერგი-ზალცბურგი ............ 0:1
ინსბრუკი-რიდი ............ 0:0
ნოიშტადი-აუსტრია ............ 0:0
რაპიდი-მატერსბურგი ............ 1:1

### საბერძნეთი. სუპერლიგა

არისი-ოფი ............ 1:0
ერგოტელი-კერკირა ............ 1:0
ასტერასი-აეკი ............ 1:1

### თურქეთი. სუპერლიგა

ანთალია-ერჩიესი ............ 0:0
სივასი-ორდუ ............ 1:1
ბურსა-ანკარაგიუჯიუ ............ 2:1
ფენერბახჩე-გალათასარაი ............ 2:2

### ჩეხეთი. გამბრინუსლიგა

იაბლონეცი-პლზენი ............ 0:2
სიგმა-ლიბერეცი ............ 2;4
ტეპლიცე-ჟიჟკოვი ............ 0:0

### პოლონეთი. ექსტრაკლასა

გურნიკი-ლოძი ............ 0:0
ბელხატოვი-ვისლა ............ 2:2
იაგელონია-ლეხი ............ 2:0

### უკრაინა. პრემიერლიგა

ტავრია-არსენალი ............ 1:1
შახტარი-ჩერნომორეცი ............ 4:0
ვორსკლა-ილიჩევეცი ............ 3:1

### დანია. სას ლიგა

ორხუსი-ჰორსენსი ............ 1:3

### აშშ. მლს

სან ხოსე-ჰიუსტონი ............ 0:1
კანზასი-ნიუ ინგლენდი ............ 3:0
დალასი-პორტლენდი ............ 1:1
სიეტლი-ტორონტო ............ 3:1
სოლტ ლეიკი-ნიუ იორკი ............ 2:0
ჩივასი-ვანკუვერი ............ 0:1

### არგენტინა. კლაუსურა

ინდეპენდიენტე-ბელგრანო ............ 2:0
ოლიმპო-რასინგი ............ 0:3

## კალათბურთი

კლიპერსი-ჰიუსტონი ............ 95:91
ინდიანა-ნიუ იორკი ............ 88:102
შარლოტი-ტორონტო ............ 107:103
ნიუ ჯერსი-ნიუ ორლეანი ............ 94:102
ჩიკაგო-ფილადელფია ............ 89:80
დალასი-სან ანტონიო ............ 106:99
იუტა-გოლდენ სტეიტი ............ 99:92(ოტ)

## რაგბი

### ექვსი ერის თასი

იტალია-შოტლანდია ............ 13:6
უელსი-საფრანგეთი ............ 16:9
ინგლისი-ირლანდია ............ 30:9

## ჩოგბურთი

### ატპ. ინდიანა უელსი. კაცები

ჯოკოვიჩი-ისნერი ............ 6:7;6;3;6:7
ნადალი-ფედერი ............ 3;6;4;5

### ვტა. ინდიანა უელსი. ქალები

შარაპოვა-ივანოვიჩი ............ 6:4;6:1
აზარენკა-კერბერი ............ 6;4;6:3

## ჰოკეი

### ნჰლ. რეგულარული სეზონი

ბოსტონი-ფილადელფია ............ 2:2(1:0ბ)
ნიუ ჯერსი-პიტსბურგი ............ 2;5
მინესოტა-კაროლინა ............ 3:5
მონრეალი-აილენდერსი ............ 2:2(0:1ბ)
ოტავა-ტორონტო ............ 1:3
რეინჯერსი-კოლორადო ............ 1:3
ტამპა ბეი-სენ ლუისი ............ 1:3
ფლორიდა-ბუფალო ............ 2:2(1:0ბ)
ვანკუვერი-კოლამბუსი ............ 4:3
ლოს ანჯელესი-ნეშვილი ............ 4:2
სან ხოსე-დეტროიტი ............ 3:2(ოტ)

მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა

# ქუთაისი — სოხუმი 86:74

(23: 17, 21: 14, 12: 20, 30: 23)

**ქუთაისი:** ფაშაევი (5ქ,7პ), ბაბუნაშვილი (14ქ), დიდია (3ქ), ცეკვავა (11ქ), კოლუაშვილი, დ.ბარბაქაძე (13ქ), გ.ბარბაქაძე (17ქ), მათიაშვილი (23ქ,15მ)

**სოხუმი:** ფარღალავა (15ქ), როგავა (3ქ), კანკია (3ქ), ჩლაიძე (5ქ), ქადარია (2ქ), გაფრინდაშვილი (4ქ), ათუაშვილი (20ქ,16მ), ფაცაცია (15ქ,12მ), ჯგერენაია (3ქ), ჩაჩიბაია (4ქ)

ტურის ცენტრალურ მატჩში მასპინძლებმა იმარჯვეს – 86:74. ქუთაისელებმა თავიდანვე მოიპოვეს სოლიდური უპირატესობა და შეხვედრის პირველ ნახევარში 44:31 დაწინაურდნენ. მესამე მეოთხედში „სოხუმი" გააქტიურდა და სხვაობა 5 ქულამდე შეამცირა (51:56), თუმცა დასკვნით მეოთხედში მეტოქესთან ვერაფერი გააწყო. მასპინძლებმა მეოთხე პერიოდში მეტოქეს შანსი აღარ დაუტოვეს, ძირითადი დროის დასრულებამდე დაახლოებით 2 ადრე წუთით თავიანთ სასარგებლოდ 81:66 დააფიქსირეს და მორიგი დამაჯერებელი მოგება გაიფორმეს.

„ქუთაისს" რიჩარდ მათიაშვილმა ულიდერა, რომელიც 23 ქულითა და 15 მოხსნით ორმაგი დუბლი გაახერხა, ხოლო „სოხუმის" შემადგენლობაში ორმაგი დუბლით სერგო ათუაშვილი და ლევან ფაცაცია გამოირჩნენ. ათუაშვილმა 20 ქულა და 16 მოხსნა მიითვალა, ხოლო ფაცაციას ანგარიშზე 15 ქულა და 12 მოხსნაა.

### მატჩის შემდეგ:

**დავით უსტიაშვილი, ქუთაისის მწვრთნელი:**

– ძალიან ლამაზი და დაძაბული თამაში გამოვიდა. ვიცოდით, რომ წინ რთული მატჩი გველოდებოდა, რისთვისაც ყველანაირად ვემზადებოდით. „სოხუმი" ბრწყინვალე გუნდია და კარგი თამაში აჩვენა. მესამე პერიოდში გვქონდა ჩავარდნა, გარკვეულ მომენტში სროლები არ წაგვივიდა, თუმცა, მეოთხე პერიოდში გამოვასწორეთ თამაში და დამაჯერებელი გამარჯვება მოვიპოვეთ. შედეგით კმაყოფილი ვარ და უკვე ვემზადებით მომდევნო მატჩისთვის, რომელიც სამედიცინოსთან გველოდება.

**რიმვიდას სამულენასი, სოხუმის მწვრთნელი:**

– ისეთი ბავშვური შეცდომები დავუშვით, რომლებიც მეტოქემ არ გვაპატია და თამაშზეც ძალიან ცუდად აისახა. მესამე პერიოდში ჩინებულად გავისარჯეთ როგორც დაცვაში, ასევე შეტევაში და მატჩის შემოტრიალების კარგი შანსიც მოგვეცა. სხვაობა ერთ მომენტში 2 ქულამდეც დავიყვანეთ, თუმცა, დასკვნით პერიოდში გადავიღალეთ და მეტოქეს სათანადო წინააღმდეგობა ვეღარ გავუწიეთ. რაც შეეხება ბიჭების თამაშს, ძალიან კარგი მატჩი ჩაატარა სერგო ათუაშვილმა, ბრწყინვალედ ითამაშა ახალგაზრდა გამთამაშებელმა რევაზ როგავამ, რომელსაც, მართალია, ბევრი ქულა არ დაუგროვებია, მაგრამ სამაგიეროდ რთულ მომენტებში დაამშვიდა გუნდი და ჩემ მიერ მიცემულ დავალებებსაც შესანიშნავად გაართვა თავი. არ ვიცი, რატომ, მაგრამ ჩვეულ ფორმაში არ იყო გუნდის ლიდერი ლაშა ფარღალავა, რომელსაც დღეს თავი ისე არ გამოუჩენია, როგორც სხვა თამაშებში. ვფიქრობ, მთლიანობაში ბიჭებმა კარგი თამაში აჩვენეს, გუნდი ძალიან ეცადა მოგებას, თუმცა, ამისთვის საკმარისი ძალები არ აღმოგვაჩნდა.

### დინამო _ ბათუმი 82:76

(17: 9, 22: 22, 20: 21, 23: 24)

შეხვედრის საწყისი ათწუთეული „დინამოს" უპირატესობით წარიმართა, რომელიც წინ 17:9 გავიდა. მეორე მეოთხედში ბათუმელები გააქტიურდნენ, თუმცა, მასპინძლებმა მეტოქეს არ დაუთმეს და ტაიმში 8 ქულის სხვაობით იმარჯვეს – 39:31. მესამე მეოთხედში ზღვისპირელები კიდევ უფრო მძლავრად ათამაშდნენ და სხვაობა 7 ქულამდე დაიყვანეს – 52:59. დაძაბული გამოდგა მატჩის მეოთხე მეოთხედი, რომლის დასრულებამდეც 4:33 წუთით ადრე გუნდებს შორის 2-ქულიანი სხვაობა დინამოელთა სასარგებლოდ დაფიქსირდა – 68:66. „ბათუმი" მდევრის როლში კი იმყოფებოდა, მაგრამ მეტოქეს მოსვენებას არ აძლევდა, თუმცა, მიუხედავად ამისა, მასპინძლებმა მოახერხეს მობილიზება, შეხვედრის ძირითადი დროის დასრულებამდე 23 წამით ადრე 7-ქულიანი უპირატესობა (81:74) მოიპოვეს და მორიგი გამარჯვება მიითვალეს.

„ბათუმის" შემადგენლობაში ორმაგი დუბლით, 22 ქულითა და 13 მოხსნით თავი ლაშა კეშელავამ გამოიჩინა, ხოლო „დინამოს" მხრიდან ორმაგი დუბლი ერთბაშად ორმა მოთამაშემ შეასრულა. მილან იულიჩმა 27 ქულა და 11 მოხსნა დააგროვა, ხოლო ქიენ კარტერის ანგარიშზე 23 ქულა და 18 მოხსნაა.

### თსუ _ თსსუ 74:83

(26: 22, 19: 20, 12: 15, 17: 26)

სტუდენტური დერბი დაძაბულ ბრძოლაში თსსუ-ს გამარჯვებით დასრულდა – 83:74. მატჩის პირველი ტაიმი გუნდების გარდამავალი უპირატესობით წარიმართა, თუმცა, ტაიმის მიწურულს თსუ დაწინაურდა და წინ 3 ქულით, 45:42 გავიდა.

დრამატული გამოდგა მესამე მეოთხედი, რომლის შუაში ფრე, 49:49 დაფიქსირდა. ამის შემდეგ გუნდებს შორის უშეღავათო ბრძოლა გაიმართა და თამაში ქულა ქულაში წავიდა. დაძაბულობამ პიკს დასკვნით მეოთხედში მიაღწია, რომლის დასრულებამდე 1.13 წუთით ადრე სამედიცინო 7 ქულით დაწინაურდა – 81:74. მედიკოსებმა მოპოვებული უპირატესობა მატჩის ბოლომდე შეინარჩუნეს და უმნიშვნელოვანესი გამარჯვება მოიპოვეს.

თსუ-ს შემადგენლობაში 22 ქულით თორნიკე ნინიაშვილი გამოირჩა, რომელმაც 9 მოხსნაც მიითვალა და ორმაგ დუბლამდე 1 მოხსნაღა დააკლდა. ორმაგი დუბლის ავტორი გახდა ვასილ ბერუაშვილი, რომელმაც საკუთარ გუნდს 14 ქულა და 12 მოხსნა შესძინა. სამედიცინოს ულიდერა აკაკი დვალიშვილმა, რომლის ანგარიშზეც 13 ქულა და 12 მოხსნაა.

### ოლიმპი _ რუსთავი 91:59

(20: 12, 30: 11, 21: 9, 20: 27)

შეხვედრა თავიდანვე მასპინძელთა სასარგებლოდ წარიმართა, ოლიმპელებმა პირველ ტაიმში მეტოქეს 50:23 აჯობეს და დიდ შესვენებაზე სოლიდური უპირატესობით გავიდნენ. რუსთაველებმა ვერც მეორე ნახევარში გაუწიეს მეტოქეს წინააღმდეგობა და მორიგი მარცხი განიცადეს.

გამარჯვებულებს ორმაგი დუბლით, 18 ქულითა და 12 მოხსნით ივო ჰოგერმა ულიდერა, ხოლო „რუსთავის" შემადგენლობაში ლევან ხმელიძე გამოირჩა, რომელიც 14 ქულითა და 11 მოხსნით ორმაგი დუბლის ავტორი გახდა.

### არმია _ სტუ 95:50

(24: 12, 24: 16, 14: 20, 33: 2)

შეხვედრა თავიდანვე „ძალოვანთა" სასარგებლოდ წარიმართა, რომლებიც ტაიმში 20-ქულით დაწინაურდნენ. მესამე მეოთხედში „არმიამ" მოპოვებული უპირატესობა ყოველგვარი გართულების გარეშე შეინარჩუნა, ხოლო დასკვნით მეოთხედში მეტოქეს მხოლოდ 2 ქულა ჩააგდებინა და მატჩში 45-ქულიანი სხვაობით იმარჯვა. მეოთხე პერიოდში სტუ-მ მეტოქესთან პრაქტიკულად ვერაფერი გააწყო და შეხვედრა მარცხით დაასრულა.

„არმიას" 28 ქულით უილიამ ტომასმა ულიდერა, ხოლო 14 ქულითა და 10 შედეგიანი გადაცემით ორმაგი დუბლი ბენჟამენ ვუდსაიდმა შეასრულა. სტუ-ს რიგებში თავი ზვიად ანთაძემ გამოიჩინა, რომელმაც საკუთარ გუნდს 17 ქულა შესძინა.

### სატურნირო ცხრილი:

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 1.არმია | 16 | 16 | 01463:1003 | 32 |
| 2.ქუთაისი | 17 | 13 | 41448:1306 | 30 |
| 3.ოლიმპი | 16 | 13 | 31334:1162 | 29 |
| 4.სოხუმი | 17 | 10 | 71381:1303 | 27 |
| 5.დინამო | 17 | 9 | 81407:1442 | 26 |
| 6.შსს | 16 | 9 | 71438:1282 | 25 |
| 7.თსსუ | 17 | 7 | 101373:1453 | 24 |
| 8.თსუ | 16 | 5 | 111283:1422 | 21 |
| 9.სტუ | 16 | 5 | 111212:1375 | 21 |
| 10.ბათუმი | 16 | 2 | 141131:1409 | 18 |
| 11.რუსთავი | 16 | 1 | 151105:1418 | 17 |

# საქართველომ რუსეთი სარეკორდოდ დაამარცხა

დასაწყისი მე-9 გვერდზე

სრულად გამოვიყენებთ, იტალიისა და შოტლანდიის ნაკრებთა დონის გუნდი ნამდვილად გვეყოლება და პრობლემებს გრანდებსაც შევუქმნით. მადლობა ბიჭებს, რომლებმაც ემოციები აკონტროლეს. ეს დიდწილად ირაკლი აბუსერიძის დამსახურებაა, რომელიც სრულად აკონტროლებდა სიტუაციას და მთელი მოსამზადებელი ეტაპის განმავლობაში სწორედ ამ კუთხით მუშაობდა. მოწოდების სიმაღლეზე იყვნენ გამოცდილი მორაგბეები: მაჩხანელი, კაჭარავა, გორგოძე. მათ სწორად მიჰყავდათ თამაში. და მაინც, დღეს ჩვენ მხოლოდ საკუთარი შესაძლებლობების 30 პროცენტი ვაჩვენეთ. იყო ტექნიკური შეცდომები, რამდენიმე სალელოვე შანსი ლელოთი ვერ დავაგვირგვინეთ და, როდესაც ამ შეცდომებს მინიმუმამდე დავიყვანთ, მერე ჩვენი დამარცხება ნებისმიერ გუნდს გაუჭირდება. საქართველოს ნაკრები მძინარე გიგანტია, რომლის გამოღვიძებამდე ძალიან ცოტა დრო დარჩა და ამას რაგბის სამყარო მალე იხილავს. სამუშაო გვაქვს ტაქტიკური ელემენტების დასახვეწად, განსაკუთრებით – დაცვაში.

**ირაკლი აბუსერიძე:**

– რუსეთის ნაკრებთან მუდამ რთული თამაშები გვქონდა, მაგრამ ამ ჯერზე იოლად ვიმარჯვეთ. ამაყები ვართ, მეტოქე გამანადგურებელი ანგარიშით რომ დავამარცხეთ და გულშემატკივრები გავახარეთ. მადლობა იმ ხალხს, რომლებიც თავიანთი შეძახილებით გვამხნევებდნენ. მოხარული ვიქნები, თუ სხვა თამაშებზეც ასეთი ატმოსფერო იქნება.

შაბათსვე გაიმართა სხვა მატჩებიც და ერთა თასის მფლობელი თითქმის გამოვლენილია. მას შემდეგ, რაც ესპანეთის ნაკრებმა 13:12 დაამარცხა რუმინელები და პრემიალური ქულა ვერ მოიპოვა, ნათელი გახდა, რომ ერთა თასი ქართველებს დარჩებათ, რადგან წარმოუდგენელია, ჩვენებმა უკრაინელებს პრემიალურის გარეშე ვერ მოუგონ.

ზაზა ლეჟავას გაწვრთნილმა უკრაინის ნაკრებმა კი პორტუგალიას უმასპინძლა და 35:33 იმარჯვა, თანაც, სამის საპასუხოდ ოთხი ლელო გაიტანა და პრემიალური ქულაც მიითვალა. ეს, უკრაინელთა პირველი გამარჯვებაა ერთა თასზე ჩატარებულ 8 შეხვედრაში.

### სატურნირო ცხრილი:

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.საქართველო | 4 | 3 | 0 | 1 | 115:45 | 15 |
| 2.ესპანეთი | 4 | 3 | 0 | 1 | 96:59 | 14 |
| 3.რუმინეთი | 4 | 2 | 0 | 2 | 65:39 | 11 |
| 4.რუსეთი | 4 | 2 | 0 | 2 | 71:122 | 9 |
| 5.პორტუგალია | 5 | 1 | 0 | 4 | 102:132 | 7 |
| 6.უკრაინა | 3 | 1 | 0 | 2 | 60:112 | 5 |

### დარჩენილი მატჩები:

| | |
|---|---|
| **19 მაისი:** | რუსეთი – ესპანეთი |
| **1 ივნისი:** | რუმინეთი – უკრაინა |
| **9 ივნისი:** | უკრაინა – საქართველო |

*მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა*

## საერთაშორისო

# პრეზიდენტმა ობამამ წმინდა პატრიკის დღესასწაული კათხა ლუდით აღნიშნა

აშშ-ის პრეზიდენტმა ბარაკ ობამამ წმინდა პატრიკის დღესასწაულზე ვაშინგტონის ბარ დუბლინერში კათხა ლუდი დალია. ობამას დუბლინერში გამოჩენა იქ მყოფი სტუმრებისთვის მოულოდნელი აღმოჩნდა. ბარის მფლობელის განცხადებით, მას ობამას ვიზიტის შესახებ ხუთი წუთით ადრე შეატყობინეს.



ობამასთან ერთად ბარში მისი ორი ირლანდიელი მეგობარი იმყოფებოდა. ამერიკული მედია წერს. რომ ერთ-ერთი მათგანი ობამას შორეული ნათესავია. გავრცელებული ინფორმაციით, ბარში მყოფნი ობამას აპლოდისმენტებით შეხვდნენ. რამდენიმე მათგანმა პრეზიდენტისთვის ავტოგრაფის ჩამორთმევა და მასთან სურათის გადაღებაც მოახერხა.

კათხა ლუდის ჩამტავრების შემდეგ ობამამ ბარი დატოვა.

წმინდა პატრიკი ირლანდიის მფარველი წმინდანია. ეს დღესასწაული თავიდან ითვლებოდა კათოლიკურ დღესასწაულად; ხოლო მეჩვიდმეტე საუკუნიდან ოფიციალურად ირლანდიის კულტურის საერო დღედ გამოცხადდა. იგი ირლანდიის რესპუბლიკაში „უქმე დღედ" არის გამოცხადებული. წმინდა პატრიკისადმი მიძღვნილ ფესტივალს ასევე აღნიშნავენ ისეთ ირლანდიურ დიასპორებში, როგორებიცა გვხვდება ამერიკაში, დიდ ბრიტანეთში, კანადაში, არგენტინაში, ავსტრალიაში, ახალ ზენლანდიაში და ა.შ.

# ონიშჩენკო უკრაინასთან ახალ ყველის ომს" იწყებს

ორშაბათს, 19 მარტს უკრაინაში ჩასვლას „როსპოტრებნადზორის" თანამშრომლები გეგმავენ. მათი მიზანი ყველის მწარმოებელი იმ კომპანიების ინსპექტირებაა, რომელთაც ყველი რუსეთში შეაქვთ.

ამის შესახებ სააგენტო „ინტერფაქსს" უწყების ხელმძღვანელმა გენადი ონიშჩენკომ განუცხადა.

თუმცა, უკრაინული მხარე რუსეთის მთავარი სანიტარის ამ გადაწყვეტილებას აპროტესტებს და დამოუკიდებელი ექსპერტების დასკვნებზე დაყრდნობით აცხადებს, რომ უკრაინაში წარმოებული ყველი ყველა სტანდარტს აკმაყოფილებს. უკრაინული მხარის უკმაყოფილებას იწვევს ისიც, რომ ონიშჩენკოს გადაწყვეტილება „როსპოტრებნადზორის" სპეციალისტების ჩასვლის შესახებ ოფიციალურ კიევთან შეთანხმებული არ ყოფილა.



რუსეთმა უკრაინული წარმოების რამდენიმე სახეობის ყველის ქვეყანაში შეტანა 7 თებერვლიდან აკრძალა. ამის შემდეგ რუსეთში რეალიზაციაში გაშვებული 32 ტონა უკრაინული ყველი ამოიღეს, ხოლო კიდევ 120 ტონა საზღვარზე დააკავეს.

*მოამზადა გერა მამულაშვილმა*

# სკანვორდი




1. მაუგლის მეგობარი გველი; 2. ... წარბა (პერსონაჟი); 3. ინდოელი კინორეჟისორი; 4. ქართული ტელეარხი; 5. ქალთა ცეკვა; 6. ჯუჯა კამეჩი; 7. ღობეზე გადასასვლელი ადგილი; 8. ყნოსვის მოშლა; 9. შესრულების თავისუფალი სტილი მუსიკაში; 10. თურქეთის დედაქალაქის ძველი სახელწოდება; 11. ერთგვარი ყველი; 12. კურკოვანი ხილი; 13. მამაკაცის სასიმღერო ხმა; 14. გარეული ვირი; 15. ძველი ფრანგული ხურდა ფული; 16. ხვეწნა; 17. საგრილობელი; 18. ...-მატერი; 19. ოთარ იოსელიანის ფილმი; 20. სამიანი ნარდში; 21. კოლონის ზედა ნაწილი (არქიტ.); 22. ეკლესიური სახოტბო შეძახილი; 23. გამომწვარი ფერადი თიხა; 24. ფრანტი; 25. იაპონიის იმპერატორთა ტიტული; 26. მეცნიერების დარგი; 27. შემოსავლიანი თანამდებობა, „თბილი ადგილი"; 28. ჭადრაკის ფიგურა; 29. ქალიშვილი ინგლისურად; 30. კრიტიკული მდგომარეობა კრივში; 31. ტურგენევის მოთხრობა; 32. ძველებური საფულე.

### წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. შვეულად: 1. ორლი; 2. ნუჟრი; 3. აკაბა; 4. ცეკვა; 5. ცეზარი; 6. თოთიბაძე; 8. მანჯგალაძე; 10. კრიმანჭული; 11. სამეგრელო; 14. კარტიე; 15. ხალისი; 16. ობამა.

**თარაზულად:** 1. ოპუნცია; 4. ცუცხვათი; 7. ლიეჟი; 9. წალკა; 12. გიურზა; 13. გნომა; 14. კარატე; 17. პლევრა; 18. ილუმინატორი; 19. რეალობა; 20. მაზერი.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 2. ოსასუნა; 3. ანდამატი; 4. აქსესუარი; 5. ჰავრი; 6. უშგული; 8. ბარელი; 11. დუბლინი; 14. ეფრემვერდი; 15. ფოცხვერი; 16. ბარისტერი; 17. ხამონი; 15. რენუარი; 21. კოშმა; 22. სეული.

**თარაზულად:** 1. მოწამეთა; 5. ჰოკუ; 7. ბებუთი; 9. ვარდობისთვე; 10. გოდერძი; 12. ალუბალი; 13. ტრაპერი; 16. ბენეტონი; 17. ხიდი; 18. პროზა; 20. სამორინე; 22. სუომი; 23. კუტუნიო; 24. ეტიუდი; 25. მონდი.

# არკანზასში ერთ-ერთ აეროპორტს ბილ და ჰილარი კლინტონების სახელს მიანიჭებენ

20 მარტს აშშ-ის არკანზასის შტატის აეროპორტ „ლითლ-როკის" მუნიციპალური კომისია, მისთვის სახლის გადარქმევისა და ბილ და ჰილარი კლინტონის სახელის მინიჭების შესახებ იმსჯელებს.

რეზოლუციის პროექტში ნათქვამია, რომ კლინტონების ოჯახმა „საკუთარი სიცოცხლე მიუძღვნა არა მხოლოდ ქალაქ ლითლ-როკს, არამედ არკანზასის შტატს და სრულიად აშშ-ს".

რეზოლიციაში ასევე აღნიშნულია, რომ აეროპორტისთვის სახელის გადარქმევა უპრიანია, რადგანაც 2012 წელს დასრულდება მრავალმილიონიანი პროექტის განხორციელება – აეროპორტის მოდერნიზაცია.

მუნიციპალური კომისიის მიერ დადებითი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში შემდგომი პროცედურებით ავიაციის ფედერალური სამმართველო დაკავდება.



შეგახსენებთ, რომ 1978 წელს აშშ-ის მომავალი პრეზიდენტი ბილ კლინტონი 32 წლის ასაკში არკანზასის გუბერნატორი გახდა. იგი დღემდე რჩება ქვეყანაში ყველაზე ახალგაზრდა გუბერნატორად.

უილიამ ჯეფერსონ „ბილ" კლინტონი (დაბ.19 აგვისტო, 1946) – აშშ-ის 42-ე პრეზიდენტი (1993-2001) დემოკრატიული პარტიიდან. იგი აშშ-ის პირველი პრეზიდენტი იყო, ვინც მეორე მსოფლიო ომის შემდეგ დაიბადა.

კლინტონმა ჯორჯტაუნის უნივერსიტეტი, ოქსფორდის საუნივერსიტეტო კოლეჯი და იელის სამართლის სკოლა დაამთავრა. იგი 12 წელი მსახურობდა როგორც არკანზასის 40-ე და 42-ე გუბერნატორი. 1992 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში მან მოქმედი პრეზიდენტი ჯორჯ ბუში დაამარცხა.

პრეზიდენტის რანგში კლინტონმა ჩრდილოეთ ამერიკის თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებას დაუჭირა მხარი და სოციალური უზრუნველყოფის რეფორმა განახორციელა. მან წარუმატებლად სცადა ჯანმრთელობის დაცვის რეფორმის გატარება, რომელიც კონგრესის წინააღმდეგობის გამო ვერ განხორციელდა.

მისი პრეზიდენტობისას აშშ-ის ეკონომიკა სწრაფი ტემპით ვითარდებოდა, მაღალი ტექნოლოგიების სექტორი ძალიან განვითარდა და უმუშევრობა მინიმალური იყო. 1996 წელს კლინტონი მეორე ვადით აირჩიეს პრეზიდენტად.

მეორე ვადის დროს ლევინსკის სკანდალის გამო წარმომადგენელთა პალატამ მისი იმპიჩმენტის პროცედურა დაიწყო, მაგრამ სენატმა ის გაამართლა. მისი მმართველობისას ნატო-მ 1995 წელს ბოსნია-ჰერცეგოვინის და 1999 წელს იუგოსლავიის დაბომბვის ოპერაციები განახორციელა, ასევე ნატო-ში ყოფილი კომუნისტური ქვეყნების მიღება დაიწყო.

იგი ფრანკლინ რუზველტის შემდეგ პირველი დემოკრატი პრეზიდენტი იყო, ვინც პოსტზე ორი სრული ვადა გაატარა.

თანამდებობის დატოვების დროს კლინტონის ნდობის რეიტინგი 66% იყო, რაც მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, პოსტიდან მიმავალი პრეზიდენტის, ყველაზე მაღალი რეიტინგია.

პრეზიდენტობის შემდეგ ის აქტიურ საზოგადოებრივ საქმიანობას ეწევა, 2004 წელს ავტობიოგრაფიული წიგნი გამოსცა.

მისი მეუღლე, ჰილარი კლინტონი, აშშ-ის ამჟამინდელი სახელმწიფო მდივანია.

ჰილარი კლინტონი (დ. 26 ოქტომბერი 1947, ჩიკაგო) – ამერიკელი პოლიტიკოსი, 2009 წლიდან არის აშშ-ის სახელმწიფო მდივანი ბარაკ ობამას ადმინისტრაციაში.

აშშ-ის სენატორი ნიუ-იორკიდან 2001-09 წლებში, იყო პრეზიდენტობის კანდიდატი დემოკრატიული პარტიიდან 2008 წლის არჩევნებში. აშშ-ის პირველი ლედი 1993-2001 წლებში ბილ კლინტონის პრეზიდენტობის დროს.

წარმოშობით ილინოისელმა ჰილარი როდჰემმა ქვეყნის ყურადღება 1969 წელს მიიპყრო კრიტიკული გამოსვლით უელესლის კოლეჯში წლის დასაწყისის მიმართვაში. კარიერა დაიწყო, როგორც ადვოკატმა 1973 წელს იელის იურიდიული სკოლის დასრულების შემდეგ.

1975 წელს არკანზასში გადავიდა, სადაც ბილ კლინტონს გაყვა ცოლად და კარიერას კონგრესის იურიდიულ კონსულტანტად აგრძელებს. 1979 წელს ის პირველი ქალი პარტნიორი გახდა როუზის ადვოკატთა ფირმაში, ხოლო 1988-1991 წლებში ქვეყნის ას ყველაზე გავლენიან იურისტთა სიაში მოხვდა.

1979-81 და 1983-92 წლებში არკანზასის პირველი ლედი იყო, აქტიურობდა რამდენიმე ორგანიზაციაში, რომელთა მიზანი ბავშვების კეთილდღეობის ამაღლებე იყო, ასევე უოლ-მარტისა და სხვა კორპორაციული საბჭოების წევრი იყო.

აშშ-ის პირველი ლედის პერიოდში ის მნიშვნელოვან როლს ასრულებს პოლიტიკის საკითხებში. მისი მთავარ ინიციატივა, კლინტონის ჯანდაცვის გეგმა, 1994 წელს კონგრესის მიერ არ დამტკიცდა, თუმცა 1997 წელს მისი დახმარებით დაფუძნდა სახელმწიფო ბავშვთა ჯანმრთელობის დაზღვევის პროგრამა და შვილად აყვანისა და უსაფრთხო ოჯახის აქტი.

მისი ქორწინების სტატუსი ბილ კლინტონთან საზოგადოების განხილვის საგანი გახდა 1998 წელს ლევინსკის სკანდალის შემდეგ.

ნიუ-იორკში გადასვლის შემდეგ კლინტონ აირჩიეს აშშ-ის სენატში 2000 წელს – პირველი შემთხვევა, როდესაც ამერიკელი პირველი ლედი საზოგადოებრივ სამსახურში ჩადგა და პირველი სენატორი ქალი ამ შტატიდან.

აქ ის თავდაპირველად მხარს უჭერდა ჯორჯ ბუშის საგარეო პოლიტიკას, რომელიც ასევე მოიცავდა ერაყის ომის რეზოლუციაზე თანხმობას. შემდგომში ის განუდგა ბუშის ადმინისტრაციას ერაყის ომის მსვლელობის გამო და ასევე მრავალი საშინაო საკითხების ირგვლივ. 2006 წელს ხელახლა აირჩიეს სენატში.

ჰილარი კლინტონი პირველი ქალია აშშ-ის ისტორიაში, რომელსაც პრეზიდენტად არჩევის დიდი შანსი ჰქონდა. 2007 წლის განმავლობაში სამოქალაქო გამოკითხვებში ის მუდამ წინ იყო დემოკრატთა ნომინანტთა შორის. მაგრამ 2008 წლის პრაიმერებში დაამარცხა ბარაკ ობამამ.

# ფოლკლენდიდან ბრიტანეთის ჯარების გაყვანას ითხოვენ

სამხრეთ ამერიკის 12 ქვეყანამ ერთობლივი განცხადება გამოაქვეყნა, რომელშიც უკანონოდ აცხადებენ ფოლკლენდის კუნძულებზე ბრიტანეთის სამხედრო ძალების ყოფნას.

განცხადება სამხრეთ ამერიკის ერების კავშირის სახელით გავრცელდა. ორგანიზაციის წევრი ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრები, სამხრეთ ამერიკის მიმართ, ანაქრონული კოლონიალური მიდგომის მშვიდობიან გადაწყვეტას მოითხოვენ.

ფოლკლენდის კუნძულები მნიშვნელოვანი გეოგრაფიული დატვირთვის მქონე პუნქტია, განსაკუთრებით გზად ატლანტიკის ოკეანიდან წყნარი ოკეანისკენ.

არგენტინა ფილკლენდს საკუთარ ტერიტორიებად მიიჩნევს, ხოლო დიდი ბრიტანეთი მისი დათმობის საკითხს არ განიხილავს.

გასული საუკუნის 80-იან წლებში ორ ქვეყანას შორის აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით სამხედრო კონფლიქტიც მოხდა.

ფოლკლენდის (მალვინის) კუნძულები – არქიპელაგია ატლანტის ოკეანეში, არგენტინის სანაპიროდან 483 კმ-ში. არქიპელაგი მოიცავს კუნძულ აღმოსავლეთ ფოლკლენდს, დასავლეთ ფოლკლენდს და 776 პატარა კუნძულს. წარმოადგენს დიდი ბრიტანეთის ზღვისიქთა ტერიტორიას. დედაქალაქია სტენლი, რომელიც მდებარეობს აღმოსავლეთ ფილკლენდზე.

1833 წლიდან, არგენტინა პრეტენზიას აცხადებს ფოლკლენდის კუნძულებზე. 1982 წელს, არგენტინასა და დიდ ბრიტანეთს შორის გაიმართა ორთვიანი ომი ამ კუნძულებისათვის (ფოლკლენდის ომი), რომელიც არგენტინის მარცხით დამთავრდა.

მიუხედავად იმისა, რომ არგენტინის არმია თავს დაესხა ფოლკლენდის კუნძულებს და თავიდან მცირე სამხედრო წარმატებას მიაღწია, საბოლოოდ ომიდან გამარჯვებული დიდი ბრიტანეთი გამოვიდა. ეს გამარჯვება კუნძულების მოსახლეობის სურვილსაც შეესაბამებოდა.

ომში დამარცხებამ არგენტინაში სამხედრო ხუნტის დამხობას და დემოკრატიული რეჟიმს აღდგენას მოუმზადა საფუძველი.

# მინსკის ტერაქტში ბრალდებულები სიკვდილით დასაჯეს

მინსკის მეტროში განხორციელებულ ტერაქტში ბრალდებულთა სასიკვდილო განაჩენი სისრულეში მოიყვანეს. „ბი-ბი-სის" ცნობით, დიმიტრი კონოვალოვი და ვლადისლავ კოვალიოვი გუშინ, გვიან ღამით დახვრიტეს. შეტყობინება განაჩენის სისრულეში მოყვანის შესახებ მათი ოჯახის წევრებს ფოსტით გააგზავნათ.



მოკლულთა ნათესავები მედიასთან გამოჩენას თავს არიდებენ. დიმიტრი კონოვალიოვის დედამ, ლიუბოვ კონოვალოვამ ბელორუსის პრეზიდენტ ალექსანდრე ლუკაშენკოს შვილის შეწყალების თხოვნით მიმართა, თუმცა, ლუკაშენკომ შეწყალებაზე უარი განაცხადა.

დიმიტრი კონოვალოვი და ვლადისლავ კოვალიოვი ბელორუსის უზენაესმა სასამართლომ მინსკის მეტროში 2011 წლის 11 აპრილს, ბელორუსის დამოუკიდებლობის დღეზე 2008 წელს და 2005 წელს ვიტებსკში განხორციელებულ ტერაქტებში დამნაშავეებად ცნო.

2011 წლის 11 აპრილს მეტროს სადგურ „ოქტიაბრსკაიაზე" ძლიერი ხელნაკეთი ასაფეთქებელი მოწყობილობა ამოქმედდა, რის შედეგადაც ადგილზე დაიღუპა 11 ადამიანი, 4 კი საავადმყოფოში მიყვანამდე გარდაიცვალა. მძიმედ დაშავდა 300-მდე მოქალაქე.

მინსკში 2008 წელს დამოუკიდებლობის დღეზე მომხდარი აფეთქების შედეგად 100-ზე მეტი ადამიანი დაიჭრა. ვიტებსკში 2005 წელს მომხდარი ტერაქტისას კი 50-მა მოქალაქემ სხვადასხვა სახის დაზიანებები მიიღო.

ბელორუსმა კონოვალოვის და კოვალოვის დახვრეტის ფაქტი დაადასტურა. ინფრომაცია ამის შესახებ ბელორუსიის საზოგადოებრივი მაუწყებლის ეთერით გადაიცა.

დიქტორმა განაცხადა, რომ სასჯელის უმაღლესი ზომა, მინსკის ტერაქტის ორგანიზატორსა და შემრულებელს ქვეყნის უმაღლესმა სასამართლომ გამოუტანა.

შეგახსენებთ, მსჯავრდებულთა სიკვდილით დასჯის შესახებ ინფორმაცია მანამდე სააგენტო „იტარტასმა" გაავრცელა კოვალოვის ახლობლებზე დაყრდნობით. ბრალდებულის დედამ სააგენტოს სატელეფონო საუბრისას განუცხადა, რომ ამ ამბის დადასტურება უმაღლესი სასამართლოდან მიიღო.

ვლადისლავ კოვალოვის დედა დარწმუნებულია, რომ მის შვილს მინსკში მომხდარ ტერაქტთან საერთო არ ჰქონია.

კოვალოვისაგან განსხვავებით კონოვალოვმა სასამართლოზე დანაშაული აღიარა.

ამ ფონზე, ევროკავშირის საგარეო საქმეთა უმაღლესმა კომისარმა საერთაშორისო ურთიერთობათა საკითებში, კეტრინ ეშტონმა მინსკის ტერაქტის ორგანიზატორთა სიკვდილის ფაქტი მკაცრად გააკრიტიკა.

ეშტონმა განაცხადა, რომ მას აქვს ინფრომაცია იმ სასტიკი დანაშაულის შესახებ, რომელიც სიკვდილმისჯილებმა ჩაიდინეს, თუმცა აღნიშნა, რომ მათ სამართლიანი სასამართლოს უფლებით სარგებლობის შესაძლებლოა არ მიეცათ.

ამას გარდა, უმაღლესმა ევროკომისარმა საერთაშორისო ურთიერთობათა საკითხებში ბელორუსიას მოუწოდა სასჯელის უმაღლეს ზომაზე, სიკვდილით დასჯაზე მორატორიუმი გამოაცხადოს და შემდეგ საერთოდ გააუქმოს.

– ბელორუსი ერთადერთი ქვეყანაა ევროპაში, სადაც სიკვდილით დასჯა მაინც მოქმედებს, იმის მიუხედავად, რომ ქვეყანა შეუერთდა სიკვდილით დასჯაზე გამოცხადებულ გლობალურ მორატორიუმს, რომელიც პირველი ნაბიჯი იყო მისი საბოლოოდ აკრძალვისკენ, – ნათქვამია ეშტონის განცხადებაში.

ამასობაში, მოსკოვში ბელორუსიის საელჩოს გაძლიერებულად იცავენ. მიზეზი სოციალური ქსელებით გავრცელებული ინფრომაციაა, რომლის თანახმად, მოქალაქეთა ნაწილი მოსკოვში ბელორუსიის დიპლომატიურ წარმომადგენლობასთან აქციის გამართვას გეგმავს.

ისინი მინსკის ტერაქტის მონაწილეთა სიკვდილით დასჯის ფაქტს გააპროტესტებენ.

*მოამზადა გერა მამულაშვილმა*

ცფვუკჯდბფპჯ უფყნ[ფლტ,ტ,ბ



**ბექა კვინიკაძის გახსენება**

განგებამ ასე ინება, რომ ძალიან ახალგაზრდა, სიცოცხლით სავსე წასულიყავი ამქვეყნიდან. იმ ავბედითმა დღემ განსაზღვრა ჟამი შენი სიცოცხლისა ...უძლური აღმოჩნდი ბედისწერის წინაშე, ჩემო ერთადერთო! არ დაგცალდა სიცოცხლე, რომელიც ასე ძალიან გიყვარდა. მხოლოდ ოცდაშვიდი წელი იკმარე, რომ კაცურად გეცხოვრა...

უსაზღვროდ მწარეა უიმედოდ დარჩენილი, შვილმკვდარი დედის ხვედრი, რომელიც ცხოვრებას აგრძელებს. გულით გატარებ, მარად ჩემთან ხარ, ჩემო სულის ტკივილო! ნათელი გეფინოს მარადიულ სასუფეველში, ჩემო სიცოცხლევ!

*დედა*

ცფვუკჯდბფპჯ უფყნ[ფლტ,ტ,ბ ვზბქტ,ფ .ჯდტკლქტ7
რდბპზც უფვლფ7 !@-ლფყ !& ცფფსფვლტ8

## TV პროგრამა

**ოთხშაბათი 19 მარტი**

**07.30** ჩვენი დილა **11.00** სამოთხის ვაშლები **12.00, 16.00, 20.00** მოამბე **12.45** ქართ. ფილმი **"ლაქა"** **15.00** ჩვენი ფერმა **15.30** დოკ. ფილმი **17.00** დოკ. ფილმი "საუდის არაბეთის სამეფო ოჯახი" **18.00** პეპე და მეგობრები **19.05** სერ. **"მეორე შანსი"** **21.00** სერ. **"ზღვარს მიღმა"** **22.00** აუდიტორია **23.00** საფეხბურთო მიმოხილვა **00.00** ღამის საუბრები **00.45** საფარი **01.15** მოამბე **01.35** მხ. ფილმი **"ბოფა"** (18) **03.40** მხ. ფილმი **"ფორესტ გამპი"** (12) (ტ. ჰენკსი)

**08.00** დოკ. ფილმი **09.00** საბ. ფილმი **10.30** დოკ. ფილმი **12.30** ქართული დოკუმენტალისტიკა **13.00** მხ. ფილმი **"ინდიელი კარადაში"** **14.30, 17.45, 23.00** ბრიფინგის დროით **16.00** დოკ. ფილმი **19.00** სერ. **"ხუთი და"** **20.00** მხ. ფ. **"ჰენრი მერვე"** **22.00** თავისუფალი ტრიბუნა **00.00** მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) **01.00** მხ. ფილმი **"ბრძოლა გადარჩენისთვის"**

**07.30** დილა მშვიდობისა **10.00** სერ. **"დედის გული"** **11.00** სერ. **"კლონი"** **12.00, 15.00, 18.00, 21.00, 06.00** კურიერი **12.30** სხვა ამბები **13.00** ბიზნეს კურიერი **13.30** შუა დღე **15.30** იღბლიანი ბორბალი **17.00** სერ. **"ტერეზა"** **18.45** სერ. **"მიყვარხარ ლოლა"** **19.50** სერ. **"სახლი მეზობლად"** **22.00** ნიჭიერი **23.30** შერეკილები **00.30** შუა დღე **02.00** პატრული **02.30** მხ. ფილმი (ტიტ.)

**07.30** იმედის დილა **10.05** სერ. **"მოპარული ბედნიერება"** **11.00, 14.00, 17.00, 20.00, 03.00** ქრონიკა **11.30** სერ. **"ქალის სიტყვა"** **12.30** დღის შოუ **14.30** ტვ-მარკეტი **14.40** სერ. **"ეჰ მეგობრებო"** მე-4ს. **16.00** სერ. **"შურისძიების საფასური"** **17.40** სერ. **"ევა ლუნა"** **18.40** სერ. **"შურისძიების სახელით"** 1-ლი ს. **21.00** სერ. **"დამალული სიმართლე"** **22.00** ქართ. მხ. ფილმი **"ჭამა და სექსი"** **23.40** სიმართლის დრო **01.10** მხ. ფილმი **"დამცველი"** (12) (დ. ლუნდგრენი) **03.00** მხ. ფილმი **"მზის ბნელი მხარე"** (ბ. პიტი) **04.35** მხ. ფილმი **"24 საათი ტყვეობაში"** (15) (შ. ტერონი) **06.30** სერ. **"მარინა"** (დასკვნითი)

**08.00** ან. ფილმი **08.55** სერ. **"მარია ემილია"** **10.00** მხ. ფილმი **12.00, 15.15, 17.00** ტვ-მარკეტი **12.15** სერ. **"ვერონიკა მარსი"** **13.00** მზესუმზირა (პირდ.) **15.30** პულსი **16.00** დოკ. ფილმი **17.10** სერ. **"ველური მთვარე"** **18.00** მხ. ფილმი **20.00** სერ. **"ვნებათა მიწა"** **21.00** სერ. **"ჯაშუში ქალი"** **22.00** მხ. ფილმი **00.00** მზესუმზირა **02.00** მხ. ფილმი

**08.30, 11.30, 14.30, 17.30, 20.30, 22.30, 02.30** "დრო" **09.00** მუსიკა **09.30** სერ. **"სიამაყე"** **10.30** დოკ. ფილმი **11.10, 14.10, 17.10** ინგლისურის გაკვეთილი **11.30, 14.30, 17.30, 20.30, 22.30, 01.00** "დრო" **11.40, 15.00, 18.00** თურქულის გაკვეთილი **11.50, 21.25** სერ. **"ქალი გაიცნობს"** **12.50, 19.35** სერ. **"სენიორა პრეზიდენტი"** **13.50** **1000** წვრილმანი **15.15** სერ. **"სიამაყე"** **16.30** დროის ვექტორი **21.00** ზღაპრის კონა **23.00** სახლი ბათუმში **23.30** მხ. ფილმი

ერთსულოვნება **08.30** განთიადი **10.00** ერთსულოვნების ვერნისაჟი **10.10** პატრიარქის ქადაგება **10.35** კვირიაკე **11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55** შვიდგზის ლოცვა **12.00, 15.00** საეკლესიო კალენდარი **12.10** მხ. ფილმი **"სამანიშვილის დედინაცვალი"** **14.30** კონცერტი – ანა ყიფიანი **15.05** განთიადის სტუმარი **15.30** სპექტაკლი **"დარაბებს მიღმა გაზაფხულია"** **17.05** დოკ. ფილმი "ველური ბუნება" **18.05** ერთსულოვნების ვერნისაჟი **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.15** მხ. ფილმი **"ოთარაანთ ქვრივი"** **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.20** სალვთისმეტყველო საუბრები **22.25** თ. ჩხეიძე **22.45** ეფრემ ასურის ლოცვის განმარტება **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** დოკ. ფილმი "საქართველოს ეკლესიის წმინდა მღვდელმთავარნი" **00.30** განთიადის სტუმარი **00.55** უკეთ გავიცნოთ ჩვენი შვილები

ghjuhfvt,b b,tzlt,f
cffutynj 3byajpfdhbc4
yt,fhsdbs

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში: http://www.opentext.ge/akhalitaoba

9 marti


**ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი**

აშშ დოლარი — 1,6678

ევრო —2,2122

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 2,6518

რუსული რუბლი — 0,0561

**ამინდის პროგნოზი 19 მარტისთვის**

**აღმოსავლეთ საქართველო:** მოღრუბლულობა, წვიმა, ტემპერატურა დღისით — 1–5, ღამით — -4 -1

**დასავლეთ საქართველო:** წვიმა, ტემპერატურა დღისით — 2–4, ღამით — -3–0

**სამხრეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, ტემპერატურა დღისით — 0–3, ღამით — -5 -2






# 20 მარტიდან

# ახალ თაობასთან

## ერთად!

.eh,fy cfblbc

## ცნობილი რომანი

## ფკó ლღფ ყóყჯ

ფასი გაზეთთან ერთად 4 ლარი

# 7 მარტიდან!

ექსკლუზივი გამოცემა

„ახალ თაობასთან“ ერთად იყიდება უნიკალური პროექტის

„ადამიანები, რომელთაც შეცვალეს მსოფლიო — 100 წიგნი“

21-ე ტომი

# მოცარტი

3!)) ობუყიბ4 იტლბც ბვ ფლფვბფყსფ ,ბჯუპფაბტ,ბ7 პჯვტჯსფნ ლბლბ hღფჯბ ლფნჯღტს ვცჯაჯბჯ გჯჯბნბhფიბ7 ვტნყბტპტ,ფცფ ლფ hეჯნეპფიბ8

უფპტსბ ლფ ოგუყბ ტპსფლ * კფპბ




fcnhjghjuyjpb !( ვფპნბცსლბც

.ღტჯფვ უფბსლფჯბცობყტს=

**წარმატებული დღეა**

**ვერძი** — სიყვარულში გიმართლებთ, გელით საჩუქარი. **კურო** — ფული გაქვთ, მაგრამ ცოტა შემოინახეთ. **ტყუპები** — შემოქმედებითი დღეა, ყველა საქმე გამოგდით, რასაც კი ხელს მოკიდებთ. **კირჩხიბი** — დაისვენეთ და გაერთეთ, დღეს ნუ გადაიღლებით. **ლომი** — ყურადღების ცენტრში აღმოჩნდებით, გახარებული ხართ. **ქალწული** — მოაწყვეთ განტვირთვის დღე, მიიღეთ ხილი და ბოსტნეული. **სასწორი** — არ აჩქარდეთ, მშვიდად იმოქმედეთ. **მორიელი** — ფულის პრობლემა არ გაქვთ, მთლიანობაში ჰარმონიული დღეა. **მშვილდოსანი** — ნუ აყვებით სხვებს, თავს მიხედეთ. **თხის რქა** — ნურავის დაუჯერებთ, გადაწყვეტილება თქვენ უნდა მიიღოთ. **მერწყული** — ცხოვრება გეცვლებათ, ეს ძალიან მოგწონთ. **თევზები** — მშვენიერი დღეა, თავს დასვენების უფლება მიეცით.

უბცეპღტ,ს ,ტლყბტპ ლქტს=

h3xცღxპლბ ფ

**თარაზულად:** 5. ძვირფასი ქვა; 7. მჭერმეტყველი; 8. ქალთა ქართული ცეკვა; 10. შემაშფოთებელი სიზმარი; 12. აზროვნების ორგანო; 13. გაზაფხულის თვე; 14. ხვლიკის მსგავსი ძუძუმწოვარა ცხოველი; 18. ... სტრიპი; 20. დაბა ჯავის რაიონში; 23. მაიმუნი; 24. ინდოელი ქალის კაბა; 25. საფრანგეთის დედაქალაქი; 26. მსოფლიოს მე-8 ჩემპიონი ჭადრაკში; 27. აფროდიტეს სატრფო.

**შვეულად:** 1. ძველებური მიწის სახნავი; 2. მძაფრსუნიანი მწვანილი; 3. მიწათმფლობელი შოტლანდიაში; 4. დიატონიკური გამის მეოთხე საფეხური; 6. სურნელოვანი წყალი; 9. მონღოლი მმართველი; 11. მილიმეტრის მეათასედი ნაწილი; 15. პირადი ინტერესების მქონე ადამიანი; 16. ქურუმი ძველ რომში; 17. ამერიკული მსუბუქი ავტომობილი; 19. „ხის ბამბა“; 21. საფეხურებად გადმოჩქეფილი წყალვარდნილი; 22. იაპონური დამწერლობა.

*შეადგინა ოლივერ კოხიამ*

